ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თენგიზ კუპატაძე

უთანასწორობის შემცირების მაკროეკონომიკური პოლიტიკა

სამაგისტრო პროგრამა - ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნაზირა კაკულია
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია შემოსავლების უთანასწორობის არსსა და მისი შემცირების პოლიტიკებზე. ასევე განხილულია რიგი პრობლემები, რომლებიც თან ახლავს შემოსავლების უთანასწორობას. აღნიშნულ თემაში უთანასწორობა განხილულია მსოფლიო ჭრილში 1970-იანი წლებიდან დღემდე, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები აშშ-ს, ევროპის, სამხრეთ ამერიკის და საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. თემაში გავლებულია პარალელები იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთაც განვითარების მეტნაკლებად მსგავსი გზები განვლეს. თემაში ნათლად ჩანს ის პრობლემური საკითხები, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური კრიზისების დროს, თუ რა გავლენა იქონია ამ უკანასკნელმა ქვეყნების განვითარებაზე და სოციალურ საკითხებზე. შემოსავლების უთანასწორობა აღრმავებს სიღარიბის დონეს და ამწვავებს სოციალურ საკითხებს, რომლებიც ნათელად აისახება ქვეყნის კეთილდღეობაზე, მის განვითარებაზე და მომავალზე. თანამედროვე საზოგადოება ჩართულია გლობალიზაციის ფერხულში, რაც თავის მხრივ ქვეყნებზე ზემოქმედებს, როგორც დადებითად ასევე უარყოფითად. ქვეყნები, რომლებიც გლობალიზაციაში არიან ჩართულნი დიდი გამოწვევების წინაშე დგანან და მსოფლიოს ნაწილნი არიან. ნაშრომში ასევე განხილულია თანამედროვე ეკონომისტთა და ნობელის პრემიის ლაურიატთა ნაშრომები და მოსაზრებები. კვლევები ასევე აჩვენებს, რომ პოლიტიკები, რომლებიც უთანასწორობის გამოსათანაბრებლადაა მიმართული ხშირ შემთხვევაში უძლურია არსებულ მდგომარეობასთან და საჭიროებს გადახედვას. გლობალურ ჭრილში როდესაც ქვეყნის ეკონომიკები, ერთ დიდ მსოფლიო ეკონომიკად განიხილება, ის საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. ნაშრომში საუბარია საქართველოზე და მის განვითარებაზე დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე.

Abstract

The paper discusses on the essence of income inequality and reduction policies. It also considers a number of issues that accompany income inequality. Inequality in this topic has been discussed worldwide since the 1970s, as events unfolded in the United States, Europe, South America, the Soviet Union, including Georgia. The topic draws parallels with countries that have gone through more or less similar development paths. The topic clearly shows the problematic issues that have arisen during the financial crises, what impact the latter has had on the development of countries and social issues. Income inequality deepens the level of poverty and exacerbates social issues that clearly affect a country's well-being, development and future. Modern society is embroiled in a cycle of globalization, which in turn affects both positive and negative attitudes. The paper also discusses the views and opinions of modern economists and Nobel Prize winners. Studies also show that policies aimed at equalizing inequality are often powerless with the current situation and need to be reconsidered. The paper discusses Georgia and its development since independence.

Tengiz Kupatadze; Title: "Macroeconomic Policy to Reduce Income Inequality"

შინაარსი

თავი I შემოსავლების უთანასწორობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები.....8

1.1. თეორიული შეხედულებები შემოსავლების უთანაბრობაზე..... 8

1.2. უთანასწორობის გაზომვის მეთოდები..... 12

1.3. შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ქვეყნების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე... 16

თავი II უთანასწორობა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკები.....29

2.1. მაკროეკონომიკური სტრატეგიები, მათ შორის სავაჭრო პოლიტიკა და ფინანსური რეგულაციები 30

2.2. უთანასწორობის სტრუქტურულ მიზეზებთან ბრძოლა..... 45

2.3. მონეტარული პოლიტიკის გავლენა შემოსავლების უთანასწორობაზე..... 48

2.4. მაკროპრუდენციული პოლიტიკა 62

თავი III შემოსავლების უთანასწორობა საქართველოში და პარალელები სხვა ქვეყნებთან 68

3.1. უთანასწორობა საქართველოში და მისი შედეგები..... 68

3.2. უთანასწორობასთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემები საქართველოსა და მსოფლიოში 76

3.3. უთანასწორობის შემცირებასთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში 84

დასკვნა 88

გამოყენებული ლიტერატურა.....89

შესავალი

თანამედროვე საზოგადოება მრავალ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა პრობლემას უპირისპირდება და ამ პრობლემებს შორის ყოვლისმომცველი და მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა და სიღარიბე. ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ყოველთვის იყო და დღემდე რჩება პრობლემად, რომელიც საერთოა ყველა ქვეყნისთვის და ამგვარად ის ატარებს გლობალურ ხასიათს.

საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება: არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეული უთანასწორობა სასარგებლოა საზოგადოებისათვის, ვინაიდან გამოდის თავისებურ მოტივატორად ეკონომიკური აქტიურობისათვის, ადამიანთა უნარისა და შესაძლებლობების განვითარება-გამოყენებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. მაგრამ სიმდიდრის თავმოყრა ცალკეული პირების, ასევე სახელმწიფოთა ხელში, ზღუდავს სხვების წინსვლისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს, ქმნის ე.წ. „სიღარიბის მანკიერ წრეს“, რომლის გარღვევა ძალზე რთულია. როგორც ცნობილმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯოზეფ სტიგლიცმა (Joseph Stiglitz) აღნიშნა, უთანასწორობის მაჩვენებლებმა უკანასკნელ პერიოდში „სახიფათო დონეს“ მიაღწია და თავისი ზრდის ტენდენციით შეიძლება შეედაროს დიდი დეპრესიისა და მის შემდგომ პერიოდის უთანასწორობის ზრდის ტემპებს. ”ველური კაპიტალიზმი” და ”თავისუფალი ბაზარი” არ წარმოადგენენ ოპტიმალურ გარემოს საყოველთაო სიმდიდრის და კეთილდღეობის დასაგროვებლად უკვე აქსიომას წარმოადგენს, რამეთუ აკადემიურ წრეებში ამის შესახებ უკვე რამდენიმე ათეული წელია ცნობილი. ამაზე ჯერ კიდევ ბრიტანელი ეკონომისტი არტურ პიგუ წერდა 1920-იან წლებში თავის ნაშრომში ”კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია“. ეკონომიკური გადახრები სახელმწიფომ უნდა არეგულიროს სხვადასხვა სუბსიდიების და შეღავათების დაწესებით ეკონომიკაში სასარგებლო გადახრების წასახალისებლად და მეორეს მხრივ გადასახადების და აკრძალვების გამოყენებით.

თემის აქტუალობა: შემოსავლების უთანასწორობამ ეკონომისტთა ყურადღება გასული საუკუნის 60-იან წლებში მიიპყრო და მას შემდეგ ის აქტუალურობას არ კარგავს. როგორც მსოფლიო სტატისტიკა გვიჩვენებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში არა თუ შემცირდა უთანასწორობა, არმედ განაგრძობს ზრდას. შემოსავლების უთანასწორობას ზოგი ეკონომისტი დადებით კონტექსტშიც განიხილავს და მას, როგორც მასტიმულირებელს ისე წარმოგვიდგენს, თუმცა ამ უკანასკნელს საზოგადოებისთვის უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია ვიდრე სარგებლის. შემოსავლების უთანასწორობას მივყავართ სიღარიბის დონის ზრდასთან, რაც თავისი არსით უკვე ცუდის მომასწავებელია. სიღარიბის გაღრმავება იღებს კომპლექსურ ხასიათს და მოიცავს საზოგადოების თითქმის ყველა სფეროს.

შემოსავლების უთანაბრობის კომპლექსურობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი ზრდა გავლენას ახდენს განათლების დონეზე, ჯამრთელობის დონეზე, კრიმინალზე და ქვეყნის განვითარებაზე. მოგეხსენებათ დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახი ნაკლებად ორიენტირებულია განათლებაზე, რაც მომავალში დიდი ზიანს აყენებს ქვეყნის ადამიანისეულ კაპიტალს (ეს უკანასკნელი ფაქტი აჩვენა არაერთმა კვლევამ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე). მსგავსად შეგვიძლია ვიმსჯელოთ უთანასწორობაზე და ჯანდაცვაზე - დაბალი შემოსავლების გამო ადამიანები ნაკლებად ორიენტირებულნი არიან დაიცვან ჰიგიენური ნორმე და გაუფრთხილდნენ ჯამრთელობას, ეს კი თავის მხრივ სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის და შემდგომ მსოფლიო ჯანდაცვას. კრიმინალის დონე ქვეყანაში - დიდწილად გამოწვეულია შემოსავლების უთანასწორობის ზრდით. კვლევებმა აჩვენა, რომ როდესაც სიღარიბის დონე მაღალია და ქვეყნის მოსახლეობის 10%-ი ფლობს იგივეს ან ბევრად მეტს, რასაც დარჩენილი მოსახლეობის 90%-ი კრიმინალის დონე ბევრად მაღალია ასეთ ქვეყანში. ყოველივე ზემოთ თქმულიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შემოსავლების უთანაბრობის დონე ქვეყნისა და ეკონომიკის განვითარებისთვის.

ნაშრომის მიზანი: შემოსავლების უთანასწორობა ყოველთვის იყო, არის და იარსებებს ეკონომიკებში, მთავარია მოხდეს მისი დაბალანსება იმგვარად, რომ ხელი არ შეუშალოს ქვეყნისა და ეკონომიკის განვითარებას. მოცემულ კვლევაში ნათლად ჩანს ის მანკიერი მხარეები, რომელიც თან ახლავს უთანასწორობას და მის ზრდას მსოფლიოში. ასევე განხილულია სხვადასხვა პოლიტიკები, რომელიც განახორიელეს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა.

კვლევაში წარმოდგენილია განვითარებული ქვეყნების ეკონმიკები, რომელთაც უთანასწორობა შეამცირეს იმ დონემდე, რომ მას ხელი არ შეეშალა მათ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რთულია ვისაუბროთ კონკრეტულ პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს უთნასწორობის შემცირებას. კვლევებმა აჩვენა, რომ პოლიტიკები და რეკომენდაციები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე და რთულია მისი მორგება სხვა ქვეყანაზე.

ნაშრომში ასევე განხილულია საქართველო და ის გზა, რომელიც მან განვლო საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალზედ გაიზარდა უთანასწორობის დონე, გააღრმავა სიღარიბე, რამაც სავალალო შედეგი მოუტანა ქვეყნის ეკონომიკას. საქართველოში 90-იანი წლებიდან 2000 წლამდე კრიტიკულ ნიშნულზე იყო თითქმის ყველა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, რაც ნათლად აჩვენებდა ქვეყნის არსებულ მდგომარეობას. საქართველოს მთავრობებმა გაატარეს სხვადასხვა სახის პოლიტიკები და ღონისძიებები, რათა ქვეყანა დაებრუნებინათ განვითარების კურსისკენ. მართალია ყოველთის დადებით გავლენას ვერ ახდენს გატარებული პოლიტიკები, მაგრამ რაღაც დოზით ამცირებს და ხელს უშლის უთანასწორობის ზრდას.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს არსებული უთანასწორობის დონე მსოფლიოში, როგორ მოგქმედებს მისი ზრდა მსოფლიო ეკონომიკაზე და გატარდეს ის პოლიტიკები თუ რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს უთანასწორობის შემცირებას და კეთილდღეობის ზრდას.

თავი I შემოსავლების უთანასწორობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები

უთანასწორობა განხვავდება სიღარიბისგან, თუმცაღა ისინი დაკავშირებულები არიან ერთმანეთ. უთანასწორობა კონცენტრირებულია, არამხოლოდ ერთ მაჩვენებელზე განყენებულად, არამედ მოსახლეობის, ქვეყნის ცხოვრების პირობების განმსაზღვრელ სხვადასხვა ფაქტორებზე. როდესაც ვსაუბრობთ სიღარიბეზე, მას უმეტესწილად განიხილავენ, მხოლოდ ერთი მიმართულებით - სარსებო მინიმუმი, სიღარიბის ზღვარი.

ეკონომიკური უთანასწორობა გვიჩვენებს, თუ როგორ არის გადანაწილებული ეკონომიკური ცვლადები ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, ჯგუფებსა და მოსახლეობას შორის და ქვეყნებს შორის. განვითარების თეორია მეტწილად უთანასწორობას განიხილავს ცხოვრების სტანდარტების ჭრილში, როგორიცა: შემოსავლების/სიმდიდრის, განათლების და კვების უთანასწორობა. ეს უკანასკნელნი ყოველთვის არიან ცხარე კამათისა და განხილვის ქვეშ - დასაქმება და განათლება, შემოსავლების უთანაბრობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის კეთილდღეობას, რომელიც ერთგვარი საზომის როლში გვევლინება. უთანასწორობის არსის უკეთ გასაგებად თავდაპირველად გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ეკონომიკური და სოციალური ასპექტები და შემდგომ ვნახოთ როგორ წარმოჩინდება უთანასწორობა მთლიან კონტექსტში.

1.1. თეორიული შეხედულებები შემოსავლების უთანაბრობაზე

თავდაპირველად განვსაზღვროთ უთანასწორობა ეკონომიკურ ჭრილში. ის სამ ძირითად სახეობად იყოფა: 1. შემოსავლები, 2. ხელფასი 3. სიმდიდრე.

შემოსავლების უთანასწორობა ეს არის შემოსავლების უთანაბრობის დონე ადამიანთა ჯგუფებს შორის. შემოსავალები ეს არ არის მხოლოდ დასაქმებულის ხელფასი

ან მისი სახელფასო დანამატი, აქ იგულისხმება შემოსულობები ინვესტიციებიდან, დივიდენდები აქციებიდან, შემოსულობები საპენსიო ფონდებიდან და რენტიდან შემოსავალი. შემოსულობების გაზომვა კი ხდება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე შინამეურნის მიხედვით.

უთანასწორობა ხელფასის მიხედვით, ასევე მოიხსენიებენ გადახდების უთანასწორობა. ამ უკანასკნელში იგულისხმება მხოლოდ გადახდა დასაქმებულის მიმართ, რომელიც შეიძლება იყოს - საათობრივი, თვიური ან წლიური, თუმცაღა ხელფასის გადახდა უმეტესწილად ხდება კვირეული ან თვიურის სახით, რომელიც მოიცავს ბონუსებსაც. უთანასწორობა სიმდიდრის მიხედვით, აქ იგულისხმება ინდივიდი ან შინამეურნე ქონების მთლიანი ოდენობით. ქონება ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ფინანსური აქტივები, როგორიცა: აქციები და ობლიგაციები, ქონებრივი და კერძო საპენსიო უფლებები. სოციალური უთანასწორობისას კი უნდა შევეხოთ განათლების, ჯანდაცვის და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დონეს. ეკონომისტთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ქვეყნებში სადაც მაღალია უთანასწორობის მაჩვენებლები მით დაბალია განათლების დონე, არასტაბილურია და დაბალი განვითარებით ხასიათდება ჯანდაცვის სფერო და შესაბამისად სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელიც დაბალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. უთანასწორობაზე საუბრისას, თანამედროვე ეკონომისტები მას აკავშირებენ გლობალიზაციასთან და განიხილავენ გლობალურ მასშტაბში. დღევანდელი კაცობრიობის ყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და მას შეუქცევადი ხასიათი აქვს. შესაბამისად, როდესაც გლობალიზაციაზე და მის პროცესებზე ვსაუბრობთ, თავდაპირველი რაც გვახსენდება არის უთანასწორობა ქვეყნების და მათ ეკონომიკებს შორის. ამ შემთხვევაში კი რთულდება უთანასწორობის არსის, საზღვრების და ტენდენციების განსაზღვრა. ეს უკანასკნელი იმით არის განპირობ-ებული, რომ გლობალიზაცია აფერმკრთალებს და ხშირ შემთხვევაში შლის საზღვრებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორისაც. გლობალიზაციის შემთხვევაში ვაწყდებით არამხოლოდ ეკონომიკურ უთანასწორობას და სირთულეებს, არამედ

სოციალურსაც, რომელთა გამიჯვნა ეკონომიკურისაგან ძალზე რთულია. ამ უკანასკნელის შემთხვევაში უთანასწორობის მთავარ პრობლემურ საკითხებად გვევლინება: სექსუალური საკითხები, ეთნიკური წარმომავლობა, დაბადების ადგილი და ოჯახური მდგომარეობა.

საქართველოსთვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა - სამოქალაქო დაპირისპირება, საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ენერგო და სატრანსპორტო ბლოკადა, უკიდურესად დაძაბული კრიმინოგენული გარემო, ძველი, ტრადიციული კავშირებისა და მომწოდებელთა დაკარგვა, მათი შემცვლელი ახალი მომწოდებლებისა და კავშირების არარსებობა, სამუშაო ძალის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები იმ ნეგატიური ფაქტორების მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც დამოუკიდებლობის პირველ წლებში უპრეცედენტო ეკონომიკური ვარდნა, ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის კატასტროფული ზრდა მოჰყვა. ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა, რომელთა ეტაპობრივმა განხორციელებამ ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველია. წინა წლებში ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპის დაფიქსირების მიუხედავად, მოსახლეობის დიდი ნაწილის მდგომარეობა არ შეცვლილა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიზანი გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაა.[1]

ნობელის პრემიის ლაურეანტმა მიშელ კრემერმა (Michael Kremer (2019)) , თავის ნაშრომში განვითარება და სიღარიბის შემსუბუქების ურთიერთ კავშირი (Understanding Development and Poverty Alleviation), შემოგვთავაზა რიგი საკითხები, რომელიც ხელს

[1] „საქართველო 2020“ წყარო: http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf

შეუწყობს უთანასწორობის შემცირებას განვითარებად ქვეყნებში. მიჩეილ კრემერი დიდ ყურადღებას უთმობს და ხაზს უსვამს ისეთ საკითხებს, როგორიცა სწავლა, ჯამრთელობა, გენდერულ პოლიტიკა, კრედიტი და გარეგანი ეფექტები, რომელთაც კომპლექსური ხასიათი ააქვთ და ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მასობრივი პროგრესის მიუხედავად, გლობალური სიღარიბე ფართო და ღრმა პრობლემაა. მაგალითად, დღეს 700 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს უკიდურესად დაბალ შემოსავლების ხარჯზე. ყოველწლიურად, ხუთ წლამდე ხუთი მილიონი ბავშვი იღუპება დაავადებებით, რომელთა განკურნება მეტწილად შესაძლებელია პროფილაქტიკური მკურნალობით. დღეს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ბავშვების უმრავლესობა იღებს დაწყებითი სკოლის განათლებას, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ ამთავრებს სკოლას. ასევე ამ ქვეყნების მოსწავლეთა უმრავლესობა სკოლას ამთავრებს ისე, რომ არ შეუძლიათ წერა-კითხვა და საბაზისო მათემატიკური გამოთვლები. დღის წესრიგში დგას საკითხი, როგორი პოლიტიკები უნდა გატარდეს, რომ ეფექტურად შემცირდეს გლობალური სიღარიბე. კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური კითხვაა ეს უკანასკნელი. ეს არის ასევე ეკონომიკის დისციპლინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკითხი, რომელიც დაარსების დღიდან დაიწყო. აქვე უნდა ითქვას ისიც, რთულია იმ სტრატეგიების წინა პლანზე წამოწევა, რაც ხელს შეუწყობს უთანაბრობის შემცირებას და გაზრდის კეთილდღეობას. ნობელის პრემია 2019 წლის ეკონომიკის დარგში დაიმსახურა ექსპერიმენტულმა მიდგომამ, რომელიც შეისწავლის გლობალური სიღარიბის მიზეზებს და ბრძოლის მეთოდებს.

ინოვაციებმა, როგორც ამ სფეროს შიგნით, ისე მის გარეთ, ხელი შეუწყო ტრანსფორმირების ბაზისების შექმნას. 2015 წლის ლაურეატი ანგუს დეატონი განვითარების ეკონომიკაში კვლევას მიკროეკონომიკური ანალიზით იწყებს. მან ასევე მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ კეთილდღეობის გაზომვა განსაკუთრებით შედეგიანია ღარიბთა კეთილდღეობის დონის განსაზღვრით, ეს უკანასკნელი კი ეფექტურ შედეგს

გამოიღებს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სფეროს გარეთ, ე.წ. სანდოობის რევოლუციამ, რომელიც პირველად დაიწყო შრომის ეკონომიკაში 90-იანი წლების დასაწყისში, ეკონომიკურმა კვლევებმა რამდენიმე სფეროსთან მიგვიყვანა. უფრო მეტი ყურადღება გამახვილდა მიზეზ-შედეგობრივი შედეგების შეფასებაზე. გარდა ამისა, კარგი შედეგები მოგვცა მიკროეკონომიკურმა თეორიამ იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ სტიმულები და ინფორმაცია, ადამიანის ქცევაზე ზეგავლენას. ამ თეორიამ, რომელიც დაჯილდოვდა ეკონომიკის რამდენიმე პრემიით, მკვლევარებს აძლევს ძლიერი ანალიტიკური საშუალების ნაკრებს, რათა გაანალიზონ სიღარიბის განმსაზღვრელი ფაქტორები და სიღარიბის შესამსუბუქებელი არხები.

1.2. უთანასწორობის გაზომვის მეთოდები

უთანასწორობის გაზომვის მრავალი გზა და მეთოდოლოგია არსებობს, რომლებიც უთანასწორობას სხვადასხვა კუთხით ზომავენ. შემოსავლების უთანასწორობის გაზომვის ხერხებიდან კი ყველაზე აპრობირებული და ხშირად გამოიყენება: ჯინის ინდექსი, ტეილის ინდექსი და ატკინსონის ინდექსი.

ჯინის ინდექსი - უთანასწორობის გაზომვის ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული მეთოდია, რომელსაც მიმართავენ ეკონომისტები. ჯინის კოეფიციენტი ასახავს დოვლათის განაწილების უთანაბრობას ქვეყანაში. იტალიელმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა კორადო ჯინიმ შემიტანა ის ხმარებაში 1912 წელს. საზოგადოდ ჯინის კოეფიციენტი არის მაკროეკონომიკური და სტატისტიკური, რომელიც გვიჩვენებს რაიმე გამოსაკვლევი თვისების მიმართ საზოგადოების ფენებად დაშლის ხარისხს და წარმოადგენს ამ თვისების ფაქტიური განაწილების შეფარდებას აბსოლუტურად თანაბარ განაწილებასთან.

$$K_L = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i$$

სადაც p_i – იმ მოსახლეობის წილია, რომელსაც არა აქვს უფრო მაღალი შემოსავალი, ვიდრე მისი მაქსიმალური დონეა i-ურ ჯგუფში; q_i _ ჯგუფის შემოსავლების წილი

მოსახლეობის საერთო შემოსავლების თანხაში, რომელიც გაიანგარიშება ნაზარდი ჯამით; p_i _ მხოლოდ ფულადი შემოსავლების მაჩვენებელია. ჯინის კოეფიციენტი გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. იგი იანგარიშება 0-დან 1-დე ინტერვალში. კოეფიციენტის მნიშვნელობა 0 ნიშნავს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, ხოლო 1 უთანაბრობა მაქსიმალურია. თუ ჯინის კოეფიციენტს 100-ზე გავამრავლებთ მივიღებთ ჯინის ინდექსს. ჯინის ინდექსის აღწერის ორ ხერხს განიხილავენ: 1. ლორენცის წირის საშუალებით, 2. კოვარიაციის საშუალებით იხ. ნახაზი 1.

ნახაზი 1;



წყარო: Lorenz, M.O. (1905). Methods of measuring the concentration of wealth. Quarterly Publications of the American Statistical Association, 9 (New Series, No. 70), 209–219, (https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/15225437.1905.10503443)

შემოსავლების უთანასწორობის ხარისხი შეიძლება ნაჩვენები იყოს ლორენცის მრუდით. მოცემულ ნახაზზე შემოსავლების ფაქტიური განაწილების მრუდი ორ

ექსტრემუმს შორის: აბსოლუტურ თანაბარ განაწილებასა და აბსოლუტურ უთანაბრობას შორის. აბსოლუტურად თანაბარი განაწილება გამოხატულია დიაგონალით. ხოლო ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია დიაგონალით და წირით, გამოხატავს გათანაბრებიდან გადახრას და ამით გვაძლევს საშუალებას გავზომოთ შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ხარისხი.

ტეილის ინდექსი - წარმოადგენს სოციალური უთანასწორობის საზომს, რომელიც 1967 წელს ნიდერლანდელმა მეცნიერმა ანრი ტეილმა შემოგვთავაზა (Theil. 1967). ტეილის ინდექსი ეფუძნება შენონის მიერ შემოთავაზებულ ცნებას საინფორმაციო ენტროპის შესახებ. ტეილის ინდექსი ეკონომიკის გარდა გამოიყენება საირიგაციო სისტემებსა და პროგრამული უზრუნველყოფის მეტრიკის განაწილების ხარისხის შესაფასებლად. ჯინის ინდექსისგან განსხვავებით ტეილის ინდექსი დაშლადია, ანუ თუ პოპულაცია დაშლილია ჯგუფებად, მაშინ ტეილის ინდექსი მთლიანად პოპულაციისათვის შეიძლება ჩაიწეროს თითოეული ჯგუფის ტეილის ინდექსის შეწონილი ინდექსების ჯამის სახით. ინდექსის დაშლადობა გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ სოციალური უთანასწორობის პროცენტებზე, რომელიც აიხსნება პოპულაციის ჯგუფებად დაშლის საშუალებით და საშუალებას გვაძლევს შევადაროთ პოპულაციის სხვადასხვა ჯგუფებად დაშლები.

არსებობს ტეილის ორი ინდექსი და მათი გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულებით:

$$T_1 = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{n}\left(\frac{X_i}{\overline{X}} \cdot \mathrm{h}\ \frac{X_i}{\overline{X}}\right),$$

$$T_0 = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{n}\left(\mathrm{h}\ \frac{\overline{X}}{X_i}\right),$$

სადაც X_i არის i -ური ინდივიდის შემოსავალი, $\bar{x} = 1/N \sum_{i=1}^{n} Xi$ არის შემოსავლის საშუალო მნიშვნელობა, N არის პოპულაციაში ინდივიდების რაოდენობა. თუ ყველა ინდივიდის შემოსავალი თანაბარია, მაშინ ტეილის ინდექსი 0-ის ტოლია. თუ მთელი პოპულაციის შემოსავალი კონცენტრირებულია ერთი ინდივიდის ხელში, მაშინ ტეილის ინდექსი ტოლია h*N -ის. ხანდახან ტეილის ინდექს უწოდებენ T_1 -ს, ხოლო T_0 -ს საშუალო

ლოგარითმულ გადახრას. საშუალო ლოგარითმული გადახრა მგრძნობიარეა განაწილების მთელი სკალის მიმართ. ტეილის ინდექსის კიდევ ერთი თვისება ისაა, რომ ის ინვარიანტულია, ანუ არ იცვლება მონაცემების ერთიდაიგივე რიცხვზე გამრავლებისას, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ტეილის ინდექსი არ იცვლება დევალვაციის დროს. ტეილის ინდექსი არაა ინვარიანტული შეკრების მიმართ.

ატკინსონის ინდექსი - წარმოადგენს სოციალური უთანასწორობის საზომს, რომელიც 1970 წელს შემოგვთავაზა ენტონ ატკინსონმა (Atkinson 1970). ეს უკანასკნელი გამოიყენება აშშ-ს მოსახლეობის აღწერის სამსახურის მიერ. ატკინსონის ინდექსი შეიძლება გადაიქცეს ნორმატიულ მაჩვენებლად, თუ შემოსავლების აწონვისთვის შემოვიტანთ ε კოეფიციენტს (ის იცვლება 0 და 1 მდე) ეს კოეფიციენტი განიხილება, როგორც მაჩვენებელი იმისა, თუ როგორია საზოგადოების მიმართება შექმნილი სოციალური თანასწორობის მიმართ ანუ იგი არის უთანაბრობის მიუღებლობის (უკმაყოფილების) კოეფიციენტი ისევე, როგორც ჯინის განზოგადებული ინდექსში ν პარამეტრი. ε =0 იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოება გულგრილია შემოსავლების განაწილების მიმართ, ხოლო ε -ის გაზრდა ნიშნავს, რომ საზოგადოებას უფრო და უფრო აწუხებს შექმნილი სოციალური უთანასწორობა. როდესაც ε იზრდება, ანუ იზრდება უკმაყოფილება, მაშინ ატკინსონის ინდექსი უფრო მგრძნობიარეა ცვლილებებისადმი შემოსავლების განაწილების ქვედა ნაწილში, რაც ისედაც მოსალოდნელი იყო, ხოლო როცა ε მცირდება, ატკინსონის ინდექსი უფრო მგრძნობიარეა ცვლილებებისადმი შემოსავლების განაწილების ზედა ნაწილში.

$$A=\begin{cases}1-\dfrac{1}{\mu}\left(\dfrac{1}{N}\sum_{i=1}^{N}y_i^{1-\varepsilon}\right)^{1/(1-\varepsilon)}, & \varepsilon\in[0,1)\\ 1-\dfrac{1}{\mu}\left(\sum_{i=1}^{N}y_i\right)^{N}, & \varepsilon=1\end{cases}$$

სადაც y_i არის i -ური ინდივიდის ან ჯგუფის, i =1, 2,..., N, შემოსავლის დონე, μ არის შემოსავლის საშუალო არითმეტიკული $\mu = 1/N\sum_{i=1}^{n} yi$. უკმაყოფილების პარამეტრი ε არის

ატკინსონის ინდექსის უპირატესობაც და ნაკლიც, რადგან არ არსებობს მისი ამორჩევის ცალსახა ფორმალიზებული მეთოდი. ამიტომ მისი ამორჩევისას და ინტერპრეტაციისას ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ მხოლოდ ზოგადი ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებით. ატკინსონის ინდექსი, იმის გამო, რომ იგი დაფუძნებულია ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა საზოგადოებრივი კეთილდღეობა და სარგებლიანობის ფუნქცია, განიხილება, როგორც სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელი, მაგრამ ის თვლის, რომ სარგებლიანობის ინდივიდუალური ფუნქციები დამოკიდებულნი არიან მხოლოდ შემოსავალზე, რაც ნიშნავს, რომ ამ გამოთვლებისას სოციალური უთანასწორობა დაიყვანება მხოლოდ შემოსავლების არათანაბარ განაწილებაზე.

1.3. შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ქვეყნების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე

კრიმინალის განმსაზღვრელ ფაქტორებში დიდ როლს თამაშობს შემოსავლების უთანაბრობა. ეკონომიკურ თეორიებში კრიმინალურ საქმიანობებზე საუბრობს ბეკერი (Becker; 1968), კრიმინალური ქმედებები ეს არის შედეგი უთანასწორო შემოსავლების. უთანასწორო შემოსავლებს ასევე შეუძლია გაზარდოს პოტენციური კრიმინალის დონე, რადგან განაწილების დონე იმდენად განსხვავებულია მინიმალურ და მაქსიმალურ შემოსავალს შორის, რომ ის პირდაპირ დამოკიდებულებას აჩვენებს კრიმინალთან.

ხოლო, რაც შეეხება სოციოლოგიურ თეორიებს, ისინი ვარაუდობენ, რომ კრიმინალური ქმედებები, ეს არის შედეგი იმედგაცრუების, რომელსა განიცდის დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანი, როდესაც ისინი უყურებენ და ადარებენ თავიანთ ყოფით ცხოვრებას მაღალი შემოსავლის მქონეებს. რაც უფრო მაღალია შემოსავლების უთანასწორობა, მით უფრო მაღალია არაკეთილსინდისიერ პირთა უსამართლობის განცდა და შესაბამისად მიდრეკილნი არიან კრიმინალური საქმიანობებისკენ. მათ თავიან წარმოსახვაში აქვთ სურვილი და მისწრაფება, როგორმე აღმოფხვრან და ამოავსონ ის

უფსკრული, რომელიც არსებობს მდიდრებსა და ღარიბებს შორის. უთანასწორობის შემთხვევაში ადგილი აქ ეკონომიკური და სოციალური სარგებლიანობების შემცირებას ან მთლიანად მის გაუქმებას, რაც უმეტესწილად შეიძლება გახდეს კრიმინალური ქმედების მაპროვოცირებელი. (Morgan, 2000; Merton 1938).

კვლევებმა აჩვენეს პირდაპირი დამოკიდებულება უთანასწორობასა და კრიმინალის დონეს შორის. რამდენიმე სოციალ-ეკონომიკური ფაქტორი პირდაპირ კორელირდებიან უთანასწორობასა და კრიმინალის დონესთან. თუ ეს ფაქტორები არ არის კონტროლირებული სხვადასხვა მიმართულებით, ასეთ შემთხვევაში რთულია რაიმე შეფასების გაკეთება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა უთანასწორობასა და კრიმინალს შორის. ასევე შესაძლებელია დავდგეთ იმ ფაქტის წინაშე, რომ კრიმინალის დონის გაზომვა მოხდა არასწორად, რომელიც განპირობებული შეიძლება იყოს მკვლევართა მიერ დაშვებული შეცდომებით, რომლებიც არის არა შემთხვევითი არამედ ენდოგენური.

ემპირიული კვლევები, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას შემოსავლების უთანაბრობასა და კრიმინალის დონეს შორის დაფუძნებულია შემდეგზე: სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით, კონკრეტული ქვეყნის მონაცემზე. ქვეყნის სპეციფიკაცია შესწავლილ შეიძლება იქნას ორი სახით: პირველი მთოდი დაფუძნებულია ჯვარედინ მონაცემებზე, ხოლო მეორე კომბინირებული ჯვარედინი მონაცემები, რომლებშიც გათვალისწინებულია ინფორმაცია დროით მწკრივზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცის მონაცემებზე დაყრდნობით (Fajnzylber 2002a) აღებულ იქნა ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ კრიმინალის დონეს. კვლევისთვის აღებულ იქნა 40 ქვეყანა და 40 წლიანი პერიოდი. ავტორებმა აღნიშნულ კვლევაზე აჩვენეს შემდეგი - შემოსავლების უთანასწორობა გაზომილ იქნა ჯინის კოეფიციენტით, რომელმაც აჩვენა დადებითი და მნიშვნელოვნით ეფექტი მკვლელობასა და ძარცვის დონეს შორის. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს შედეგი დარჩა უცვლელი, როდესაც მოდელში ჩართეს სხვა ალტერნატიული ცვლადები. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დანაშაულებრივი ქმედებები იყო

ძლიერ კავშირში შემოსავლების უთანაბრობის დონესთან, რომელიც გაზომილ იქნა შემოსავლების პოლარიზაციის ინდექსით, სადაც მონაცემები აღებულ იქნა ყველაზე მდიდარ და ღარიბ მოსახლეს შორის. (Fajnzylber; Lederman; Norman. 2002b)

მაღალი და დადებითი კავშირი არსებობს განათლებასა და შემოსავლების უთანაბრობას შორის. გარი ბექერის (Becker. 1964) ადამიანური კაპიტალის თეორია, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოთხოვნილება სწავლაზე ზრდის უნარებსა და შესაძლებლობებს, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდის პროდუქტიულობის ზრდაზე. ეს უკანასკნელი თავისი არსით ადასტურებს, რომ განათლების მაღალ დონეს და ინდივიდის პროდუქტიულობას ხელფასის მაღალი განაკვეთის საწინდარია. უფრო მეტად განვითარებული საზოგადოება, უფრო მაღალი განვითარების და კეთილდღეობის დონე უჭირავს. დღესდღეისობით განათლებასა და შემოსავლების კარგად ჩამოყალიბებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ეკონომიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.

მეორეს მხრივ აღსანიშნია ის ფაქტი, რომ მზარდმა უთანაბრობამ ხელფასებში შეიძლება განაპირობონ ინვესტიციები განათლებაში, რადგან ის ზრდის ამონაგებს განათლების სფეროში. ტოფელი (Topel. 1997) ფოკუსირებას ახდენს იმ ფაქტზე, რომ სწრაფი უნარების აკუმულირება, ეს არის შედეგი მზარდი უკუგების. უნარების და ადამიანის პოტენციალის ზრდის კვალობაზე შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ მსუბუქდება უთანაბრობის ზრდის უკუეფექტები.

შემოსავლების უთანასწორობის ზეგავლენა განათლებაზე, შესაძლებელია წარმოჩენილ იქნას ორ ფართო ჯგუფად: ის დაკავშირებულია მაკროეკონომიკასთან და უფრო ზოგადი კავშირის მატარებელია უთანასწორობასა და ეკონომიკურ ზრდასთან. განათლება წარმოჩენილია, როგორც გასაღები მზარდი ზრდის. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, ამ შემთხვევაში კვლევები ორიენტირებულია მიკროეკონომიკურ მიღწევებზე და ოჯახის შემოსავლის როლი ბავშვთა განათლებაზე. თუმცაღა ორივე ჯგუფი ორიენტირებულია და მიზანმიმართულია საზოგადოების უთანაბრობის წყალობით არ მოხდეს სწავლაში

ინვესტიციების განხორციელების შემცირება, რაც ხელს შეუშლის საზოგადოების განვითარებას.

მკვლევართა ნაშრომებში (Galor; Zeira. 1993. Banerjee; Newman. 1993. Perotti. 1993), წარმოდგენილია რიგი დასკვნების, შემოსავლების უთანასწორობასა და განათლების დონეს შორის. გალორი და ზაირა ნაშრომებში წარმოდგენილია არასათანადო დამოკიდებულება საკრედიტო ბაზარსა და შეძლებულთა ინვესტიციების განაწილებაში ადამიანური კაპიტალის მიმართულებით. ბანერჯემ და ნიუმანმა შემოქვთავაზეს შემდეგი დასკვნა, რომლის მიხედვითაც განათლების მიმართულების არჩევა დამოკიდებულია თავდაპირველი სიმდიდრის განაწილებაზე. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გალორის და ზაირის, ბანერჯის და ნიუმანის კვლევების გარდა სხვა მაკროეკონომიკური ემპირიული კვლევებს ახასიათებთ ნაკლოვანებები. ენდოგენური ფაქტორები ვერ აჩვენებენ კარგ კორელაციას სწავლასა და შემოსავლების უთანაბრობას შორის და დასკვნა მიდის სხვა მიმართულებით. ეს უკანასკნელი კი საბოლო ჯამში იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც არასახარბიელო შედეგს გვაძლევს არსებულ კავშირზე განათლებასა და უთანასწორობას შორის.

მეორე კატეგორიის კვლევა, რომელიც ორიენტირებულია ოჯახის შემოსავლებზე და მათი შვილების ჩართულობაზე სწავლაში გვიჩვენებს შემდეგს, მდიდარ და შეძლებულ მშობლებს შეუძლიათ დახარჯონ უფრო მეტი თანხა თავიანთ შვილებზე, ამასთან მათი დამოკიდებულება კრედიტის მიმართ არის ხელმისაწვდომია. ეს ფაქტი კი ქმნის მეტ პოტენციალს და მზაობას სწავლაში განხორციელებული ინვესტიცია. რაც შეეხება ღარიბ ოჯახებს მათი სურვილი და მისწრაფება შეიძლება იყოს მაღალი, მაგრამ სიღარიბის გამო უარს ამბობენ განათლებაზე და ასევე მისწრაფება საკრედიტო დახმარებისკენაც არის დაბალი, უმეტესწილად ნულის ტოლი.

დისკუსია იმის შესახებ ახდენს თუ არა შემოსავლების უთანასწორობა ზეგავლენას ადამიანთა ბედნიერებაზე, აკადემიურ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო. ამ მიმართულებით, ლიტერატურაში გამოიკვეთა მოსაზრება რომ ადამიანთა სარგებლის

დონე არამხოლოდ დამოკიდებულია მათი შემოსავლების, ქონების თუ სხვა სიმდიდრის მოცულობაზე, არამედ შეფარდებით პოზიციაზე საზოგადოებაში (van de Stadt; Kapteyn; van de Geer. 1985). მეცნიერებმა ჰირშმანმა და როტშილდმა ჩაატარეს ინტუიციური და შედარებითი ანალიზი იმისათვის რომ გამოეკვლიათ შემოსავლების უთანასწორობის ეფექტი პიროვნულ კეთილდღეობაზე. ამ პრობლემის ასახსნელად ავტორების მოჰყავთ საავტომობილო საცობის შემთხვევა ორზოლიან ესტაკადაზე, რომელსაც დაარქვეს „გვირაბის ეფექტი" (Hirschman; Rothschild. 1973)[2]: „ წარმოიდგინეთ რომ ორზოლიან გვირაბში მარცხენა მხარეს დგახართ და ორივე ზოლზე გაუვალი საცობია. არცერთი მიმართულებით არ იძვრიან მანქანები და თავს გრძნობთ მოწყენილად. ამ დროს მარჯვენა მხარე იწყებს მოძრაობას, რა დროსაც შინაგანი განწყობა მნიშვნელოვნად მაღლდება, რადგანაც იცით რომ საცობი მოიხსნა და მალე თქვენც შეძლებთ მოძრაობის გაგრძელებას. თუმცა იმედები გიცურდებათ რადგანც მარცხენა მხარე კვლავ არ იძვრის და ვერ ახერხებთ სხვა მხარეში გადასვლას, ამ დროს კი ადამიანი ხდება საკმაოდ გაბრაზებული". ეს ანალოგი ნათლად აღწერს შემოსავლების უთანასწორობისა და ბედნიერების ურთიერთკავშირის გარკვეულ ასპექტებს. პირველ რიგში კი უთანასწორობა შესაძლებელია ჩავთვალოთ როგორც ინფორმაცია მომავალი პერსპექტივების შესახებ. ეს გულისხმობს იმას რომ როდესაც ინდივიდი ხედავ რომ მის გარშემო სხვა ადამიანები მოძრაობენ, ისიც ელოდება თვითონაც წინ დაიწყებს მოძრაობას მალე. რაც მიუთითებს იმაზე რომ შემოსავლების უთანასწორობას შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი ინდივიდის კეთილდღეობაზე. მეორე მხრივ ეს დადებითი ეფექტი შესაძლოა რომ გადაიზარდოს უარყოფითში თუკი ინდივიდის მოლოდინები არ გამართლდება. ამ ფაქტი ეკონომიკურ თეორიაში ხშირად უკავშირებენ ხოლმე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობის მდგომარეობასაც, როდესაც ქვეყანა განვითარების გარკვეულ სტადიაზე დიდხანს იჭედება და მოსახლეობის ზოგადი განწყობა და ეკონომიკური მოლოდინები უარესდება

[2] Hirschman, A. O., & Rothschild, M. (1973). The Changing Tolerance for Income Inequality in the Course of Economic Development. *Quarterly Journal of Economics, 87*(4), 544-566.

(ეკონომიკური დეპრესია)[3]. სხვა მხრივ კი, ეს მაგალითი გვეხმარება დავინახოთ რატომ იკლებს ადამიანთა ბედნიერება როდესაც მათი "ხაზი" არ მოძრაობს. ეს ყოველივე ეხება ადამიანების რწმენას თუ რამდენად შესაძლებელია იყვნენ მობილურები თავიანთი ქვეყნის შიგნით და რამდენად რთულია მათთვის მაღლა აწევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საკამო ოდენობით ემპირიული კვლევი და შესაბამისი შედეგებიც, რაც აღწერს შემოსავლების უთანასწორობის ზეგავლენას ბედნიერებაზე აშშ-ს, ევროპისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაგალითზე გაანალიზებული. მაგალითად ევროპის ქვეყნებისათვის სენიკმა (Senik, 2004)[4] აღმოაჩინა რომ უთანასწორობის ზრდას უარყოფითი ეფექტი აქვს ცხოვრების კმაყოფილების დონეზე. სხვა მეცნიერების ნაშრომები ასევე აჩვენებს შემოსავლების უთანასწორობის უარყოფით ეფექტს ადამიანთა ჯგუფების შემთხვევაში რომელებიც განეკუთვნებიან დაბალი შემოსავლების მქონე კლასს ან/და არიან მემარცხენე იდეოლოგიის სპექტრის წამომადგენლები. მეორე მხრივ კი მსგავსი ვლინდება რომ მდიდარი ინდივიდები არიან ინდიფერენტულები უთანასწორობის მიმართ (Alesina, Di Tella, & MacCulloch, 2004)[5].

მეორე ჰიპოთეზა რომელიც ასევე აქტუალურია ლიტერატურაში, ცნობილია შედარებითი შემოსავლების ჰიპოთეზის სახელით (relative income hypothesis). ეს ჰიპოთეზა აქცენტს აკეთებს იმაზე რომ ქვეყნის შიგნით არსებული ინდივიდების შემთხვევაში, შემოსავლების შედარების პოზიციას აქვს ზეგავლენა ჯანმრთელობის სტატუსზე. მეცნიერებს ამ მიმართულებაში მუშაობენ შემდეგი მექანიზმით: „შემოსავალი შედარებით დაბალი დონე ზრდის ინდივიდის ქრონიკულ სტრესს და შესაბამისად აუარესებს ჯანმრთელობას, რაც გამოწვეულია იმ გრძნობის გამწვავებით რომ ადამიანი კარგავს

[3] d'Hombres, B., Weber, A., & Elia, L. (2012). *Literature review on income inequality and the effects on social outcomes*. Luxembourg: European Commission.

[4] Senik, C. (2006). *Ambition and Jealousy: Income Interactions in the "Old" Europe Versus the "New" Europe and the United States.* IZA Discussion Paper No. 2083

[5] Alesina, A., Di Tella, R., & MacCulloch, R. (2004). *Inequality and Happiness: Are Europeans and Americans Different?* Journal of Public Economics, 88(9-10), 2009-2042

მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსებს და შესაბამის სარგებლიანობას“ (Leigh. 2009). აღნიშვნის ღირსია კიდევ ერთი მექანიზმი სახელწოდებით „საზოგადოებრივი ეფექტი (societal effect)“, რომელიც აღწერს თუ რატომ შეიძლება იქონიოს უთანასწორობამ გავლენა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამ თეორიიდან გამომდინარეობს რომ გაზრდილი შემოსავლების უთანასწორობის გამო იმატებს ძალადობების და კონფლიქტების რაოდენობა. მაღალი ძალადობის და კრიმინალის დონისა პირობებში კი როგორც წესი იზრდება არა მარტო ადამიანთა მკვლელობის რაოდენობა, არამედ საზოგადოების სტრესის დონეც, რომელიც იწვევს მათი ჯანმრთელობის გაუარესებას. ემპირიული შედეგებიც აჩვენებს რომ აშშ-ის შემთხვევაში შემოსავლების უთანასწორობის ზრდას აქვს უარყოფითი ეფექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (Lynch, Smith, Harper, Hillemeier, Ross, & Kaplan, 2004)[6], თუმცა ეს ეფექტი არ ფიქსირდება (არ არის მნიშვნელოვანი) დასავლეთ ევროპის ქვეყნების შემთხვევაში (ძირითადად მდიდარი ქვეყნებისათვის).

ერთ-ერთი გავრცელებული ჰიპოთეზის (class-bias hypothesis) მიხედვით, ეკონომიკურ უთანასწორობას შეულია რომ შეამციროს ღარიბი მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობა. ამ ჰიპოთეზის საფუძველია იდეა იმის შესახებ რომ სიმდიდრე და ძალაუფლება ერთმანეთის განმაპირობებელები არიან. მდიდარი ინდივიდები მეტი ძალაუფლება აქვთ პოლიტიკურ სცენაზე ვიდრე ღარიბებს, შესაბამისად დღის წესრიგში იშვიათად ხვდება იმ საკითხების პოლიტიკური განხილვა და მოგვარება რაც უფრო მეტად ადარდებს მოსახლეობის ღარიბ ფენებს. მეცნიერთა შეფასებით, ბევრ ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის მოსაზრებების გათვალისწინება არ ხდება პოლიტიკის საერთო დიზაინის შერჩევისას, რაც გულისხმობს იმას რომ ამ ჯგუფებისათვის არჩევნებში ხმის მიცემით მიღებული სარგებლიანობები შედარებით მცირეა ვიდრე მდიდარი მოსახლეობის

[6] Lynch, J., Smith, G. D., Harper, S., Hillemeier, M., Ross, N., Kaplan, G. A., et al. (2004). Is Income Inequality a Determinant of Population Health? Part 1. A Systematic Review. *Milbank Quarterly, 82*(1), 5-99.

ჯგუფებისათვის (Horn, 2010)[7]. ზემოთხსენებული ჰიპოთეზის კლასიკური გაგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ რომ არჩევნებში მონაწილეობიდან გამოთიშვა (განსაკუთრებით მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის) დადებითადაა დამოკიდებული ეკონომიკურ უთანასწორობის ზრდასთან (Solt, 2010[8], and Mueller and Stratmann, 2003[9]). ისეთ დაშვებებზე დაყრდნობით როგორიცაა:

1. სამთავრობო პოლიტიკები პირდაპირაა მიმართული იმ პრეფერენციებზე რასაც მისი ამომრჩევლები გამოხატავენ;
2. სამთავრობო პოლიტიკები პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს შემოსავლების გადანაწილებაზე, გადასახადებისა და ტრანსფერების საშუალებით. ამ პირობებში დაბალი შემოსავლების მქონე ჯგუფის მიერ შემცირებული აქტივობა საარჩევნო პროცესებში ნიშნავს იმას რომ შერჩეული პოლიტიკური ლიდერები, წინა ფლანგებზე დააყენებენ იმ პოლიტიკურ მიმართულებებს რაც მაღალი შემოსავლების მქონე ჯგუფებისათვისაა უპირატესი.

მიულერი და სტრატუმი (Mueller & Stratmann, 2003) აღნიშნავენ, არჩევნებში დაბალი მონაწილეობის დონეს შეუძლია გამოიწვიოს: „ წარმომადგენლობისა და ზეგავლენის უთანასწორობა, რაც გულისხმობს იმას რომ სამთავრობო პოლიტიკა უფრო მეტად მორგებული და სისტემატიურად გადახრილი იქნება პრივილეგირებული მოქალაქეებისაკენ - ისინი მიიღებენ უფრო მეტ შემოსავალს, მეტ სიმდიდრეს და უკეთესს განათლებას განსხვავებით არაპრივილეგირებული მოქალაქეებისაგან, რაც კიდევ უფრო მეტად გაამწვავებს უთანასწორობის პრობლემას. მეორეს მხრივ, აღსანიშნავია რომ აკადემიურ სივრცეში გამოჩნდა ახალი თეორია სახელწოდებით კონფლიქტის თეორია

---

[7] Horn, D. (2011). *Income Inequality and Voter Turnout.* Gini Working Paper, http://www.gini-research.org/discussion_papers?layout=front_end.

[8] Solt, F. (2010). Does Economic Inequality Depress Electoral Participation? Testing the Schattschneider Hypothesis. *Political Behavior, 32*(2), 285-301.

[9] Mueller, D. C., & Stratmann, T. (2003). The Economic Effects of Democratic Participation. *Journal of Public Economics, 87*(9-10), 2129-2155.

(conflict theory), რომელიც ცდილობს საწინააღმდეგო მოსაზრება, იმის შესახებ რომ შემოსავლების უთანასწორობის ზრდამ პირიქით უნდა გაზარდოს პოლიტიკური აქტივობა. ამ ჰიპოთეზის გასამყარებლად, მეცნიერებს მოჰყავთ არგუმენტები იმის შესახებ რომ შემოსავლების უთანასწორობის ზრდისას იზრდება საზოგადოებრივი მღელვარება, განსაკუთრებით დაბალ შემოსავლიან ფენებში და ისნი პოლიტიკოსებისაგან მოითხოვენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მატი პრობლემების მოსაგვარებლად. როგორც ჰორნი ხსნის თავის ნაშრომში (Horn, 2010), რაციონალური ხმის მიცემის ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, როდესაც ქვეყანაში დაბალია უთანასწორობის დონე, მოსახლეობის ორივე მდიდარი და ღარიბი სტატუსების მქონე ჯგუფებს ძირითადად არ უჩნდებათ ინიციატივები იმასთან დაკავშირებით რომ მთავრობას მოსთხოვონ ისეთი პოლიტიკა რომელიც გამოიწვევს შემოსავლების გადანაწილებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს. საწინააღმდეგო შემთხევაში კი, როდესაც უთანასწორობა დიდია, მოსახლეობის მცირე შემოსავლიანი ჯგუფები აქტიურად ცდილობენ გააპროტესტონ თავიანთი მდგომარეობა და ხელისუფლებისაგან მოითხოვონ სათანადო რეაგირება; ამ უკანასკნელის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო პერიოდში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებიც სახელწოდებით „მოახდინე ვოლსტრიტის ოკუპაცია (Occupy Wallstreet)[10]“. ამ თეორიის გასამყარებლად, ავტორმა განახორციელა რამდენიმე კვლევა, ევროპის ქვეყნებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით. საერთო ჯამში კი აღმოჩნდა რომ ხშირ შემთხევაში უთანასწორობა არ არის მნიშვნელოვნად დაკავშირებული ფაქტორი მოსახლეობის მიერ ხმის მიცემის კუთხით განხორციელებულ აქტივობებთან.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე აქტუალური გახდა თემა, თუ რა ტიპის ზეგავლენას ახდენს შემოსავლების უთანასწორობის გაუარესება ქალთა სამუშაო ზალაში მონაწილეობის ხარისხზე. თუმცა, თუ არსებულ ლიტერატურას გადავავლებთ თვალს, ძირითადად იკვეთება რომ კვლევის არეალი შემოიფარგლება იმის გამოკვლევით თუ რა ურთიერთკავშირი არის უთანაბრობასა და ქალის შემოსავალის წილზე ოჯახის მთლიან

[10] მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ ბმული: http://occupywallst.org/about/

შემოსავლებში და საერთო შემოსავლების გადანაწილების ჭრილში. მოცემული კვლევებიდან, ზოგადად გამომდინარეობს დასკვნა რომ ქალის მონაწილეობა სამუშაო ძალაში მნიშვნელოვნად ზრდის ოჯახის საშუალო შემოსავლების დონეს. თუმცა პრობლემას წარმოადგენს იმისი შეფასება თუ რა სახის გავლენა აქვს ამ უკანასკნელს საზოგადოების საერთო შემოსავლების უთანასწორობის ცვლილებაზე, იქედან გამომდინარე რომ ქალთა შემოსავლების ცვლილება უშუალოდაა დამოკიდებულია სხვა ოჯახის წევრების შემოსავლების ცვლილებაზეც (Brodmann & Esping-Andersen, 2007)[11], (მაგალითად, როდესაც დიასახლისი იწყებს მუშაობას და ოჯახში შემოსავლის დამატებითი წყარო ჩნდება, ამან შესაძლოა ოჯახის სხვა წევრების აქტიურობა შეამციროს დამატებითი შემოსავლების მოპოვების კუთხით). კვლევებიდან ასევე გამომდინარეობს რომ თუკი ქალთა უმრავლესობა დაქორწინებული იქნება დაბალშემოსავლიან მამაკაცზე, მაშინ მათი აქტიური ჩართულობა სამუშაო ძალაში განაპირობებს უთანასწორობის გათანაბრებას. მაგრამ თუკი დასაქმების ბაზარზე მყოფი ქალები თანაბრად იქნებიან გადანაწილებულები მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან მეუღლეებზე, ასეთ დროს ქალთა დამატებითი ნაკადების ჩართვა სამუშაო ძალაში იწვევს შემოსავლების უთანასწორობის ზრდას.

აღნიშვნის ღირსია, უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული კვლევები, რომელიც ითვალისწინებს ოჯახურ სტრუქტურებში განხორციელებულ ცვლილებებს, რაც გამოხატულია მარტოხელა საოჯახო მეურნეობების არსებობით (მაგალითად, მარტოხელა მომუშავე დედები შვილებით და ა. შ.). მარტოხელა მარჩენალის მქონე ოჯახების გაჩენამ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი მარტოხელა დედების არსებობის ფაქტმა, გამოიწვია ის შედეგი რომ დღეს უფრო მეტი შედარებით დაბალი უნარების მქონე ქალი ერთვება სამუშაო ძალაში, რაც საზოგადოების მასშტაბით შემოსავლების უთანასწორობას ამცირებს

[11] Brodmann, S., & Esping-Andersen, G. (2007). *When fertility is bargained: Second births in Denmark and Spain. European Sociological Review*, 23, 599–613

(ეუთო-ს 2011 წლის კვლევა)[12]. თუმცა, ფაქტია რომ, მიუხედავად სხვადასხვა ემპირიული კვლევების არსებობისა, ჯერ კიდევ არ არსებობს ნათელი, მტკიცე დასკვნები იმის შესახებ რომ უთანასწორობის ცვლილებებს მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ქალთა სამუშაო ძალაში მონაწილეობის ხარისხზე.

1980-დან 1990 წლამდე პერიოდში მსოფლიოს 105 ქვეყნიდან 73 ქვეყანაში ადგილი ქონდა სოციალური უთანასწორობის ზრდას გამოხატულს ჯინის ინდექსით. სამეცნიერო წრეებსა და ლიტერატურაში აღნიშნულის სხვადასხვა მიზეზებიდან განსაკუთრებით გამოყოფენ სამს:

1. სამუშაო ძალის უნარების ტექნოლოგიური ცვლილებებთან შეუსაბამობა. აღნიშნული ჰიპოთეზის თანახმად, 1980-1990 იან წლებში ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესმა გაზარდა მაღალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა (მაღალკვალიფიციური მუშახელი წარმოების პროცესში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიების მაკომპლექტებელ კომპონენტს წარმოადგენდა), თუმცა მიწოდების ზრდას ადგილი არ ჰქონია რის ერთ-ერთ მთავარ მიზეზსაც განათლების სექტორში სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი თანხის დახარჯვა და ღარიბი მოსახლეობისათვის განათლებაზე ხელმიუწვდომლობა წარმოადგენდა. აღნიშნულმა პროცესმა განაპირობა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ხელფასის ზრდა, მაშინ როდესაც დაბალკვალიფიციურისთვის იგი შემცირდა. აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციის მიხედვით ხელფასების დიფერენციაციის სიცხადის მიუხედავად, ცალსახა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ აღნიშნული დიფერენციაცია და შესაბამისად შემოსავლების უთანასწორობის ზრდა მხოლოდ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა გამოიწვია არ არსებობს. ლათინური ამერიკის ქვეყნების მონაცემებზე დაყრდნობით, ეკონომეტრიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნულ პერიოდში

[12] OECD. (2011). *Divided We Stand: Why Inequality Keeps Rising.* OECD Publishing.

სოციალური უთანასწორობის ზრდის პროცესში სხვა ფაქტორებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

2. აღნიშნული ჰიპოთეზის თანახმად 1980-1990 - იან წლებში ადგილი ჰქონდა სამუშაო ძალის ბაზრების ინტეგრაციას და დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის მიერ წარმოებული საექსპორტო ნაკადების ზრდას, რამაც საბოლოოდ ზეწოლა მოახდინა ხელფასებზე როგორც დონორ ისე რეციპიენტ ქვეყნებში. მიგრაციის ნაკადებმა განსაკუთრებით გაზარდა უთანასწორობა ისეთ ქვეყნებში სადაც დაბალკვალიფიციურ სამუშაო ძალას ნაკლებად ქონდა მიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების საშუალება. ამავდროულად, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გადინების შედეგად დონორ ქვეყნებში ადგილი ქონდა კვალიფიკაციის მიხედვით ხელფასთშორის გეპის და შესაბამისად, უთანაბრობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ უთანასწორობის ზრდის აღნიშნული არგუმენტი სამეცნიერო წრეებში დისკუსიის აქტიურ საგანს წარმოადგენს (მაგალითად Docquier და Rapoport, 2003).

3. ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული შეუსაბამო პოლიტიკის გატარება. აღნიშნული მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს ჰეკშერ-ოლინის თეორიას, რომლის მიხედვითაც სავაჭრო ლიბერალიზაცია ხელს უწყობს ქვეყანათაშორის არსებულ უთანასწორობის გამოთანაბრებას. აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლებიდან 1980-იანი წლების დასაწყისამდე, სავაჭრო ლიბერალიზაციის შედეგად შეინიშნებოდა უთანასწორობის მდგრადი შემცირება. თუმცა, 1980-1990-იანი წლების მონაცემების ანალიზი მექსიკის, კოლუმბიის, ჩილეს, ბრაზილიის, არგენტინის, ჰონგ-კონგის, რუსეთის ფედერაციისა და ინდოეთისთვის აჩვენებს, რომ სწრაფი სავაჭრო ლიბერალიზაციის შედეგად ადგილი ქონდა შემოსავლების უთანაბრობის ზრდას, რის მთავარ მიზეზსაც იმპორტის კონკურენტი დარგებიდან საექსპორტო დარგებში საწარმოო

ფაქტორების დაბალი მობილურობა წარმოადგენს. თეორიასა და ემპირიულ მონაცემებით მიღებულ შედეგებს შორის შეუსაბამობა ძირითადად იხსნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფით ეფექტებით. კერძოდ:

I. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდილი წილით კაპიტალ და კვალიფიკაცია ინტენსიურ მომპოვებელ, საწარმოო, ფინანსების ტელეკომუნიკაციის და ბიზნეს მომსახურების სექტორებში (UNCTAD, 2009, ცხრილი).

II. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდილი წილი რომელიც ვლინდება ბიზნეს კომბინაციებში (შერწყმა და შესყიდვა) აუარესებს აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა მდგომარეობას (Labour Shedding) რაც თავის მხრივ მოკლევადიან პერიოდში შემოსავლების განაწილებაზე ნეგატიურად აისახება (Baldwin, 1995; Morley, 2000).

III. კაპიტალ ინტენსიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ისეთ ბაზრებზე სადაც ჭარბობს შრომაინტენსიური კომპანიების წილი უარყოფით გავლენას ახდენს სამუშაო ძალის შემოსავლებზე.

თავი II უთანასწორობა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკები

სამყარო, სადაც სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება, მნიშვნელოვნად შეიცვალა, ეს ცვლილებები კი განსაკუთრებით 1990 წლიდან შეიმჩნევა. დავიწყოთ იმით, რომ ტრადიციული პრობლემები (მაგ.: დიდი უცხოური ვალი და ინფლაცია), რომლებმაც 1980-1990-იან წლებში მკაცრად შემზღუდველი საგადასახადო პოლიტიკა გამოიწვიეს, აღმოიფხვრნენ და აქედან გამომდინარე მტკივნეულ კორექტირებებს აღარ საჭიროებენ. ეს ყველაფერი გადაწყვეტილებების მიღებისას თავისუფლების უფრო მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. ამავდროულად, 2000-იან წლებში განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფინანსური გლობალიზაციის შეუჩერებელმა გავრცელებამ, აშშ-ს არამდგრადმა ფისკალურმა პოლიტიკამ, ევროპის სუვერენულმა ვალის კრიზისმა და განვითარებული ქვეყნების საბანკო და ფინანსური კრიზისისგან გამოწვეულმა ზიანმა, რომელიც თავის მხრივ ადეკვატური საბანკო რეგულაციების და ფინანსური ზედამხედველობის ნაკლებობამ გამოიწვია.

ამასობაში, ფართოდ გავრცელებულმა ვაჭრობამ და კაპიტალური ანგარიშების ლიბერალიზაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა საშინაო პოლიტიკის არეალი და მთავრობებს იმ დროისთვის არც ისე ოპტიმალური „თავდაცვითი პოლიტიკის“ (როგორიცაა, უზარმაზარი რეზერვების დაგროვება) მიღება აიძულა. ასეთი თავდაცვითი სტრატეგიები გლობალური ბაზრების არასტაბილურობის, ბაზრებზე მოლოდინების და მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაწესებული შეზღუდვების კომპენსირებას ემსახურებოდა. და ბოლოს, ვინაიდან ქვეყნები ახლა გაცილებით უფრო დამოუკიდებლები არიან ვიდრე უწინ, სექტორებს და ქვეყნებს შორის ზიანის გავრცელება ახლა გაცილებით უფრო დამანგრეველი და ყოვლისმომცველია. ამ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ზიანის შემაჩერებელი ან მისგან გამოწვეული უარყოფითი გავლენის დამაბალანსებელი

თავდაცვითი და გლობალური უსაფრთხოების ქსელების ნაკლებობა ჯერ კიდევ დიდი პრობლემაა.

2.1. მაკროეკონომიკური სტრატეგიები, მათ შორის სავაჭრო პოლიტიკა და ფინანსური რეგულაციები

ბოლო ორი ათწლეულის გამოცდილება „ახალი მაკროეკონომიკური მიდგომის“ სასწრაფოდ მიღების აუცილებლობაზე მიანიშნებს, რომელიც უთანასწორობის შემცირებასთან თანხვედრაში იქნება და რომელიც შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს:

უცხოური დავალიანების შეზღუდვა და შიდა დანაზოგების მობილიზება - მიმდინარე ანგარიშების ლიბერალიზაცია საერთაშორისო დანაზოგებზე წვდომისთვის, კაპიტალის დაგროვებისთვის და სამუშაო ადგილების შექმნისთვის ოქროს შესაძლებლობად იქნა წარმოჩენილი. თუმცა, გარდამავლ პერიოდში ევროპული ეკონომიკების გამოცდილება და შესაბამისი კვლევები გვიჩვენებს, რომ უცხოურ ფინანსებზე გადაჭარბებული დაყრდნობა ხშირად „ფინანსურ მახეში“ მოხვედრით მთავრდება, რაც ხასიათდება ვალუტების შეუსაბამობით, მაღალი რისკის პრემიით, მოულოდნელი დამუხრუჭებების მიმართ დაუცველობით, უცხოური სესხების მატების შედეგად გამოწვეული შიდა საპროცენტო განაკვეთების ზრდით, რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდით, არაპრიორიტეტულ სექტორებზე რესურსების განაწილებით და ყველა იმ ფენომენით, რომელიც როგორც ზრდაზე ასევე უთანასწორობაზე ახდენს გავლენას. ასეთი რისკები მცირდება, თუმცა არ ქრება, როდესაც კაპიტალის შემოდინება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახეს იღებს. პირიქით, ეკონომიკებს უფრო დიდი საბანკო სისტემებით და მაღალი საინვესტიციო განაკვეთებით საინვესტიციო პორტფელის უფრო მცირე შემოდინება აქვთ ვიდრე მათ, ვინც უცხოურ დანაზოგებზეა დამოკიდებული (ჩინეთი და მალაიზია ამის კარგი მაგალითია). აქედან გამომდინარე, უცხოური რესურსების გამოყენება შერჩევითი და მდგრადი უნდა იყოს. დიდი უცხოური ვალის მქონე ქვეყნებმა

ისინი უნდა შეამცირონ, როგორც ეს ბოლო პერიოდში რამდენიმე განვითარებად რეგიონში წარმატებით განხორციელდა. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალის დაგროვება ძირითადად შიდა დანაზოგების მობილიზებით უნდა ფინანსდებოდეს, რაც თავის მხრივ კარგად რეგულირებული საბანკო ქსელის განვითარებით უნდა მოხდეს, როგორც ეს იაპონიის, მალაიზიის, ჩინეთის და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყნის წარსულმა გამოცდილებამ აჩვენა (Rojas Suarez, 2010). ეს ასევე ნიშნავს გაზრდილი როლის მინიჭებას ცენტრალური ბანკებისთვის, რომლებსაც ციკლის საწინააღმდეგოდ ქმედება შეუძლიათ, როგორც ეს ბრაზილიის განვითარების ბანკის მაგალითზე დაკვირვებამ აჩვენა. ამ უკანასკნელმა 2009 წელს კრედიტები გაზარდა უცხოური და ადგილობრივი კომერციული ბანკების „უსაფრთხოებისკენ გადინების“ ასანაზღაურებლად. შიდა დანაზოგების გაზრდა შესაძლებელია აგრეთვე საპენსიო ფონდების რესურსების გამოყენებით, სამომხმარებლო კრედიტების შეზღუდვით და ცხადია ინვესტირებისთვის საკმარისი სტიმულების უზრუნველყოფით. და ბოლოს, 60-ზე მეტ განვითარებად ქვეყანაში, სადაც გადასახადები/მშპ-ის ფარდობა 10-12%-ზე ნაკლებია, საზოგადოებრივი დანაზოგები უნდა გაიზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის, ინფრასტრუქტურის და მწვანე ეკონომიკის დასაფინანსებლად. რაც თავის მხრივ საგადასახადო წნეხის გაზრდით უნდა მოხდეს, როგორც ეს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ლათინური ამერიკის რამდენიმე და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამ ქვეყანაზე, ხოლო უახლეს წარსულში ჩინეთზე დაკვირვებამ აჩვენა.

კაპიტალის შემოდინების და მისი სექტორული განაწილების გამოყენება - ქვეყნებში, სადაც შრომის ჭარბი მიწოდებაა, მოსალოდნელია, მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდაზე და გადანაწილებაზე დადებით ეფექტებს გამოიწვევს. ისეთს, როგორიც ეს მალაიზიაში, მაურიტუსში და ცენტრალური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში მოხდა. სხვა სექტორებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა კი უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს, რადგან მათ შეიძლება არასასურველი სავაჭრო შედეგები (trade offs) გამოიწვიონ და მაკომპენსირებელ ქმედებს მოითხოვენ. მაგ.:

საზოგადოებრივი სამუშაოს სქემებს მათთვის, ვინც შემცირებაში მოყვა. ამის საპირისპიროდ, გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის და ძლიერი მარეგულირებელი ინსტიტუტების არსებობის შემთხვევაშიც კი, ქვეყნებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ ბაზრიდან გამომდინარე და ადმინისტრაციული კონტროლის დაწესება შემომავალ და გამავალ ინვესტიციებზე, თუკი მათ გამო რეალურ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანი რყევები დაემუქრება. ასეთი ზომები იქნა მიღებული ბოლოს არგენტინაში, ბრაზილიაში და კოლუმბიაში, რომლებიც ოდნავ შემსუბუქდა 2009 წელს ჩინეთში და ჩვეულებრივი მოვლენა იყო 1990-იან წლებში კოლუმბიაში, ესპანეთში, ჩილეში, მალაიზიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში. დამატებით, ეროვნულ ბანკს შეუძლია ლიმიტები დააწესოს ადგილობრივი ბანკების უცხოურ კავშირებზე, აუკრძალოს ბანკებს სესხება საერთაშორისო ასპარეზზე და გაუზარდოს სესხები არასავაჭრო სექტორს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2011) მხარს უჭერს კრიზისულ პერიოდებში დროებითი კონტროლის დანერგვას, თუმცა, ქვეყნებმა შეიძლება ისინი წარმოადგინონ როგორც *ფაქტზე დაფუძნებული* (Ex-ante) და შეინარჩუნონ ისინი იმდენი ხანი, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიან, როგორც ეს ჩინეთმა გააკეთა დიდი დროის განმავლობაში.

გრძელვადიანი წონასწორობა და მიმდინარე ანგარიშის მცირე დადებითი ბალანსი - სტაბილურად უცხოურ დანაზოგებზე დამოკიდებულების შემცირებასთან ერთად და მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტის პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც 1980-1990-იან წლებში დაფიქსირდა, განვითარებადმა ქვეყნებმა მიზნად მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა დაისახონ. ხოლო გრძელვადიანი ფისკალური ბალანსის ან მცირე დადებითი ბალანსის დაფიქსირების დროს მდგომარეობის შენარჩუნებისკენ უნდა ესწრაფვოდნენ. ამ მიზანს გასული 20 წლის განმავლობაში რამდენიმე ეკონომიკამ მიაღწია, აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების იმ გარდამავალი ეკონომიკების გამოკლებით, რომლებიც ბუნებრივი აირის მწარმოებლები არ არიან და სადაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მკვეთრად, მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ის ოდენობით გაიზარდა.

საშუალო გაცვლითი კურსის რეჟიმის არჩევა - ასეთმა რეჟიმმა სავალუტო კრიზისის მინიმიზაცია უნდა მოახდინოს და ამავდროულად ვაჭრობის სექტორის გასაფართოებლად სტიმულები უნდა უზრუნველყოს, სადაც ხშირად ღარიბების უმრავლესობა (თუმცა, არა აუცილებლად) მუშაობს. ეს საშუალო კურსის რეჟიმებზე „ორკუთხოვანი გამოსავლის“ უპირატესობის იდეის უარყოფას ნიშნავს. აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა 2009 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადეს, რაშიც წვლილი ფიქსირებულმა სავალუტო კურსმა და ამ კურსის შესანარჩუნებლად საჭირო რეზერვებმა იქონიეს. მაშინ როდესაც ამ ნაშრომში განხილულმა ლათინური ამერიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა საშუალო გაცვლითი კურსის რეჟიმები მიიღეს, რამაც მათ რეალური სავალუტო გაცვლითი კურსის მნიშვნელოვნად სტაბილიზაციის და გარეგან შოკებზე სწრაფად რეაგირების შესაძლებლობა მისცათ. ცხადია, რთულია განზოგადება, მაგრამ მცირე და საშუალო ზომის განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც თავიანთი გამოშვების დიდი ნაწილის ექსპორტს ეწევიან, საშუალო კურსის რეჟიმი, რომელიც რეალური გაცვლითი კურსის და მასზე მოლოდინების დამაჯერებლად სტაბილიზაციის ისახავს მიზნად, საუკეთესო ვარიანტი ჩანს. ასეთი გაცვლითი კურსის რეჟიმის მაგალითი არის „კალათის, დიაპაზონის და ცოცვის“ რეჟიმი, რომელიც 1990-იან წლებში ჩილეში (უილიამსონი,2003) და 2000-იან წლებში არგენტინაში (ფრენკელი და რაპეტი,2008) დაინერგა. ამ ქვეყნებში მცურავი, კომბინირებული ნომინალური გაცვლითი კურსის მოქნილობა ცენტრალური ბანკის მიერ უცხოურ სავალუტო ბაზრებზე დისკრეციულ ჩარევებთან და მნიშვნელოვანი სავალუტო რეზერვების აკუმულირებასთან[13] (აღმავლობის დროს რეალური გაცვლითი კურსის

[13] ბევრ განვითარებად ქვეყანაში რეზერვების აკუმულირება ვაჭრობიდან განპირობებული მოგების მეშვეობით მოხერხდა, ვინაიდან ძირითად შუალედურ საქონელზე მსოფლიო ფასები გაიზარდა, ხოლო სამრეწველო საქონელზე დაეცა.

რევალვაციის ან დიდი გარეგანი შოკების დროს კურსის კრიზისის შესამსუბუქებლად) ერთად საუკეთესო სტრატეგია ჩანს.[14]

სავაჭრო პოლიტიკა - 1980-1990-იან წლებში ვაჭრობის ლიბერალიზაციამ ბევრ შემთხვევაში მოკლევადიანი პერიოდის ფაქტორების არამობილობის, ვაჭრობით გამოწვეული კვალიფიციური მუშაკებისადმი მიკერძოებული ტექნოლოგიური ცვლილების, ვაჭრობის და კაპიტალის ანგარიშის ერთდროული ლიბერალიზაციის უარყოფითმა შედეგებმა და სხვა ფაქტორებმა შემოსავლების განაწილების გაუარესება გამოიწვია (Koujanou-Goldberg and Pavcnick, 2007; Taylor, 2004). თუმცა, ბოლო ათი წლის განმავლობაში პრაქტიკაში არსად თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკა სხვა სისტემით არ ჩანაცვლებულა[15] მიუხედავად იმისა, რომ დაბალი საშუალო სატარიფო განაკვეთების მიერ უთანასწორობის ეფექტების წარმოქმნის მტკიცებულება ბოლო ათწლეულისთვის არ არსებობს (Székely, 2012). თუმცა, ყოველი დამატებითი ლიბერალიზაციის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი ეფექტი, როგორც ზრდაზე ასევე უთანასწორობაზე და გამოირიცხოს ეკონომიკის გახსნის ნებისმიერი მომდევნო ეტაპი თუკი მოსალოდნელი შედეგები უარყოფითი ან საეჭვო ჩანს. ამასთან, სტრატეგიამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ვაჭრობის დივერსიფიცირებას სექტორის და ადგილმდებარეობის მიხედვით.

[14] შეიძლება ეს მიდგომა თავსებადი არ იყოს იმ ქვეყნების განაწილებით მიზნებთან, რომლებშიც ღარიბები არასავაჭრო სექტორში მუშაობენ, სავაჭრო სექტორში კვალიფიცირებული სამუშაო ძალის სიჭარბეა- როგორც ბევრ სამთო ეკონომიკაში- ან ღარიბები სავაჭრო სექტორში მუშაობენ, მაგრამ სტრუქტურული ფაქტორები ჩამოფასებიდან სარგებლის მიღების ალბათობას ამცირებენ. ძალიან პატარა ეკონომიკებში, რომლებსაც ვაჭრობის არამდგრადი პირობები და დივერსიფიცირებულ ექსპორტში სირთულეები ახასიათებთ, დოლარიზაცია შეიძლება სასურველი იყოს. და ბოლოს, დიდ განვითარებად ქვეყნებში სადაც ვაჭრობის/მშპ-ის შედარებით დაბალი ფარდობაა, კონკურენტული რეალური გაცვლითი კურსი ერთ-ერთი ეფექტიანი არჩევანია. იქიდან გამომდინარე, რომ ზრდა და გადანაწილების მიზნები ფისკალური პოლიტიკით ნაკარნახევი ადგილობრივი მოთხოვნის მეშვეობით იქნეს მიღწეული.

[15]თუმცა, 2011 წელს არგენტინაში და ბრაზილიაში, სადაც რეალური გაცვლითი კურსის ღირებულება ზრდადი შემოდინების გამო გაიზარდა) სატარიფო განაკვეთები 35%-მდე გაიზარდა. ეს კი ის განაკვეთია, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მაქსიმალურ დასაშვებ ნიშნულადაა მიჩნეული იმ სიტუაციაში, როდესაც ადგილობრივ სექტორებს ჭარბი ექსპორტის გამო საფრთხე ემუქრებათ.

დომინანტი სავაჭრო პარტნიორების მხრიდან პოტენციური გადამდები ზიანის შესაკავებლად, როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე 2008-2010 წლებში დაკვირვებამ აჩვენა. მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს მისწრაფება ვაჭრობის ლიბერალიზაციისკენ, რომელიც იმპორტთან კონკურენტული სექტორების ნგრევას იცილებს თავიდან, აქტიურად ისწრაფვის ექსპორტის შემადგენლობის და დანიშნულების ადგილის დივერსიფიცირებისკენ, ამასთან სწრაფად აღმოფხვრის ნებისმიერ დარჩენილ ანტი-ექსპორტულ მიკერძოებულობას და ხელს უწყობს რეგიონულ სავაჭრო ინტეგრაციას, განსაკუთრებით სამრეწველო სფეროში. საბოლოოდ, როდესაც ვაჭრობის ლიბერალიზაცია ზრდას ხელს უწყობს (მაგ.: ტექნოლოგიური მოდერნიზების გზით), ამავდროულად უთანასწორობას წარმოშობს (მაგ.: არაკვალიფიციური სამუშაო ძალის შემცირების გზით), მას თან უნდა ახლდეს ისეთი მაკომპენსირებელი პროგრამები და აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა, რომლებიც შემოსავლების უთანასწორობაზე გავლენას შეამცირებს.

ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა და სტაბილიზაციის ფონდები - ბევრ ქვეყანაში სამთავრობო შემოსავლები და დეფიციტები მნიშვნელოვნად მერყეობს ექსპორტზე მათი მოთხოვნის და ფასების რყევების გამო. კაპიტალის ბაზრები ციკლის მიმართულებით მოძრაობენ და ამასთან მოხმარების სტაბილიზაცია არ შეუძლიათ. ეს ყველაფერი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული სახელმწიფო დანახარჯების შემცირებით მთავრდება, რამაც შოკები კიდევ უფრო დაამძიმა და ზრდა და უთანასწორობა გააუარესა. თუმცა, როგორც ლათინური ამერიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე ქვეყნის უახლესი მაგალითი გვიჩვენებს, მსგავს პრობლემებთან ბრძოლა ანტიციკლური პოლიტიკით შეიძლება, რომელიც კრიზისულ წლებში (როგორც 2009 წელს) სახელმწიფო დანახარჯებს გაზრდის და საპროცენტო განაკვეთებს შეამცირებს, ხოლო აღმავლობის წლებში წარმოქმნის საბიუჯეტო ნამატს, შეამცირებს საზოგადოებრივ ვალს, დააგროვებს რეზერვებს და შეამცირებს ინფლაციას. შუალედური საქონლის ექსპორტიორების შემთხვევაში ანტიციკლური ფისკალური

პოლიტიკას „სტაბილიზაციის ფონდების“ შექმნით შეიძლება შეეწყოს ხელი, რომელიც აღმავლობის პერიოდში რესურსებს შემოინახავს და კრიზისულ წლებში გამოიყენებს, როგორც ეს ვენესუელაში და ჩილეში მოხდა. ასეთი პოლიტიკა არასავაჭრო სექტორიდან წარმოქმნილ ინფლაციურ წნეხს ამცირებს აღმავლობის წლებში, მაშინ როდესაც კრიზისის დროს ინარჩუნებს საზოგადოებრივ მოხმარებას და მთლიან მოთხოვნას. ალტერნატიული გამოსავალი „საგანგებო საგადასახადო წესების“ ex-ante - დ მიღებაში მდგომარეობს (ზემოთ ნახსენები ლათინური ამერიკის შემთხვევა), რომლის თანახმადაც მოულოდნელი შოკების შემთხვევაში, მთავრობები ჩვეულებრივი ფისკალური მიზნებით არ არიან შებორკილები და თავისუფლად შეუძლიათ სახელმწიფო დანახარჯების და საბიუჯეტო დეფიციტის გაზრდა. ასეთი ზომების მიღება ექსპანსიურ ფისკალურ მდგომარეობას დამაჯერებლობას მატებას იმ ქვეყნებში, სადაც მსგავს დისკრეციულ ზომებს ბაზრები და საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეჭვით უყურებენ. ამ პოლიტიკის ძირითადი გადასაწყვეტი საკითხი კრიზისულ სიტუაციაში მდგრადი დეფიციტის არჩევანს და ამ დეფიციტის შემცირების ტემპს ეხება. ამ შემთხვევაში, არსებობს იმის მტკიცებულება, რომ დიდ და სწრაფ ფისკალურ შემცირებას, როგორც მოკლე ასევე გრძელვადიან პერიოდში ზრდის შემცირება შეუძლია. ცხადია, დეფიციტი უნდა შემცირდეს, თუმცა ეს თანდათანობით უნდა მოხდეს. ადამის და ბევანის (2011) თანახმად, ყოველწლიურად დეფიციტის შემცირება მთლიანი შიდა პროდუქტის 1.5%-მდე ოდენობით ფისკალურ ბალანსს აღადგენს გამოშვებაზე მინიმალური ზემოქმედებით , მაგრამ უფრო დიდი ოდენობით დეფიციტის შემცირებას რეალურად ზრდაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია.[16]

[16] საერთაშორისო სავალუტო ფონდის მდგომარეობა 2009 წელს შეიცვალა. დღესდღეობით მისი როლი ბოლო გამსესხებლის (ცენტრალური ბანკის) როლს უახლოვდება, რაც დიდწილად განვითარებადი ქვეყნების მიერ იყო მოთხოვნილი. ლოგიკურია, რომ 2008-2009 წლებში მისმა ქმედებებმა მწვავე კრიზისი ააცილა მცირე ეკონომიკებს, რომლებიც როგორც ფინანსური კუთხით ასევე უცხოურ ასპარეზზე არამდგრადობით ხასიათდებოდნენ.

საბიუჯეტო შემცირებების განაწილებას ასევე დიდი გავლენა აქვს შემოსავლების უთანასწორობაზე. ამ შემთხვევაში, ბოლოდროინდელი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ 1980-1990-იანი წლებისგან განსხვავებით- 2009 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, საზოგადოებრივ სამუშაოებზე, შემოსავლების მხარდაჭერაზე, ინფრასტრუქტურაზე და ძირითად სახელმწიფო ინვესტიციებზე ხარჯები უნდა შენარჩუნებულიყო ან უნდა გაზრდილიყო, თუმცა, ეს პოზიცია 2010 წელს შეიცვალა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მასიურად გავრცელდა გათანაბრებაზე ორიენტირებული ნაღდი ფულის სატრანსფერო პროგრამები (ბრაზილიაში, მალაიზიაში, თავი Ш.В და ტაილანდში), ისევე როგორც საპენსიო პროგრამები, მუშაკთა შენატანების გარეშე სამხრეთ აფრიკაში და ეროვნული სასოფლო დასაქმების საგარანტიო სქემა ინდოეთში. მსგავსი პროგრამები არსებობენ ამჟამად ლათინური ამერიკის სულ მცირე 18, სუბსაჰარული აფრიკის 20, სამხრეთ აზიის 6 და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 5 ქვეყანაში და 860 მილიონ ადამიანს მოიცავენ[17]. მაშინ როდესაც ეს ტრანსფერები ჩვეულებისამებრ მაკროეკონომიკური პოლიტიკის კომპონენტად არ მიიჩნევიან, ისინი „ავტომატური სტაბილიზატორების“ როლს ითავსებენ OECD-ის ქვეყნებში უმუშევრობის დაზღვევის მსგავსად. ეს შესაძლებელს ხდის ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკის დანერგვას, რომელიც სხვა შემთხვევაში ძნელად მხარდასაჭერ სოციალურ და პოლიტიკურ დანახარჯებს წარმოქმნიდა.

გაზრდილი გადასახადები საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად და მაკროეკონომიკური სტაბილურობის გასაუმჯობესებლად - ბევრ განვითარებად ქვეყანაში, 1980-1990-იან წლებში დაფიქსირებული საბიუჯეტო დეფიციტები წარმოიშვა არა მხოლოდ სამთავრობო ხარჯებისგან, არამედ უფრო დაბალი და შემცირებადი საგადასახადო/მშპ ფარდობისგან (Chu et al., 2004), რაც ხშირად მთავრდება უთანასწორობის მომტანი ხარჯიანი ფისკალური კორექტირებებით ან სოციალური უზრუნველყოფის შემცირებებით. მართლაც, როგორც სინგი (2006) ამტკიცებს მაკროეკონომიკური არამდგრადობა რამდენიმე

[17] იხილეთ-http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1672090).

განვითარებად ქვეყანაში 1980-1990-იან წლებში გამოწვეული იყო მათ მიერ შეგროვებული გადასახადების დაბალი დონით.

გასული ათწლეულის განმავლობაში ლათინური ამერიკა საგადასახადო/მშპ ფარდობის საკმაოდ უნივერსალური და პროგრესიული ზრდის მოწმე გახდა, რაც უჩვეულოდ 9-10 ერთეულით გაიზარდა ბრაზილიაში და არგენტინაში და რამაც შესამჩნევად გააუმჯობესა გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლების განაწილება. ეს ფენომენი ასევე შემჩნეულ იქნა კორეის რესპუბლიკაში (ცხრილი 1). თუმცა, პრაქტიკაში ასე არ ხდებოდა უახლეს პერიოდამდე, როდესაც რამდენიმე განვითარებად ქვეყანაში ჩინეთის ჩათვლით ეფექტური საგადასახადო შემოსავლები მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდა (Cornia, Gomez Sabaini and Martorano, 2011).

ცხრილი 1

ჯინის კოეფიციენტის ცვლილების გა ნაკვთზე დამყარებული გადანაწილების ეფექტი, 2007

	რეინოლდ მოლენსკი
სბაზრო შემოსავალი + კერძო ტრანსფერი	1.42
კერძო შემოსავალი + საჯარო ტრანსფერი	0.85
მთლიანი შემოსავალი - საშემოსავლო გადასახადი	1.49
მთლიანი შემოსავალი - საშემოსავლო გადასახადი-სხვა პირდაპირი გადასახადი - სოციალური უსაფრთხოების კონტრიბუცია	1.85
განკარგვადი შემოსავალი - არაპირდაპირი გადასახადი	-0.18
ჯინის კოეფიციენტის მთლიანი გადახრა	3.94

წყარო: Sung, 2009.

ანტიციკლური და სიტუაციაზე მორგებული მონეტარული პოლიტიკა - ტრადიციულად ლიბერალური პოზიცია საპროცენტო განაკვეთების და საკრედიტო შეზღუდვების გაზრდის გზით ერთნიშნა ინფლაციის დონეს ისახავდა მიზნად . თუმცა, ბრუნომ და ისტერლიმ (1998) აჩვენეს, რომ 40%-იანი ნიშნულის ქვემოთ წლიური ინფლაცია არ ქმნის შესამჩნევ ეკონომიკურ სარგებელს, მაშინ როდესაც მათი შედეგების მიხედვით ამ ზღვრის ზემოთ ფასების ზრდა მშპ-ის ზრდაზე ახდენს გავლენას. და

პირიქით, სწრაფი დეფლაცია სავარაუდოდ საგადასახადო შემოსავლების მშპ-თან ენდოგენურობის გამო მშპ-ის შემცირებას და ფისკალური დეფიციტის გაფართოებას გამოიწვევს. უფრო მეტიც, მაღალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა ფინანსური სიმდიდრის კონცენტრაციას უწყობს ხელს ობლიგაციების მფლობელების ხელში, ზრდის მწარმოებლურ ხარჯებს და ფინანსურ ვალდებულებებს წარმოქმნილს ფირმების და შუალედურ საქონელზე ფასების ზრდის შედეგად წარმოქმნილი ინფლაციის (ქოსთ-ფუშ ინფლაცია) მიერ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მონეტარულმა პოლიტიკამ ინფლაციის თანდათანობით შემცირება უნდა დაისახოს მიზნად, რაც 1990-იანი წლების სწრაფი დეფლაციის შემდეგ, ნებისმიერ შემთხვევაში ინფლაციის შემცირების წარსულ ტემპზე უფრო მცირე იქნება. ეს ნიშნავს იმას, რომ მაშინ როდესაც მიზნობრივი რეალური საპროცენტო განაკვეთი 2%-დან 3%-ის დიაპაზონში შეიძლება იყოს, ნომინალური განაკვეთები საგრძნობლად უფრო ნაკლებად უნდა გაიზარდოს ვიდრე ეს სტანდარტული მიდგომითაა გათვალისწინებული. ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ქოსტ-ფუშ ინფლაციის შეზღუდვას და ამავდროულად თავიდან აიცილოს ინვესტიციების და დასაქმების დონის შემცირება. მაშინ როდესაც, ამ მიდგომასთან თავსებად ფულის მიწოდების დონეს სიტუაციასთან მორგება დასჭირდება, პოლიტიკის გამტარებლებმა ამავდროულად მიკროეკონომიკური რეფორმები უნდა წარმოადგინონ, რათა ქოსთ-პუშ ინფლაციის გამომწვევ მიზეზებს შეებრძოლონ. ამავდროულად, გასული ათწლეულის გამოცდილება გვიჩვენებს , რომ მონეტარული პოლიტიკა ანტიციკლური მიმართულებით აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს, რათა კრიზისით გამოწვეული ეფექტები შეაჩეროს და უცხოურ გაცვლით ბაზრებზე ცვლილებების სტერილიზება მოახდინოს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, კაპიტალის კონტროლი მონეტარული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლ-ად აუცილებელია.

საბანკო და ფინანსური სექტორის რეგულირება - უთანასწორობის შემცირება ადგილობრივი ფინანსური სექტორის მარეგულირებელი ზომების მიღებითაც შეიძლება, რომელთა მსგავსიც გასულ ათწლეულში ზოგიერთ განვითარებად რეგიონში დაფიქსირდა.

მართლაც, გასული ათწლეულის დამახასიათებელი თვალსაჩინო ნიშანი ისაა, რომ არგენტინის, თურქეთის, ურუგვაის და ეკვადორის ადრეული 2000-იანი წლების კრიზისების შემდეგ (Halac and Smuckler, 2003), მნიშვნელოვანი კრიზისების მცირე რაოდენობა დაფიქსირდა 2007-2010 წლების გლობალური კრიზისის ჩათვლით. კრიზისების თავიდან აცილების ერთ-ერთი მიზეზი საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაზრდილი როლი იყო 2008 წლიდან, რაც იმ რესურსების დიდი ოდენობით გასესხებაში გამოიხატა, რომლებიც ადვილი წვდომით და ნაკლები პირობებით ხასიათდებოდნენ. ამ ცვლილებამ 2008 წლის ივლისიდან 2009 წლის ნოემბრის შუალედში 19 პროგრამის დაფინანსება გახადა შესაძლებელი, რომლებიც მიზნად კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ქვეყნების დახმარებას ისახავდა და რომელთა ბენეფიციარებიც ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილის საბჭოთა კავშირის ქვეყნები იყვნენ. თუმცა, საბანკო რეგულაციებში და ფინანსურ ზედამხედველობაში წინსვლა მაინც ჩამორჩებოდა რამდენიმე განვითარებადი ქვეყნის, მათ შორის ლათინური ამერიკის უფრო მძლავრ ფინანსურ სტაბილურობას (Porzekanski, 2009; Rojas Suarez, 2010). პორზეკანსკი და სუარეზი ირწმუნებოდნენ, რომ მაკროეკონომიკის სფეროში წინსვლასთან ერთად, ლათინური ქვეყნების მთავრობების უმეტესმა ნაწილმა სავალუტო შეუსაბამობა შეამცირა; თავისი საბანკო სისტემის დაფინანსება და ზედამხედველობა გაზარდა; ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების განვითარება წაახალისა; ადგილობრივი ფინანსური და საკრედიტო სისტემის უფრო მკაცრი და გონივრული რეგულირება დაიწყო; დიდ ბანკებში რისკის შეფასების მექანიზმები გააუმჯობესა; შექმნა შესაბამისი სამართლებრივი, სასამართლო და საბუღალტრო ჩარჩო-პირობები. ამასთან, სახელმწიფო ბანკებს შიდა დანაზოგების მობილიზაციის და ეკონომიკური აქტივობის დაფინანსების მიმართულებით უფრო დიდი როლი მიანიჭა.

შრომის ბაზრის პოლიტიკა - ეკონომეტრიკული მტკიცებულება ლათინური ამერიკისთვის (Cornia, 2012; Keifman and Maurizio, 2012) აჩვენებს, რომ შრომითი ინსტიტუტების (ინსტიტუტები, რომლებიც შემოსავლების განაწილებას უმუშევრობის,

სამუშაო ადგილების ინფორმალიზაციის, მინიმალური ხელფასის, სახელფასო მოლაპარაკებების და სადავო შეთანხმებებისთვის პასუხისმგებელი ინსტიტუტების სისუსტის პრობლემებთან ბრძოლით არეგულირებენ) გაძლიერებისკენ მიმართულმა მცდელობებმა შემოსავლების უთანასწორობა შეამცირეს. ამ მიმართულებით სპეციფიკური პროგრამები ისეთ პასიურ და აქტიურ შრომის ბაზრის პოლიტიკას მოიცავენ, როგორიცაა უმუშევრობის დაზღვევა, გადასამზადებელი პროგრამები და თვითმიზნობრივი საზოგადოებრივი სამუშაოს სქემები. მინიმალური ხელფასი, რომელიც მეტწილად შემოსავლების უთანასწორობას ამცირებს, შეიძლება ზომიერად გაიზარდოს ისე, რომ ეფექტიანობასთან დაკავშირებული ხარჯები არ გამოიწვიოს. და ბოლოს, ასვე უნდა გაძლიერდნენ ხელფასებზე მოლაპარაკებების მწარმოებელი ინსტიტუტები, რომლებიც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ქვეყნების უმრავლესობაში მნიშვნელოვნად დასუსტდნენ. შეიძლება საჭირო გახდეს „დასაქმების ფორმალიზაცის“ მცდელობები, თუნდაც მეტად მოქნილი დასაქმების ხარჯზე.

პროგრესიული გადასახადები - შემოსავლების უთანასწორობა შეიძლება საგადასახადო რეფორმების მეშვეობითაც შემცირდეს, რომლებიც საბიუჯეტო ბალანსის გაძლიერებასთან ერთად გადასახადების გადახდის შემდგომ თანასწორობის უფრო მაღალ დონეს და გადანაწილებას ისახავენ მიზნად (Cornia, Gomez-Sabaini and Martorano, 2011). როგორც მესამე თავში.A აღინიშნა ლათინურ ამერიკაში საგადასახადო/მშპ-ის ფარდობის ნაზრდის დაახლოებით ნახევარი საშემოსავლო გადასახადზე, პრეზუმციულ დაბეგვრაზე, ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადებზე, ფუფუნების საგნებზე სამომხმარებლო გადასახადებზე, ნავთობზე, ალკოჰოლურ სასმელებზე და თამბაქოზე უთანასწორო აქციზების შემცირებაზე მოდიოდა. შედეგად, 1990-2000-იანი წლების შუალედში რეინოლდ-სმოლენსკის ინდექსი, რომელიც დაბეგვრის გადანაწილებით ეფექტს ზომავს, 0.6-დან 3.8-მდე ჯინის კოეფიციენტით 10 ქვეყანაში იმ 11 ქვეყნიდან, რომლებზეც შესაბამისი მონაცემები არსებობს. დაბეგვრის უფრო ძლიერი ეფექტები ცხადად გამოჩნდა კორეის რესპუბლიკაში (ცხრილი 1). ამის საპირისპიროდ, ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში

ინდივიდუალურ და კორპორატიულ შემოსავლებზე (ცხრილი 2) ფიქსირებული საგადასახადო სისტემის მიღებამ სავარაუდოდ რამდენიმე ქვეყანაში გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლების განაწილების უთანასწორობა გამოიწვია. მაშინ, როდესაც ჩინეთში ადრეულ 1980-იან წლებში და 1994 წელს საგადასახადო და სატრანსფერო რეფორმების სისუსტის გამო გეოგრაფიული უთანასწორობა გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო/მშპ-ის ფარდობა ბევრ განვითარებად რეგიონში გასული ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა, დაბეგვრის ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანასწორობის საგრძნობლად გაუმჯობესება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამის გაკეთება შესაძლებელია არა მხოლოდ ტრადიციული პროგრესიული საშემოსავლო და სიმდიდრის გადასახადებით, არამედ ასევე საკმაოდ მაღალი ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთებით, მნიშვნელოვნად დიდი სივრცით გადასახადების გარეშე, პროგრესიული არაპირდაპირი გადასახადებით, სათანადო დაბეგვრით სამთო საქმიანობაში ქირაზე და გაუთვალისწინებელ შემოსავალზე.

ცხრილი 2. აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები რომლებმაც მიიღეს ფიქსირებული გადასახადი

		პერსონალური საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები		კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები		
ქვეყანა	*მიღების წელი*	*მანამდე*	*შემდეგ*	*მანამდე*	*შემდეგ*	*საგადასახადო შემწეობა*
ესტონეთი	1994	16–33	26	35	26	გაიზარდა
ლიეტუვა	1994	18–33	33	29	29	გაიზარდა
ლატვია	1997	10–25	25	25	25	შემცირდა
რუსეთის ფედერაცია	2001	12–30	13	30	35	გაიზარდა
უკრაინა	2004	10–40	13	30	25	გაიზარდა
საქართველო	2005	12–20	12	20	20	გაუქმდა
რუმინეთი	2005	18–40	16	25	16	გაიზარდა
მაკედონია	2007	12-24	12	15	12	უცვლელი
ყაზახეთი	2007	5–20	10	30	30	გაიზარდა
ჩეხეთი	2008	12–25	15	24	22	გაიზარდა
ბულგარეთი	2008	10–24	10	10	10	გაუქმდა

წყარო: Keen, Kim and Varsano, 2008

სახელმწიფო სოციალური დანახარჯები და საგანმანათლებლო ინვესტიციები - დაბეგვრის ადეკვატური დონე აუცილებელი საზოგადოებრივი საქონლის არაინფლაციური გზით მიწოდებას, პროგრესული სოციალური ტრანსფერების განხორციელების და მაკომპენსირებელი პროგრამების დაფინანსების საშუალებას იძლევა იმ უარყოფითი ეფექტების ასანაზღაურებლად, რომლებსაც ეფექტიანი თუმცა უთანასწორობის გამომწვევი მაკროეკონომიკური პოლიტიკა იწვევს. ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანამ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა უახლეს პერიოდში განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები გაზარდეს, მაშინ როდესაც ცენტრალური ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა (თუმცა არა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, არამედ ბალტიისპირეთის ქვეყნები და სულ ახლახან ჩინეთი) სოციალისტური ერიდან მემკვიდრეობით მიღებული განათლება/მშპ-ის ფარდობის მაღალი დონე შეინარჩუნეს. როგორც ოთხივე რეგიონის ანალიზის დროს იქნა ნახსენები, სამუშაო ძალის წევრებს შორის საგანმანათლებლო მიღწევების განაწილებაში გაუმჯობესებას ხელფასების

განაწილებაზე მძლავრი ეფექტი აქვს, ვინაიდან ის კვალიფიციური და ნახევრადკვალიფიციური მუშაკების მიწოდებას ზრდის („რაოდენობრივი ეფექტი“) და კვალიფიცირებული მუშაკების ხელფასების არაკვალიფიციური მუშაკების ხელფასებთან ფარდობას ამცირებს („ფასის ეფექტი). ბევრ საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყანაში ეს საშუალო განათლების დაწესებულებებში ჩარიცხვის და დამთავრების მაჩვენებლის ზრდას და სუბსიდირებულ პროფესიულ განათლებაზე ფართო წვდომას ნიშნავს. უთანასწორობაზე ეფექტები 5-10 წლამდე გრძელდება, თუმცაღა მძლავრია. რა თქმა უნდა, კვალიფიციური სამუშაო ძალის გაზრდილი მიწოდება უთანასწორობაზე ავტომატურად არ ახდენს გავლენას, რადგან დასაქმების ზრდა და ხელფასების უთანასწორობის შემცირება თითქმის მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც დამატებითი სამუშაო ადგილები იქმნება.

საშემოსავლო ტრანსფერები - მათ ძლიერი გადანაწილების ეფექტების წარმოქმნა შეუძლიათ, თუმცა მათი შემადგენლობა გადამწყვეტია და ასეთი პროგრამები ხშირად შემზღუდავი მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიერ გამოწვეული უთანასწორობის ეფექტების კომპენსირებისთვის ხორციელდება, როგორც ეს ცენტრალურ ევროპაზე და რამდენიმე ლათინური ქვეყნის მაგალითზე დაკვირვებამ აჩვენა. მუდმივი ზრდის (ასეთი მიდგომის კარგი მაგალითია ბრაზილია, მალაიზია, მექსიკა და ტაილანდი) მიუხედავად, ასეთი ტრანსფერები ხშირად სასურველზე უფრო მცირეა. მათ ინტენსიურობაზე გავლენის მოხდენა სოციალური დაზღვევის და სოციალური მხარდაჭერის სქემების მეშვეობით შეიძლება. ამ შემთხვევაში, უახლესი მტკიცებულება გვიჩვენებს, რომ საუკეთესო მიდგომა შეიძლება მოიცავდეს „ორ ფეხზე სიარულს“. ქვეყანაში, სადაც ფორმალური სექტორი შეზღუდულია, სოციალურ დაზღვევაზე დანახარჯები ოდნავ პროგრესიულია ან შეიძლება რეგრესიულიც იყოს, რადგან ის ძირითადად ფორმალური სექტორის მცირე რაოდენობის შედარებით მდიდარ მუშაკებს მოიცავს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ მის გაფართოებაზე ფოკუსირება რეგრესიული მიდგომა იქნებოდა. ეს ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ფორმალური სექტორის სოციალური დაზღვევის აქტიურად გაზრდის პარალელურად

მთავრობას შეუძლია სოლიდარობაზე დაფუძნებული და არაკონტრიბუციული უნივერსალური ან მიზნობრივი ფონდების შექმნა, რომლებიც არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებისთვის და მათი ოჯახებისთვის საბაზისო ბენეფიტებს, მათ შორის პირობით და უპირობო ფულად ტრანსფერებს უზრუნველყოფს. საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, ორივე მიდგომას ერთდროულად უნდა იყენებდნენ.

2.2. უთანასწორობის სტრუქტურულ მიზეზებთან ბრძოლა

რამდენიმე ქვეყანაში ზემოთ განხილული მიდგომები წარმატებული აღმოჩნდა გაზრდილი უთანასწორობიდან გამოწვეული მავნე ეფექტების კომპენსირებაში, რაც 1980-იან წლების კრიზისმა და ამ კრიზისზე რეაგირებისთვის გამოყენებულმა ლიბერალურმა მიდგომებმა გამოიწვია. თუმცა, მაღალი უთანასწორობის სტრუქტურულ მიზეზებთან ბრძოლისთვის დამატებითი ზომების მიღებაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომის ფოკუსი ისინი არ არიან, სისრულის მიზნით მათზე მოკლედ იქნება ნახსენები.

აგრარული რეფორმები - ჩინეთის და ვიეტნამის კომუნების მიწების და მალაიზიის სახელმწიფო მიწის ეგალიტარიანულმა გადანაწილებამ თანასწორობაზე და ზრდაზე დადებითი გავლენა მოახდინა. გადანაწილება მოხდა რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. და პირიქით, მიწის მაღალი კონცენტრაციის ჯიუტად შენარჩუნების მიუხედავად აზიის და ლათინური ამერიკის დანარჩენ ქვეყნებში აგრარული რეფორმებს ადგილი არ ჰქონია. ამასობაში, პოტენციურად უთანასწორობის მომტანი კერძო კომპანიების და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მიწების რიცხვი გაიზარდა მოსახლეობის სიმჭიდროვის როგორც მაღალი ასევე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში. თუმცა, ქვეყნებში სადაც სამუშაო ძალის სიჭარბეა, დიდი ფერმების, პლანტაციების და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ფერმების გადანაწილებას უმიწო, თითქმის უმიწო ან მცირე მიწიანი მესაკუთრეებისთვის როგორც თანასწორობის ასევე ეფექტურობის გაუმჯობესება შეუძლია (Lipton, 2009). მართლაც, მიწის რეფორმასთან

ერთად ფერმების გამოშვების განაწილება უმჯობესდება მაშინ, როდესაც სასოფლო მეურნეობაში დასაქმებულების ხელფასები იზრდება, სასოფლო-სამეურნეო მიგრაცია მცირდება და ურბანული მინიმალური ხელფასები იზრდება. თუმცა, პროგრესული რეჟიმების არჩევის (და ამ მიმართულებით თავდაპირველი დაპირებების) მიუხედავად ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ აზიაში და სამხრეთ აფრიკაში მიწების გადანაწილება არ მომხდარა და სოფელში შინამეურნეობების მესამედზე მეტი უმიწოდ რჩება. ნამდვილად არსებობს საფრთხე, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში ბევრ ქვეყანაში მზარდი რაოდენობით გამოყენებულმა სოციალური მხარდაჭერის ტრანსფერებმა ის წნეხი შეამციროს, რაც მიწების გადანაწილების მიმართულებით არსებობს. თუ ეს ნამდვილად მოხდება, მაშინ სხვა გზებიც უნდა გამოიცადოს საბაზრო და საგადასახადო სტიმულების ჩათვლით ბაზარზე დაფუძნებული მიწის გადანაწილების მისაღწევად (Binswanger and Deininger, 1997). ამჟამად, განვითარებად სამყაროში მიწის გადასახადები ან დაბალია ან საერთოდ არ არსებობს, რაც ხშირად მიწების რეგისტრაციის პრობლემებით არის გამოწვეული. თუმცა, მსხვილი მიწათმფლობელები ხშირად არაპროპორციულად სარგებლობენ სასოფლო ინფრასტრუქტურაში სახელმწიფო ინვესტიციებიდან. ვინაიდან, ჩვეულებისამებრ ისინი ნაკლებად იყენებენ თავიანთ მიწებს - რაც გადასახადების გადასახდელად შეიძლება გაიყიდოს- შესაძლოა მიწის კარგად ადმინისტრირებული გადასახადის ეფექტი გამოშვებაზე დიდი არ იყოს. ბაზარზე გამოტანილი მიწის შესყიდვა ღარიბებისთვის თემის ფინანსებით შესაძლებელია.

საბაზრო ჩავარდნების კორექტირება, განსაკუთრებით საკრედიტო და სადაზღვევო ბაზრებზე - საბანკო და მიკროკრედიტებზე დაფუძნებულ კარგად დაგეგმილ პროგრამებს ღარიბების შემოსავლების გაზრდა შეუძლიათ (Mosley and Hulme, 1998). ამასთან აუცილებელია ფინანსური ინსტიტუტების ქსელის განვითარება, რომელიც როგორც სოფლებში ასევე ურბანულ რეგიონებში იქნება ხელმისაწვდომი. ეს მოიცავს ადვილად შესაქმნელ-კაპიტალიზებადი მიკროსაკრედიტო სქემების, დაგროვებითი ასოციაციების, კოოპერატიულ ბანკების, საკრედიტო კავშირების და კომერციული ბანკების ფილიალების

დაფუძნებას ნაკლებად ნაყოფიერ ადგილებში, როგორც ეს მე-19 საუკუნის სწრაფი განვითარების დროს მოხდა გერმანიაში და იტალიაში. ამის გაცილებით ახალი მაგალითია ბანგლადეში, სადაც ცნობილმა Grameen ბანკმა და BRAC ბანკმა მილიონობით დაბალშემოსავლიან მომხმარებლამდე მიაღწიეს. ნაკლები ყურადღება დაეთმო დაზღვევას. სადაზღვევო ბაზრების განვითარება მცირე მიწების მფლობელებს და მცირე მეწარმეებს შინამეურნეობებისთვის სპეციფიკური და კოვარიაციული შოკების წინააღმდეგ დააზღვევდა, რაც მთელს თემზე ახდენს ხოლმე გავლენას. ღარიბ ქვეყნებში ორივე ტიპის ფორმალური დაზღვევა ადამიანების უმრავლესობისთვის მიუწვდომელია. სადაზღვევო ორგანიზაციების რაოდენობა ცოტაა. ისინი რისკებზე არასრულყოფილ ინფორმაციას ფლობენ, ხოლო მეტი ინფორმაციის შეგროვება ხარჯებთანაა დაკავშირებული და არამომგებიანია, მაშინ როდესაც საშუალო შინამეურნეობის შემოსავალი დაბალია. შედეგად, სპეციფიკური და კოვარიაციული შოკები აქტივების დაბალ ფასად გაყიდვასა და გაზრდილ უთანასწორობაში აისახება.

სოციალური და ინფრასტრუქტურული ხარჯების დატვირთვის და ხარისხის გაუმჯობესება - ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო დანახარჯების განაწილება არც ზრდას უწყობს ხელს და არც უთანასწორობის დაბალ დონეს. მდიდრები სახელმწიფო დანახარჯებიდან არაპროპორციულად სარგებლობენ, ვინაიდან მათი სარგებელი გადასახადებს მნიშვნელოვნად აღემატება (van de Walle, 1998). თუმცა, სახელმწიფო დანახარჯების ორიენტირის გადატანა ღარიბებზე (საბაზისო ჯანდაცვაზე, დაწყებით განათლებაზე, უსაფრთხო წყალზე და სანიტარულ პირობებზე) პოლიტიკურ ნებასთან ერთად უკეთეს სახელმწიფოებრივ მდგომარეობას მოითხოვს. უგანდაში მთავრობის მიერ ღარიბებზე ორიენტირის მიუხედავად დაწყებით განათლებაზე დახარჯული ყოველი დოლარიდან მხოლოდ მესამედი აღწევს სკოლებამდე, რაც საბიუჯეტო და დაგეგმარების პრობლემებითაა გამოწვეული. მდიდრები რეფორმებს ბლოკავენ, საგადასახადო სისტემის თანამდებობის პირებს ქრთამავენ და ამგვარად საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებისადმი მხარდაჭერას ძირს უთხრიან, რომლებიც სრულიად სამართლიანად

აღიქვამენ საგადასახადო სისტემას , როგორც უსამართლოს. ეს ეფექტი ცხადად ჩანს აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში(Pirttilä, 1999).

იმ რეგიონალური და ეთნიკური უთანასწორობის შემცირება, რომელიც სიღარიბეს და სოციალურ კონფლიქტს იწვევს - სახელმწიფო დანახარჯებზე და საჯარო სექტორზე რასობრივი და ეთნიკური მიკერძოებულობა დიდი ხნის განმავლობაში ახდენდა გავლენას. ამან ჰორიზონტალური უთანასწორობა გაამწვავა, რამაც სოციალური კონფლიქტის და ლოკალიზებული ძალადობის მეშვეობით ზრდის უარყოფითი ეფექტები გამოიწვია. დიდი ქვეყნები ხშირად კარგად განვითარებული თანამედროვე სექტორის კომბინაციას ქმნიან შორეულ და ძალიან ღარიბ ჩამორჩენილ რეგიონებთან, რომლებიც ხშირად სპეციფიკური ეთნიკური ჯგუფებით არიან დასახლებული (როგორც ეს ბრაზილიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში ან ჩინეთის ხინკიანგის რეგიონშია). მექსიკაში მკვიდრი მოსახლეობის 80% ღარიბია, მაშინ როდესაც თეთრკანიანი ადამიანების მხოლოდ 18% არის ღარიბი (Psacharopoulos and Patrinos, 1994). მალაიზია კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მსგავსი რეგიონალური და ეთნიკური უთანასწორობა შემცირდეს, მაშინ როდესაც, ჩინეთის მიერ აქამდე გატარებულმა პოლიტიკამ მხოლოდ გააუარესა ეთნიკური და გეოგრაფიული უთანასწორობა.

2.3. მონეტარული პოლიტიკის გავლენა შემოსავლების უთანასწორობაზე

ადრეულმა ნაშრომებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გავლენაზე, რომელსაც *ინფლაციის არხი* შემოსავლის განაწილებაზე ახდენს. მაშინ როდესაც ამ ნაშრომების დასკვნები როგორღაც არაერთგვაროვანია, ბევრი მათგანის მიხედვით ინფლაცია შემოსავლის უთანასწორობას მნიშვნელოვნად ზრდის (მაგ., Bulíř and Gulde, 1995; Romer

and Romer, 1999; Easterly and Fischer, 2001). მაშინ როდესაც, ეს არხი ძირითადად თეორიულ ნაშრომებში სიმდიდრის განაწილებასთან ასოცირდება, ემპირიული ნაშრომებიდან ცხადად არ ჩანს ზუსტი მექანიზმი თუ როგორ ზემოქმედებს ინფლაცია შემოსავლების უთანასწორობაზე. ისთერლი და ფიშერი (2001) ამტკიცებენ, რომ ინფლაცია უფრო ვნებს იმ ღარიბ შინამეურნეობებს, რომლებიც მეტად არიან სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ შემოსავალზე, რომელიც თავის მხრივ ინფლაციის მიხედვით სრულად ინდექსირებული არ არის. ინფლაცია ამცირებს რეალურ მინიმალურ ხელფასს და შემოსავლის განაწილების ქვედა კვინტილისკენ მიმართულ ტრანსფერებს, მაშინ როდესაც მდიდარი შინამეურნეობები ნაკლებად ზარალდებიან. რომერმა (1999) ღარიბების კეთილდღეობაზე მონეტარული პოლიტიკის ეფექტები შეისწავლეს მოკლევადიან (აშშ-ში 1969-1994 წლებში სიღარიბის ინფლაციასთან და უმუშევრობასთან კავშირის საფუძველზე) და გრძელვადიან პერიოდში (1988 წელს ქვეყნებს შორის ღარიბების შემოსავლების წილების და ინფლაციის რეგრესიების საფუძველზე). მათ აღმოაჩინეს, რომ გამოშვების მაღალ ზრდაზე ორიენტირებულ მონეტარულ პოლიტიკას მოკლევადიან პერიოდში უმუშევრობის და შემოსავლების უთანასწორობის დროებითი შემცირება ახასიათებს. ხოლო დაბალ ინფლაციაზე და გამოშვების მყარ ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკა ამცირებს სიღარიბეს და უთანასწორობას გრძელვადიან პერიოდში. გალი და ვონ დერ ჰოევენი (2001) ამტკიცებენ, რომ უთანასწორობაზე ინფლაციის გავლენას არაწრფივი სახე აქვს, ვინაიდან ის ინფლაციის საწყის დონეზეა დამოკიდებული. OECD-ის 15 ქვეყნის მონაცემების საფუძველზე მათ U ფორმის დამოკიდებულება აღმოაჩინეს. ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა შემოსავლების უთანასწორობას ამცირებს, მაშინ როდესაც საწყისი ინფლაცია დაბალია, მაგრამ ზრდის როდესაც ინფლაცია კონკრეტული ზღვრის მაღლაა (აშშ-თვის ეს ზღვარი შეფასებულია დაახლოებით 8%, ხოლო OECD-ის ქვეყნებისთვის 12%-ზე ოდნავ მაღლა).

ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც სტანდარტულ მონეტარულ პოლიტიკას და უთანასწორობას ეხება, ცოტა არ არის. თუმცა, ზეგავლენის შესახებ, რომელსაც

არასტანდარტული პოლიტიკა უთანასწორობაზე ახდენს, კვლევების სიმწირე შეიმჩნევა. ამის მიზეზი ისაა, რომ ცენტრალური ბანკების მიერ არასტანდარტული ღონისძიებების დანერგვა უახლესი გამოცდილებაა და ყველა ცენტრალურ ბანკს მსგავსი პოლიტიკა ჯერ არ გაუტარებია (Blinder *et al.*, 2017).

ცხრილი 3-ში შემოსავლებზე და არათანაბარ სიმდიდრეზე სტანდარტული მონეტარული პოლიტიკის გავლენის ემპირიული კვლევის შეჯამებაა მოცემული, ხოლო ცხრილი 4-ში არასტანდარტული მონეტარული პოლიტიკის უთანასწორობაზე გავლენის კვლევას აჯამებს. პირველ და მეორე ცხრილებში მოცემული ყველა კვლევისთვის ვაკონკრეტებთ კვლევის დიზაინს, შესწავლილი ქვეყნების რაოდენობის, დროის პერიოდის, გამოყენებული მეთოდოლოგიის, გამოყენებული მონეტარული პოლიტიკის ღონისძიების, მონეტარული პოლიტიკის შოკის ტიპის (ექსპანსიური თუ შემზღუდველი) და ზომის მითითებით. შემდეგ ეტაპზე, ვაჯამებთ ამ მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების გავლენას შემოსავლების ან სიმდიდრის თანასწორობაზე და მათ ამ კვლევებში განხილულ რომელიმე განაწილებით არხს მივაკუთვნებთ.

ხრილი 3. *ემპირიული კვლევების შეჯამება: სტანდარტული მონეტარული პოლიტიკის განაწილებითი ეფექტები*

ნაშრომი	შერჩეული ქვეყნების რაოდენობა	პერიოდი	მეთოდი	მონეტარული პოლიტიკის ღონისძიება	უთანასწორობაზე გავლენა	განაწილებითი არხი
შემოსავლის უთანასწორობა						
Bulíř and Gulde (1995)	18 ქვეყანა	1960-1992	დაჯგუფებული და ინდივიდუალური ქვეყნების რეგრესიები	ექსპანსიური (+ ინფლაცია)	შემოსავლების უთანასწორობის ზრდა	ინფლაცია
Romer and Romer (1999)	76 ქვეყანა	1970-1990	კროსსექციური რეგრესიები	ექსპანსიური (+ ინფლაცია)	შემოსავლების უთანასწორობის ზრდა	ინფლაცია
Easterly and Fischer (2001)	38 ქვეყანა	1995 გამოკითხვა	კროსსექციური რეგრესიები	ექსპანსიური (+ ინფლაცია)	შემოსავლების უთანასწორობის ზრდა	ინფლაცია

Galli and von der Hoeven (2001)	OECD-ის 15 ქვეყანა და აშშ	1973-1996 1966-1999	პანელური და დროითი მწკრივების რეგრესიები	ექსპანსიური (+ ინფლაცია)	დაბალი ინფლაციის დროს უთანასწორობის შემცირება; მაღალი ინფლაციის დროს უთანასწორობის ზრდა	ინფლაცია
Mumtaz and Theophilopoulou (2015)	დიდი ბრიტანეთი	1968-2008	MF-SVAR	შემზღუდველი (+1 s.d. რეფინანსირების განაკვეთი)	შემოსავლების და შრომიდან სარგებლის უთანასწორობის ზრდა	შემოსავლის შედგენილობა; სარგებლის ჰეტეროგენურობა
Cloyne et al. (2016)	დიდი ბრიტანეთი, აშშ	1975-2007 1981-2007	რომერის და რომერის პროცედურა (2004)	ექსპანსიური (-25bps რეფინანსირების განაკვეთი)	შემოსავლების უთანასწორობის ზრდა	შემოსავლის შედგენილობა
O'Farrel et al. (2016)	OECD-ის 8 ქვეყანა	2007-2012 გამოკითხვები	მიკროსიმულაციები	ექსპანსიური (- 1 pp. საპროცენტო განაკვეთი)	შემოსავლის უთანასწორობის შემცირება კანადაში, ნიდერლანდებში და აშშ-ში; შემოსავლის უთანასწორობის ზრდა ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში; უმნიშვნელო ეფექტები	შემოსავლის შედგენილობა; სარგებლის ჰეტეროგენურობა
Coibion et al. (2017)	აშშ	1980-2008	ადგილობრივი პროექციები	შემზღუდველი (+100 რეფინანსირების განაკვეთი)	შემოსავლების და შრომიდან სარგებლის უთანასწორობის ზრდა	შემოსავლის შემადგენლობა, სარგებლის ჰეტეროგენურობა
Davtyan (2017)	აშშ	1983-2012	VAR, VECM	შემზღუდველი (+1 s.d. რეფინანსირების განაკვეთი)	შემოსავლების უთანასწორობის შემცირება	უცნობია
Inui et al. (2017)	იაპონია	1981-1998	ადგილობრივი პროექციები	ექსპანსიური(- ჩრდილოვანი	შემოსავლების და შრომიდან სარგებლის უთანასწორობის ზრდა	სარგებლის ჰეტეროგენურობა

				განაკვეთი)		
Mumtaz and Theophilopoulou (2017)	დიდი ბრიტანეთი	1969-2012	SVAR	შემზღუდველი (+1 s.d. რეფინანსირების განაკვეთი)	შემოსავლების და შრომიდან სარგებლის უთანასწორობის ზრდა	შემოსავლის შემადგენლობა, სარგებლის ჰეტეროგენურობა
Furceri et al. (2018)	32 განვითარებული და აღმოცენებადი ქვეყანა	1990-2013	ლოკალური პროექციები	შემზღუდველი (+100 bps რეფინანსირების განაკვეთი)	შემოსავლების უთანასწორობის ზრდა	სარგებლის ჰეტეროგენურობა
Guerello (2018)	ევროპა	2001-2015	პანელი VAR; ქვეყანა VAR	ექსპანსიური (-100 bps მოკლევადიანი განაკვეთი)	შემოსავლების უთანასწორობის შემცირება ევროპის რეგიონში; ქვეყნების ინდივიდუალური ანალიზის დროს ეფექტი არ გამოვლენილა	შემოსავლის შემადგენლობა, სარგებლის ჰეტეროგენურობა

ცხრილი 4. *ემპირიული კვლევების შეჯამება: არასტანდარტული მონეტარული პოლიტიკის განაწილებითი ეფექტები*

ნაშრომი	შერჩეული ქვეყნების რაოდენობა	პერიოდი:	მეთოდი	მონეტარული პოლიტიკის ღონისძიება	უთანასწორობაზე გავლენა	არხები:
შემოსავლების უთანასწორობა						
Saiki and Frost (2014)	იაპონია	2008-2014	VAR	+ 1 s.d. იაპონიის ბანკის აქტივები	შემოსავლების უთანასწორობის ზრდა	შემოსავლების შემადგენლობა
Bivens (2015)	აშშ	2008 - 2014	მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი	რაოდენობრივი შემსუბუქება (-100 bps გრძელვადიანი ობლიგაციებიდან შემოსავლები)	შემოსავლების უთანასწორობის შემცირება	სარგებლის ჰეტეროგენურობა

Montecino and Epstein (2015)	აშშ	2010 - 2013	RIF რეგრესიები	რაოდენობრივი შემსუბუქების დანერგვა	შემოსავლების უთანასწორობის ზრდა	სარგებლის ჰეტეროგენურობა; შემოსავლის შემადგენლობა
Mumtaz and Theophilopoulou (2017)	დიდი ბრიტანეთი	2009 - 2010	SVAR, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი	-100 გრძელვადიანი სამთავრობო ობლიგაციებიდან საპროცენტო შემოსავლები	შემოსავლების უთანასწორობის ზრდა	შემოსავლების შემადგენლობა
Inui et al. (2017)	იაპონია	1981 - 2008	ლოკალური პროექციები	ექსპანსიური (-100 bps ჩრდილოვანი განაკვეთი)	უმნიშვნელო	სარგებლის ჰეტეროგენურობა
Guerello (2018)	ევროპის რეგიონი	2001 - 2015	პანელი VAR; ქვეყანა VAR	+ 1% ევროპის ცენტრალური ბანკის აქტივები	შემოსავლების უთანასწორობის შემცირება ევროპის რეგიონში	სარგებლის ჰეტეროგენურობა
Casiraghi et al. (2018)	იტალია	2011 - 2013	მაკრომოდელი, სცენარული ანალიზი	აქტივების შესყიდვები ;ლიკვიდურობის ინექციები	შრომიდან მიღებული შემოსავლების უთანასწორობის შემცირება	სარგებლის ჰეტეროგენურობა; შემოსავლის შემადგენლობა
Lenza and Slacarek (2018)	გერმანია ,საფრანგეთი,იტალია, ესპანეთი	1999 - 2016	BSVAR, მიკროსიმულაცია	ECB'-ის აქტივების შესყიდვები(-დროის სპრედი)	შემოსავლების უთანასწორობის შემცირება	სარგებლის ჰეტეროგენურობა
სიმდიდრის უთანასწორობა						
Bank of England (2012)	დიდი ბრიტანეთი	2009 - 2011	გამოკითხვის მონაცემების ანალიზი	აქტივების შესყიდვები	სარგებლობს ფინანსური აქტივების 40% ის მფლობელი ჯგუფის 5%	საინვესტიციო პორტფელის კომპოზიცია
Bivens (2015)	აშშ	2008-2014	მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი	QE (-100 bps გრძელვადიანი ობლიგაციებიდან შემოსავლები)	მცირე	საინვესტიციო პორტფელის კომპოზიცია
Adam and Tzamourani (2016)	ევროპის რეგიონი	2010 გამოკითხვა	მიკროსიმულაცია	აქტივების შესყიდვები(+ აქტივების ფასები)	მცირე	საინვესტიციო პორტფელის კომპოზიცია
Domanski et al. (2016)	საფრანგეთი,გერმანია ,იტალია, ესპანეთი,აშშ, დიდი ბრიტანეთ	2000-2012 გამოკითხვები	მიკროსიმულაცია	მონეტარული (- საპროცენტო განაკვეთები, + აქტივების ფასები)	სიმდიდრის უთანასწორობის ზრდა	საინვესტიციო პორტფელის კომპოზიცია

	ი					
Inui et al. (2017)	იაპონია	1981-2008	ლოკალური პროექციები	- ჩრდილოვანი განაკვეთი	უმნიშვნელო	დანაზოგების გადანაწილება, საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციის
Casiraghi et al. (2018)	იტალია	2011-2013	მაკრომოდელი, სცენარული ანალიზი	აქტივების შესყიდვები, ლიკვიდურობის ინექციები	მცირე	საინვესტიციო პორტფელის კომპოზიცია
Lenza and Slacarek (2018)	საფრანგეთი,გერმანია, იტალია, ესპანეთი	1999-2016	BSVAR, მიკროსიმულაცია	ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ აქტივების შესყიდვები (-დროის სპრედი)	მცირე	საინვესტიციო პორტფელის კომპოზიცია

სტანდარტული მონეტარული პოლიტიკა - უახლესი ემპირიული კვლევები სტანდარტული მონეტარული პოლიტიკის გადანაწილებითი ეფექტების შესახებ ლიტერატურაში განხილულ მხოლოდ რამდენიმე გადაცემით არხზე მიუთითებენ. რამდენიმე კვლევა შემოსავლების უთანასწორობაზე პოლიტიკის შოკის გადანაწილებით ეფექტებს შემოსავლების შემადგენლობას და სარგებლის ჰეტეროგენურ არხებს მიაწერს. პირველი არხი შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროების (შეფარდებითი წილი მიღებული შრომიდან, ბიზნესიდან და ფინანსური შემოსავლებიდან) ჰეტეროგენურობაზე მიუთითებს. მეორე არხი იმ განსხვავებულ ეფექტებზე მიუთითებს, რომელსაც საპროცენტო განაკვეთის შოკები დაბალი და მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების შრომიდან სარგებელზე ახდენს (Coibion et al., 2017).

რამდენიმე ნაშრომის მიხედვით შემზღუდველი მონეტარული პოლიტიკა საპროცენტო განაკვეთების გაზრდით შემოსავლების და სარგებლის უთანასწორობას ზრდის აშშ-ში (Coibion et al., 2017), დიდ ბრიტანეთში (Mumtaz and Theophilopoulou, 2015, 2017), ევროკავშირის სივრცეში (Guerello, 2018), განვითარებულ და აღმოცენებად ქვეყნებში (Furceri et al., 2018). მონეტარული შეზღუდულობა ახშობს ეკონომიკურ აქტივობას,

დასაქმებას, ხელფასებს და შესამჩნევ ზიანს აყენებს დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობებს, რომელთა ძირითადი შემოსავლის წყარო შრომიდან სარგებელია. ამავდროულად, შემოსავლის განაწილების ზედა კვინტილზე მყოფი შინამეურნეობები უფრო მაღალი პროცენტის მეშვეობით მიღებული შემოსავლებიდან სარგებლობენ(Coibion et al., 2017). ასევე ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ისინი უმუშევრები გახდებიან და შრომიდან შემოსავალს დაკარგავენ. ფურცერის აზრით, მონეტარული პოლიტიკის შოკების გავლენა შემოსავლის უთანასწორობაზე იმ ქვეყნებში უფრო დიდია, სადაც მთლიან შემოსავალში შრომიდან მიღებულ შემოსავალს უფრო დიდი წილი უჭირავს. დავთიანმა (2017) აშშ-ს მონაცემებზე დაყრდნობით, კოიბიონისგან (2017) განსხვავებით, შემოსავლების უთანასწორობა ჯინის კოეფიციენტით გაზომა, რაც შემოსავლის განაწილების ტოპ 1% მოიცავს და იდენტიფიცირების განსხვავებულ სტრატეგიას იყენებს. კოიბიონისგან განსხვავებით, მას მიაჩნია, რომ შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკა შემოსავლების უთანასწორობას ამცირებს. თუმცა, არ არის ახსნილი თუ რა იწვევს ამ შედეგს. სხვა ემპირიული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა შემოსავლების უთანასწორობის მაღალ დონესთან ასოცირდება დიდ ბრიტანეთისთვის და აშშ-თვის (Cloyne et al., 2016) და იაპონიისთვის 2000-იან წლებამდე (Inui et al., 2017). ინუი (2017) ამტკიცებს, რომ ეს შესაძლებელია შრომის ბაზრის სიხისტის და ნომინალური ხელფასების სტაბილურობის გამო ხდებოდეს, რაც ბოლოს დასაქმებულების ხელფასებს შორის სტრუქტურულ გაფანტულობაში და სარგებლის ზრდად უთანასწორობაში აისახება. კლოინი (2016) საშემოსავლო ჯგუფებს საცხოვრებელი ადგილის მფლობელობის მიხედვით განასხვავებს. ამ მკვლევარების აზრით, ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა სხვა ჯგუფებთან შედარებით მეტად ზრდის შემოსავლებს დამგირავებლებისთვის, რასაც უთანასწორობის გაზრდა შეუძლია. ამის საპირისპიროდ, ო'ფარელის (2016) მიხედვით ზოგადად ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის განაწილებითი ეფექტები უმნიშვნელოა, მაგრამ OECD-ის ქვეყნებში ეს ეფექტები

მნიშვნელოვნად ვარირებს. მაგ.: მონეტარული პოლიტიკის შოკის საპასუხოდ შემოსავლების უთანასწორობა იზრდება ზოგიერთ ქვეყანაში და მცირდება სხვებში.

უთანასწორობაზე მონეტარული პოლიტიკის შოკების გავლენა ბიზნეს ციკლის განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს. ფურცერის (2018) მიხედვით შემზღუდველი მონეტარული პოლიტიკა შემოსავლების უთანასწორობაზე უფრო დიდ გავლენას აღმავლობის პერიოდში ახდენს, მაშინ როდესაც ექსპანსიურ შოკებს გაცილებით უფრო დიდი უთანასწორობის მოტანა შეუძლია რეცესიის დროს. მსგავსად, ო'ფარელიც (2016) ამტკიცებს, რომ მონეტარული პოლიტიკა შეიძლება ნაკლებად ეფექტური იყოს შემოსავლების უთანასწორობის შესამცირებლად დაღმასვლის დროს, ვიდრე მის გასაზრდელად აღმავლობის დროს.

არასტანდარტული მონეტარული პოლიტიკა - არასტანდარტული მონეტარული პოლიტიკის განაწილებითი ეფექტები ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი. არასტანდარტული პოლიტიკის შესწავლილი ღონისძიებები ძირითადად დიდი მოცულობის აქტივების შესყიდვებზე ან *რაოდენობრივ შემსუბუქებაზეა* (QE) დაფუძნებული, მაშინ როდესაც სხვა ღონისძიებებს (მაგ.: დაბალ/უარყოფით განაკვეთებს, ცენტრალური ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებულ ნიშნულზე შენარჩუნებას გარკვეული დროით) ამ დონის ყურადღება არ მიუპყრია. გამონაკლისი მონტეჩინოს და ეპშტაინის (2015) ნაშრომია, რომელიც ზემოთ იქნა განხილული.

ლიტერატურაში შემოსავლების უთანასწორობაზე არასტანდარტული მონეტარული პოლიტიკის გავლენაზე კონსესუსი არ არსებობს. განაწილებით არხებზე დაყრდნობით ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგი გამოიკვეთა - *სარგებლის ჰეტეროგენურობის არხები* - აჩვენებენ, რომ რაოდენობრივი შემსუბუქება ამცირებს შემოსავლების უთანასწორობას ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებით, სამუშაო ადგილების შექმნით და ხელფასების ზრდით. მონტეჩინო და ეპშტაინი (2015) ამას დასაქმების ეფექტებს უკავშირებენ, რისგანაც სარგებელს ძირითადად ღარიბები იღებენ ექსტენსიური მარჟის მეშვეობით. ამასთან, მაღალი ხელფასებისგან ღარიბები და საშუალო კლასის შინამეურნეობები სარგებლობენ,

ვინაიდან ისინი გაცილებით უფრო მგრძნობიარეები არიან შრომიდან მიღებულ სარგებელზე ცვლილებების მიმართ ვიდრე მდიდრები. ამ არხს ადასტურებს აშშ-ის (Bivens, 2015), იტალიის (Casiraghi et al., 2018) და ევროპის მაგალითები (Guerello, 2018; Lenza and Slacarek, 2018). მეორე შედეგი არასტანდარტული პოლიტიკის უთანასწორობის გამომწვევ ეფექტზე მიუთითებს, რომელიც აქტივებზე ფასების ზრდით მდიდრების შემოსავლებს ზრდის კაპიტალიდან და ასევე შემოსავლების უთანასწორობასაც ზრდის (შემოსავლის შემადგენლობის არხი). ეს დადასტურდა იაპონიის (Saiki and Frost, 2014), აშშ-ს (Montecino and Epstein, 2015) და დიდი ბრიტანეთის მაგალითებზე(Mumtaz and Theophilopoulou, 2017).

სარგებლის ჰეტეროგენურობის და შემოსავლის შემადგენლობის არხების შედარებითი სიძლიერე განსაზღვრავს არასტანდარტული პოლიტიკის მთლიან ეფექტს შემოსავლების განაწილებაზე. მაგალითად, მონტეჩინოს და ეპშტაინს (2015) მიაჩნიათ, რომ მაშინ როდესაც რაოდენობრივი შემსუბუქების გამო დასაქმებაში ცვლილებები აშშ-ში შემოსავლების უთანასწორობას ამცირებს, ეს ეფექტი საბაზრო ფასის გადაფასებით გამოწვეულ უთანასწორობის ეფექტს ჩამოუვარდება. საწინააღმდეგოს აჩვენებს კასირაგი (2018) იტალიის მაგალითზე, სადაც ეკონომიკური აქტივობიდან და დასაქმებიდან გამოწვეული განაწილებითი ეფექტებიდან სარგებელს ნაკლებად მდიდრები უფრო იღებენ და ასეთი ეფექტები აქტივების ფასებით გამოწვეულ უთანასწორობის ეფექტს აჭარბებენ. ინუიმ (2017) იაპონური შინამეურნეობების მიკრომონაცემებზე დაყრდნობით საიკის და ფროსტის (2014) საწინააღმდეგოდ დაასკვნა, რომ არასტანდარტულ მონეტარულ პოლიტიკას 2000-იანი წლებიდან უმნიშვნელო განაწილებითი ეფექტები ჰქონდა. ინუი (2017) ვარაუდობს, რომ ეს შესაძლებელია სარგებლის უთანასწორობაზე რეაგირების ცვლილებით იყოს გამოწვეული , რომელიც ეკონომიკურ პირობებში ისეთ ცვლილებებთან ასოცირდება, როგორიცაა შრომის ბაზრის მოქნილობა და დროებით მუშახელზე მაღალი მოთხოვნა. შედეგად, მაღალი დასაქმებით გამოწვეული სარგებლის უთანასწორობის შემცირება აბალანსებს სარგებლის ჰეტეროგენურობით გამოწვეული უთანასწორობის ზრდას.

საბოლოოდ, ემპირიული მტკიცებულებები იმ გავლენაზე, რომელსაც მონეტარული პოლიტიკა შემოსავლების უთანასწორობაზე ახდენს ერთგვაროვანი არ არის. განაწილებითი ეფექტები ვარირებს პოლიტიკის შესწავლილი ღონისძიების, განაწილებითი არხის, შესწავლილი ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის და შინამეურნეობების შემოსავლების თავისებურებების მიხედვით.

მონეტარული პოლიტიკის გავლენა სიმდიდრის განაწილებაზე - მონეტარულმა პოლიტიკამ სიმდიდრის განაწილებაზე გავლენა შეიძლება დანაზოგების გადანაწილების, ინფლაციის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგის და საინვესტიციო პორტფელის არხების მეშვეობით მოახდინოს. სტანდარტულ მონეტარულ პოლიტიკაზე ლიტერატურაში ძირითადად ინფლაციის არხია განხილული, რომელიც აჩვენებს როგორი არაპროგნოზირებადია ინფლაციის მიერ სიმდიდრის გამსესხებლებიდან/დამზოგველებიდან მსესხებლებზე გადანაწილება. ვინაიდან შინამეურნეობების ნომინალური აქტივები და ვალდებულებები ფასების ცვლილებების მიმართ მგრძნობიარეა, მონეტარულ პოლიტიკას პირდაპირ შეუძლია სიმდიდრის განაწილებაზე ზემოქმედება. რამდენიმე კვლევა ამ არხზე მიანიშნებს და ამტკიცებს, რომ ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა სიმდიდრის უთანასწორობას ამცირებს აშშ-ში (Doepke and Schneider, 2006), კანადაში (Meh et al., 2010), და ევროპის უმეტეს ნაწილში (Adam and Zhu, 2016). დოეპკეს და შნაიდერის (2006) და ადამ და ჟუს (2016) თანახმად მოულოდნელ ინფლაციას სარგებელი მოაქვს (ახალგაზრდა) საშუალო კლასის შინამეურნეობებისთვის, რომლებიც იპოთეკური სესხების წმინდა მსესხებლები არიან. ხოლო ზიანს აყენებს (ასაკოვან) მდიდარ შინამეურნეობებს, რომლებიც წმინდა გამსესხებლები არიან და რომლებსაც დიდი დანაზოგები აქვთ დაბანდებული უმეტესწილად გრძელვადიან ობლიგაციებში.

მაშინ როდესაც, მდიდრები დანაზოგების დაბალი ღირებულების გამო თავიანთი სიმდიდრის წმინდა ღირებულების შემცირების მომსწრენი ხდებიან, დაბალი და საშუალო კლასის ჯგუფები ვალდებულებების შემცირებიდან იღებენ სარგებელს, რაც დაბალი

საპროცენტო განაკვეთით და უფრო მაღალი ინფლაციითა განპირობებული. ვოინეამ (2018) ყურადღება 2008-2014 წლების რუმინეთს მიაპყრო და მიაჩნია, რომ შინამეურნეობების საპასუხო რეაქცია მონეტარული პოლიტიკით დადგენილი განაკვეთის ცვლილებებზე მათი შემოსავლების და დავალიანების დონეზეა დამოკიდებული. ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა სასარგებლოა საშუალო შემოსავლის მქონე შინამეურნეობებისთვის, ვინაიდან უფრო მაღალი ინფლაცია მათ სასესხო გადასახადებს ამცირებს, მაშინ როდესაც დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობები განაკვეთებზე ცვლილებზე არ რეაგირებენ ფინანსურ ბაზრებზე შეზღუდული წვდომის გამო.

მონეტარულმა პოლიტიკამ სიმდიდრის განაწილებაზე საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციის არხის მიხედვითაც შეიძლება იმოქმედოს: ის აქტივების ფასებზე ზემოქმედებს და მათი მეშვეობით შინამეურნეობების საკუთრებაში არსებულ ფინანსურ და უძრავი ქონების აქტივების ღირებულებაზე ახდენს გავლენას. უახლესმა კვლევებმა აქტივების ფასების ცვლილებების ეფექტი შეისწავლეს სიმდიდრეზე, როგორც მონეტარული პოლიტიკის გადაცემითი არხი. აქედან გამომდინარე, შედეგები ხშირად არც სტანდარტულ და არც არასტანდარტულ პოლიტიკასთან არ ასოცირდება, მაშინ როდესაც თეორიაში ამ შედეგების მიწერა ორივეზე შეიძლებოდა. ამის მიუხედავად, საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციის არხი ჩვეულებრივ არასტანდარტულ მონეტარულ პოლიტიკას მიეწერება, რასაც ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით სტანდარტულ ზომებზე უფრო ძლიერი ეფექტის მოხდენა შეუძლია შინამეურნეობების და ფინანსური ინსტიტუტების საინვესტიციო პორტფელის გადაბალანსების გამო (Adam and Tzamourani, 2016; Domanski *et al.*, 2016).

თუმცა, რამდენიმე კვლევის თანახმად, რომელმაც საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციის არხი გაანალიზა, სიმდიდრის უთანასწორობაზე არასტანდარტულ მონეტარულ პოლიტიკას აქტივების ფასების მეშვეობით უმნიშვნელო ეფექტი აქვს ევროპაში (Adam and Tzamourani, 2016; Lenza and Slacarek, 2018), აშშ-ში (Bivens, 2015) და OECD-ის ქვეყნებში (O'Farrel et al., 2016). ამ ნაშრომებმა საკუთარი კაპიტალი,

ობლიგაციები, საცხოვრებელი ადგილის ფასები გაანალიზეს და აღმოაჩინეს, რომ მთლიანი ეფექტი გაურკვეველია, რადგან განსხვავებულ აქტივებზე ფასებს მაკომპენსირებელი გავლენა აქვთ: საცხოვრებელ ადგილებზე მაღალი ფასები სიმდიდრის უთანასწორობის შემცირებას იწვევენ, მაშინ როდესაც საკუთარ კაპიტალზე და ობლიგაციებზე მაღალი ფასები- ზრდიან მას. კასირაგი (2018) თვლის, რომ მდიდარი შინამეურნეობები უფრო სარგებლობენ არასტანდარტული პოლიტიკიდან ფინანსურ აქტივებზე კაპიტალზე ნამატის გამო, მაგრამ ღარიბი შინამეურნეობების სიმდიდრის წმინდა ღირებულებაც უმჯობესდება უფრო დაბალი ვალდებულებების გამო. ინუი (2017) ამტკიცებს, რომ ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის მთლიანი ეფექტი (როგორც სტანდარტული ასევე არასტანდარტულის) სიმდიდრის განაწილებაზე იაპონიაში უმნიშვნელოა, ვინაიდან საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციის და დანაზოგების გადანაწილების არხები ერთმანეთს აბალანსებენ. მეორე მხრივ, აქტივებზე უფრო მაღალი ფასებიდან ის მდიდარი შინამეურნეობები იღებენ სარგებელს, რომელთა აქტივებში დიდი წილი ფინანსურ აქტივებზე მოდის. ამავდროულად, მათი დანაზოგები დაბალი საპროცენტო განაკვეთების გამო უფასურდება.

აქედან გამომდინარე, ემპირიული მტკიცებულებების უმეტესობა აჩვენებს, რომ სიმდიდრის უთანასწორობაზე მონეტარული პოლიტიკის ეფექტი დამოკიდებულია აქტივების ფასების და საპროცენტო განაკვეთების რეაგირების სიძლიერესა და მიმართულებაზე მონეტარული პოლიტიკის შოკის მიმართ ისევე როგორც შინამეურნეობების საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციაში სხვადასხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მნიშვნელობაზე. სხვადასხვა ძალების გათვალისწინებით, რომლებიც უთანასწორობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებით მოქმედებენ, მთლიანი განაწილებითი ეფექტი მცირე ან უმნიშვნელოა. თუმცა, ასევე არსებობს მტკიცებულება, რომ ცენტრალური ბანკების მიერ აქტივების დიდი რაოდენობით შეძენამ და შედეგად აქტივებზე ფასების ზრდამ სიმდიდრის უთანასწორობა განვითარებულ ქვეყნებში გაზარდა (Bank of England, 2012; Domanski *et al.*, 2016).

სიმდიდრის უთანასწორობაზე აქტივების ფასების გავლენა შინამეურნეობების აქტივების და ვალდებულებების შემადგენლობაზე, სიდიდესა და განაწილებაზეა დამოკიდებული (O'Farrell *et al.*, 2016). ზოგადად, ფინანსური აქტივები სიმდიდრის განაწილების უმაღლეს ნაწილში მყოფი შინამეურნეობებს შორისაა კონცენტრირებული, რომლებიც ყველაზე მეტად ობლიგაციებზე და საკუთარ კაპიტალზე ფასების ზრდიდან იღებენ სარგებელს. ამასობაში, საცხოვრებელი ადგილების მფლობელობა უფრო თანაბრადაა განაწილებული, საშუალო და საშუალოზე ზედა კლასები ყველაზე მეტად უძრავ ქონებაზე ფასების ზრდისგან იღებენ სარგებელს (როგორც ეს Adam and Tzamourani (2016) ასახეს ევროპისთვის). იმის გათვალისწინებით, რომ ეს სოციალური ჯგუფი მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენს, საცხოვრებელ ადგილებზე ფასების ზრდას სიმდიდრის უთანასწორობის შემცირება შეუძლია.

აქედან გამომდინარე, იმ მექანიზმის გასაგებად, რომელიც საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციის არხის უკან დგას, შინამეურნეობების სიმდიდრის თავისებურებები და სიმდიდრის განაწილება უნდა იქნას შესწავლილი, რაც ქვეყნებს შორის ცვალებადია. ამასთან, სიმდიდრის განაწილების სენსიტიურობა სხვადასხვა აქტივების ფასების მიმართ განსხვავებულია. დიდი ფინანსური კრიზისიდან პერიოდიდან, სარგებელი საკუთარ კაპიტალზე და უძრავ ქონებაზე ფასები სიმდიდრის უთანასწორობის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა (Domanski *et al.*, 2016), მაშინ როდესაც ობლიგაციების ფასებს უმნიშვნელო გავლენა ჰქონდა (Adam and Tzamourani, 2016; Domanski et al., 2016). უძრავ ქონებაზე მაღალ ფასებს სიმდიდრის უთანასწორობის შემცირებაზე ძლიერი ეფექტი აქვთ, ვინაიდან ეს შინამეურნეობების დიდი ნაწილისთვის სარგებლის მომტანია. საკუთარ კაპიტალზე ფასები კი მცირედ ან მოკრძალებულად ზრდიან უთანასწორობას , რადგან კაპიტალზე სარგებელი მხოლოდ სიმდიდრის განაწილების ყველაზე მაღალ პერცენტილს აწყობს ხელს(Bivens, 2015; Adam and Tzamourani, 2016; Lenza and Slacarek, 2018).

2.4. მაკროპრუდენციული პოლიტიკა

მაკროპრუდენციული პოლიტიკის მიზანი საკრედიტო წრეების მოთვინიერებით და კრიზისული რისკების შემცირებით ფინანსურ სტაბილურობაზე ზრუნვაა (Thwaites, 2017). მას შემოსავლების და სიმდიდრის უთანასწორობაზე გავლენის მოხდენა ძირითადად კრედიტებზე წვდომის შეზღუდვით ან კრედიტების უფრო გაძვირებით შეუძლია. ამ მიმართულებით ლიტერატურა მწირია. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტების გავლენის მოდელირება ხშირად უძრავი ქონების ბაზრის მეშვეობით ხდება. პოლიტიკის შესწავლილი ინსტრუმენტები აქტივებზე დაფუძნებულ (სესხის ფარდობა უზრუნველყოფის ღირებულებასთან, კოლატერალური მოთხოვნები) ან კაპიტალზე დაფუძნებულ ღონისძიებებს (სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნები ბანკისთვის). სხვადასხვა ღონისძიებებს განსხვავებული ეფექტი აქვთ უთანასწორობაზე.

რამდენიმე ნაშრომმა ყურადღება გაამახვილა სესხის ფარდობაზე უზრუნველყოფის ღირებულებასთან (LTV), როგორც კრედიტებზე წვდომაზე გავლენის მომხდენ ძირითად მაკროპრუდენციულ ინსტრუმენტზე. LTV მოთხოვნების ეფექტი შეიძლება განსხვავებული იყო იმ მსესხებლებზე, რომლებსაც უკვე აქვთ იპოთეკური სესხი იმათგან ვინც აპირებს რომ იპოთეკური სესხი გამოიტანოს. სესხის აღების დროს LTV-ზე უფრო მკაცრი მოთხოვნები კრედიტს უფრო ძვირს და ძნელად მისაღებს ხდის, მაშინ როდესაც ნაკლებად მდიდარ შინამეურნეობებს სახლის ღირებულების მცირე ნაწილის დაფინანსება იპოთეკით შეეძლებოდათ (Carpantier et al., 2017). თუმცა, როგორც რუბიო და კარასკო-გალეგო ამტკიცებენ (2014) ეს მაკროპრუდენციული პოლიტიკა კეთილდღეობას აუმჯობესებს- დაბალი სესხის ფარდობა უზრუნველყოფის ღირებულებასთან შინამეურნეობების დავალიანების ნაკლებ დონეს იწვევს და სამომავლო დეფოლტების რისკს ამცირებს, მაშინ როდესაც მსესხებლები ფინანსური სტაბილურობიდან სარგებელს იღებენ. ეს ნაკლებად ნაკლებად მდიდარი შინამეურნეობების ქონების წმინდა ღირებულების ზრდის, რითაც უთანასწორობას შემცირებისკენ უბიძგებს. საწინააღმდეგო ეფექტს განიცდიან მაღალი

LTV-ით მსესხებლები, რომლებსაც უკვე აქვთ იპოთეკური სესხები. რაბიჩი და პუნზი (2017) DSGE მოდელში, რომელშიც ჰეტეროგენური მსესხებლებია ჩართული აჩვენებენ, რომ სესხის ფარდობის უზრუნველყოფის ღირებულებასთან შემცირება და საკრედიტო პირობების შემდგომი გამკაცრება უფრო მეტად ვნებს ნაკლებად მდიდარ შინამეურნეობებს მაღალი LTV-ით, რასაც მათი რისკიანობის გადაფასებამდე და სახლებზე ფასების კოლაფსის დროს იპოთეკურ სესხებზე დეფოლტის ახალ ტალღამდე მივყავართ. დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე შინამეურნეობები შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როდესაც იპოთეკური სესხის გადასახადი სახლის ახლანდელ ღირებულებას გადააჭარბებს. ეს მათ ფინანსურ მდგომარეობას ამძიმებს და ამცირებს ქონების წმინდა ღირებულებას, რაც გაზრდის სიმდიდრის უთანასწორობას. ამ მოდელზე დაყრდნობით პუნზი და რაბიჩი (2018) აჩვენებენ, რომ ოპტიმალურმა მაკროპრუდენციულმა პოლიტიკამ გადაჭარბებული სესხება მხოლოდ მაღალი LTV-ის ტიპის შინამეურნეობებისთვის უნდა შეზღუდოს, რომლებიც სახლებზე საფასო შოკებზე ყველაზე მეტად რეაგირებენ, მაგალითად ყიდიან აქტივებს სესხების შესამსუბუქებლად.

მაკროპრუდენციულ პოლიტიკას უთანასწორობაზე ზემოქმედება კოლატერალური მოთხოვნებითაც შეუძლია. რუბიოს და უნსალის (2017) ნაშრომში მოცემულია DSGE მოდელის განაწილებითი შედეგები დაბალი შემოსავლის მქონე და განვითარებადი ქვეყნებისთვის. ისინი თვლიან, რომ კოლატერალური მოთხოვნების მუდმივად ზრდის პასიური პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე გამოშვების ნაკლებად სტაბილურ დონემდე მივყავართ. გრძელვადიანი პერიოდში გამოშვების ეს დანაკარგი აგენტებს შორის არათანაბრადაა განაწილებული რაც უთანასწორობას ზრდის. მეწარმეები (მსესხებლები ამ ეკონომიკაში) ყველაზე მეტად ზარალდებიან, ვინაიდან გაზრდილი კოლატერალური მოთხოვნების გამო სესხებზე წვდომა ეზღუდებათ, რაც წარმოების, მოხმარების და შემოსავლების უფრო დაბალ დონეში აისახება. ამის საპირისპიროდ, სტიგლიცი (2015, p.2017) ამტკიცებს, რომ „კოლატერალური მოთხოვნების შემცირება ეკონომიკის მთლიანი ეფექტურობის ზრდაში კი არ აისახება, არამედ გაზრდილ უთანასწორობაში“. სესხების

კოლატერალური მოთხოვნების შემცირება მიწებზე უფრო მაღალ ფასებში და მიწათმფლობელებისთვის კაპიტალიდან გაზრდილ შემოსავლებში აისახება, მაშინ როცა ბანკები გაზრდილი სესხებიდან სარგებლობენ. ამით მდიდარი ან მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობები უფრო დისპროპორციულად იღებენ სარგებელს.

მენდიჩინოს 2018 წლის უახლესი კვლევა კლერკის 2015 წლის 3D მოდელის გაფართოებით კაპიტალზე საბანკო მოთხოვნების განაწილებით გავლენას აფასებს. 3D მოდელი საშუალო სკალის, მიკროდონეზე დაფუძნებული ზოგადი წონასწორობის მოდელია , რომელიც მაკროპრუდენციული პოლიტიკის ანალიზის ჩასატარებლად შემუშავდა. მოდელი სამ კომპონენტს განიხილავს. პირველი, შინამეურნეობები ბანკებიდან სახლების შესაძენად სესხულობენ; დეფოლტი ხდება მაშინ, როდესაც იპოთეკური სესხის ღირებულება სახლის რეალურ ღირებულებაზე მეტია. მეორე, ფირმები ბანკებიდან ინვესტიციების დასაფინანსებლად სესხულობენ; დეფოლტი ხდება მაშინ, როდესაც ფირმების შემოსავლები სესხის გადასახდელად საკმარისი არ არის. მესამე, არსებობს ფინანსური სისტემა, რომლის ცენტრი ბანკია და სადაც შუამავალი პირები საკუთარი კაპიტალით და დაზღვეული დეპოზიტებით იფინანსებენ თავს და თავიანთ რესურსებს ფირმებზე და შინამეურნეობებზე ასესხებენ. ბანკები კაპიტალზე მოთხოვნების და დეფოლტის სამიზნეები ხდებიან მაშინ, როდესაც სესხებიდან შემოსავლები დეპოზიტებზე გადასახადებს ვერ ფარავს. ამ მოდელში გაკოტრების შემდეგ აქტივების ლიკვიდაციის პროცესი ხარჯიანი ხდება, ვინაიდან აქტივების დიდი ნაწილი უფასურდება. ვინაიდან ბანკებს შეზღუდული სასესხო ვალდებულებები აქვთ და მთავრობა შინამეურნეობებს საბანკო დეფოლტის შემდეგ მეანაბრეების მიერ გამოწვეული დანაკარგის დასაფარად ბეგრავს, დეფოლტის მოსალოდნელობის დროს ბანკები მთავრობისგან სუბსიდიებს იღებენ. ეს მორალურ საფრთხეს იწვევს, ვინაიდან ბანკები მიდრეკილები არიან დააფინანსონ დეპოზიტების მქონე შინამეურნეობების და ფირმების რისკიანი სესხები.

კაპიტალზე მოთხოვნების ეფექტები კეთილდღეობაზე ასიმეტრიულია. მეორე მხრივ, კაპიტალზე მაღალი მოთხოვნები იმ დეფორმაციას ამცირებს, რომელიც

სადეპოზიტო დაზღვევების სუბსიდირებით, საბანკო დეფოლტის მოხდენის ალბათობით და გადასახადებითაა გამოწვეული. ეს დამზოგველების კეთილდღეობას ზრდის. მეორე მხრივ, კაპიტალზე მაღალი მოთხოვნები ფინანსურ შუამავლობას აფერხებენ და მსესხებლების კეთილდღეობას ზიანს აყენებენ. მენდიჩინო (2018) თვლის, რომ კაპიტალზე მოთხოვნები, რომლებიც დაბალი დონიდან იწყებს ზრდას პარეტო მდგომარეობას აუმჯობესებს გარკვეულ ნიშნულამდე და შემდეგ უკვე გადანაწილებითი ხდება. როდესაც კაპიტალზე მოთხოვნები დაბალი ნიშნულიდან იწყებს ზრდას, როგორც ეს წინაკრიზისული ბაზელ III სტანდარტითაა განსაზღვრული, როგორც დამზოგველები ასევე მსესხებლები კაპიტალზე მოთხოვნების ზრდიდან სარგებლობენ. გარკვეული ზღვრის შემდეგ, დამზოგველები დაბალი ფინანსური არამდგრადობით სარგებლობენ, მაშინ როდესაც მსესხებლები დანაკარგებს განიცდიან. დამზოგველები სადეპოზიტო დაზღვევის დაბალი საგადასახადო ტვირთიდან და ბანკის აქციების ფლობიდან მიღებული მაღალი შემოსავლებიდან იღებენ სარგებელს. მსესხებლები საბანკო დეფოლტის დაბალი დანახარჯებიდანაც სარგებლობენ, მაგრამ სესხზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო ზარალობენ. როგორც კი საბანკო დეფოლტი ნულს მიუახლოვდება, მეორე ეფექტი იწყებს დომინირებას. აქედან გამომდინარე, კაპიტალზე მოთხოვნები დამზოგველების და მსესხებლების კეთილდღეობას შორის ვაჭრობას გულისხმობს. ოპტიმალურად მიიჩნევა კაპიტალზე მოთხოვნები, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში მსესხებლების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას მოახერხებენ.

ემპირიული მტკიცებულება - მაკროპრუდენციული პოლიტიკის განაწილებით ეფექტებს ჯერჯერობით ლიტერატურაში საკმარისი ყურადღება არ დათმობია. არსებული მტკიცებულებები მწირია და საბოლოო პასუხების უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის. ამ მიმართულებით კვლევები რამდენიმე შეზღუდვას აწყდება: 1) დროის ის პერიოდი, როდესაც მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები გამოიყენება, მოკლეა. მაკროპრუდენციული პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე ფართოდ არ გამოიყენებოდა. მისი აქტიურად გამოყენება 2007 წლიდან

დაიწყო. 2) ასეთი პოლიტიკას ჰეტეროგენურობა ახასიათებს, ვინაიდან განსხვავებული მიზნებისთვის, განსხვავებული ეკონომიკური და ფინანსური უარყოფითი ეფექტებით განსხვავებული ინსტრუმენტები გამოიყენება. 3) მაკროპრუდენციული პოლიტიკის ეფექტი მონეტარული თუ სხვა სახის პოლიტიკის ეფექტებიდან, ისევე როგორც ფინანსურ სისტემაში არაპოლიტიკური მოვლენებით გამოწვეული ცვლილებებიდან შეიძლება რთული გასარჩევი იყოს. 4) მაკროპრუდენციულ პოლიტიკაზე მონაცემები ახალია. მონაცემთა რამდენიმე ბაზა ბოლო წლებში გამოჩნდა, რომელთაგან ყველაზე ყოვლისმომცველი ჩერუტის ეკუთვნის (2017). ეს მონაცემთა ბაზა 119 ქვეყნის მიერ 2000-2013 წლებში 12 მაკროპრუდენციული ინსტრუმენტის გამოყენებაზე ყოველწლიურ ინფორმაციას მოიცავს. აღნიშნული მონაცემები კვლევებისთვის და მაკროპრუდენციული პოლიტიკის განაწილებითი ეფექტების გასაანალიზებლად იქნა გამოყენებული.

სამ ნაშრომში ემპირიულად არის შესწავლილი უთანასწორობაზე მაკროპრუდენციული პოლიტიკის გავლენა. ფროსტმა და ვან შტრალენმა (2017) ჩერუტის (2017) მონაცემთა ბაზების მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები გამოიყენეს 2000-2013 წლებში 69 ქვეყნისთვის და ბაზრის ჯინის კოეფიციენტთან და წმინდა შემოსავლების უთანასწორობასთან მათი კავშირი გაანალიზეს. დანარჩენ ორ ნაშრომში ევროპის 12 ქვეყნის შინამეურნეობების გამოკითხვაა გამოყენებული HFCS-ის (Carpantier et al., 2017) და აშშ-ის ორეგონის შტატის (Zinman, 2010) მონაცემებზე დაყრდნობით. ნაშრომების მიზანი მაკროპრუდენციული ზომების სიმდიდრეზე და მოხმარებაზე ეფექტების შესწავლაა. სამივე ნაშრომი მაკროპრუდენციული პოლიტიკის გადანაწილებითი ეფექტების არსებობას ამტკიცებს. შემზღუდველი ზომები, როგორიცაა LTV-ის უფრო მაღალი მნიშვნელობა, ბანკთაშორისი კონცენტრაციის და გახსნილობის შეზღუდვა, მაღალ სარეზერვო მოთხოვნებთან ერთად შემოსავლების მაღალ უთანასწორობასთან ასოცირდება (Frost and van Stralen, 2017) მსგავსად, შესაძლოა სამომხმარებლო სესხებზე შეზღუდვებმა დამანგრეველი გამანაწილებითი ეფექტები გამოიწვიონ, ვინაიდან ისინი შინამეურნეობებს უარესი სუბსტიტუტებისკენ გადანაცვლებას აიძულებენ (როგორიცაა სხვადასხვა ტიპის

ოვერდრაფტები და პირგასამტეხლოები), რაც მათ ფინანსურ მდგომარეობას აუარესებს, ნაყოფიერ ინვესტირებას აფერხებს და მოხმარებას ანელებს (Zinman, 2010). მეორე მხრივ, LTV მოთხოვნებს სიმდიდრის უთანასწორობის შემცირება შეუძლიათ: ნაკლებად მდიდარი შინამეურნეობისთვის იპოთეკური სესხის აღება უფრო რთულია, რაც მათ დავალიანების დონეს ამცირებს და სიმდიდრის უთანასწორობას შემცირებისკენ უბიძგებს (Carpantier et al., 2017).

უცნობია, თუ რა მექანიზმების მეშვეობით შეუძლია მაკროპრუდენციულ პოლიტიკას განაწილებითი ეფექტების წარმოქმნა. არეგუი (2013) ვარაუდობს, რომ ეს მაკროპრუდენციული ზომების დაუგეგმავი გვერდითი ეფექტების გამო ხდება, რასაც „გაჟონვები“ იწვევს. უფრო მკაცრი სასესხო მოთხოვნები და კაპიტალზე რეგულაციები დაქირავების სურვილს აძლიერებს, ფინანსური ქმედებების ჩრდილოვან საბანკო სისტემაში გადადინებით, კაპიტალის სტანდარტების მაღალი დანახარჯების დასაფარად საბითუმო დაფინანსებაზე დაყრდნობის გაზრდილი დონით, საზღვრებს გარეთ სესხებით და მარეგულირებელი არბიტრაჟით. ეს „გაჟონვები“ ეკონომიკურ ქირას ძირითადად მაღალი შემოსავლის მქონე აგენტებისთვის წარმოქმნიან (Frost and van Stralen, 2017). მათ შემოსავლები არაპროპორციულად (მეტად) გაეზრდებათ დაბალი და მაღალი შემოსავლის მქონე აგენტებთან შედარებით, რომლებიც ფინანსურად შებორკილები არიან და ფინანსურ ბაზრებზე შეზღუდული წვდომა აქვთ.

თავი III შემოსავლების უთანასწორობა საქართველოში და პარალელები სხვა ქვეყნებთან

საქართველოში შემოსავლების უთანაბრობაზე საუბარი საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დავიწყოთ და ვნახოთ თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები დღემდე. საქართველოშიც კომუნისტური რეჟიმის პირობებში შემოსავლებს შორის უთანაბრობა შედარებით მცირე იყო და დროთა მანძილზე მკვეთრად არ უარესდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საწყის წლებში, ქვეყანა მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების წინაშე აღმოჩნდა, მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობის დონე და სიღარიბე, მოსახლეობის უმრავლესობამ დაკარგა მნიშვნელოვანი დანაზოგები, მასობრივი პრივატიზაციის შედეგად კი ქვეყნის სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი ადამიანთა მცირე ჯგუფების მფლობელობაში გადავიდა. ამ მოვლენების შედეგად, საქართველოში არსებული სიტუაცია, შემოსავლების უთანასწორობის კუთხით, რუსეთის მსგავსად განვითარდა და უარესობისკენ შეიცვალა, ხოლო ამ პროცესებით გამოწვეული პრობლემები დღემდე იჩენს თავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

3.1. უთანასწორობა საქართველოში და მისი შედეგები

ზემოთ როგორც აღვნიშნეთ, შემოსავლების არათანაბარი განაწილების პრობლემა, საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ მწვავე საკითხად რჩება. ხოლო, ამ სოციალურ პრობლემას კიდევ უფრო აუარესებს ის ფაქტიც რომ ქვეყანაში ადამიანთა დიდი რაოდენობა სიღარიბეს ებრძვის და ამ სეგმენტის მიერ გამომუშავებული შემოსავლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყანაში არსებულ საშუალო მონაცემებს. საქართველოში შემოსავლების უთანაბრობის გასაზომად ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებად სტატისტიკურ მაჩვენებელს ჯინის კოეფიციენტი წარმოადგენს. როგორც წინა ნაწილში ვახსენეთ, ეს კოეფიციენტი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ შემოსავლების ფაქტობრივი

განაწილების გადახრა მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. იგი იანგარიშება 0-დან 1-დე ინტერვალში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ჯინის კოეფიციენტს 6 სხვადასხვა სახის ფულადი ნაკადების მიხედვით ითვლის[18]. გრაფიკი 1-ზე მოცემულია ექვსივე მათგანის ცვლილების ტენდენციები 2006 წლიდან მოყოლებული. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, აშკარაა რომ ჯინის კოეფიციენტები 2006 წლიდან მოყოლებული, 2010 წლამდე იზრდებოდა, ხოლო 2011 წლიდან დაიწყო მათი კლება (თუ არ ჩავთვლით 2016-2017 წლების პერიოდს, როდესაც მათი მცირედით ზრდა მოხდა). საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს რომ 2019 წელს, 2006 წელთან შედარებით, თითქმის ყველა კატეგორიის ჯინის კოეფიციენტი შემცირებულია, განსაკუთრებით კი მთლიანი ფულადი სახსრების და მთლიანი შემოსავლების მიხედვით დათვლილი. თუმცა მთლიანი ხარჯების მიხედვით დათვლილი ჯინის კოეფიციენტი 2019 წელს შეადგენს 43%, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი 2006 წელს 40%-ის ტოლი იყო. ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სულ მცირე უკანასკნელ 2 წელში უთანაბრობის დონე შედარებით გაუმჯობესებულია. თუმცა თუ 2006 წლიდან არსებულ ტენდენციას შევხედავთ, მხოლოდ მცირე გაუმჯობესებას აღმოვაჩენთ ამ წელთან შედარებით, ხოლო შედარებით მნიშვნელოვან გაუმჯობესებას 2011 წლის დონესთან შედარებით.

18

მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მოიცავს ტრანსფერტებს, ფულად და არაფულად შემოსავლებს.
მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მოიცავს ტრანსფერტებს, ფულად შემოსავლებსა და სხვა ფულად სახსრებს.
მთლიანი სახსრების მიხედვით	მოიცავს ფულად და არაფულად შემოსავლებს და სახსრებს.
მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მოიცავს სამომხმარებლო ფულად და არაფულად ხარჯებს.
მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მოიცავს სამომხმარებლო და არასამომხმარებლო ფულად ხარჯებს.
მთლიანი ხარჯების მიხედვით	მოიცავს ფულად და არაფულად ხარჯებს.

2006-2008 წლებში, ჯინის კოეფიციენტის თანმიმდევრული მატების პარალელურად საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებიც ფიქსირდებოდა (საშუალოდ 8.13%[19]). ხოლო, 2013-2015 წლებში კი პირიქით, მშპ-ის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად დაეცა (საშუალოდ 3.7%) და ამავე პერიოდში ჯინის კოეფიციენტიც მნიშვნელოვნად შემცირდა. დროის ამ მოკლე პერიოდისათვის გამოიკვეთა პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება ჯინის კოეფიციენტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, თუმცა ამ კავშირის დასასაბუთებლად და შესასწავლად დამატებითი პერიოდების არსებობა და ღრმა ეკონომეტრიკული ანალიზების გამოყენებაა საჭირო.

დიაგრამა 1; *ჯინის კოეფიციენტი*



წყარო: საქსტატი

სიღარიბის შესაფასებლად გამოიყენება როგორც შეფარდებით, ასევე აბსოლუტური სტატისტიკური მაჩვენებლები. ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლებიდან ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება: მედიანური მოხმარების 60 ან 40 პროცენტის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებით. აღნიშნული სტატისტიკური

[19] წყარო: საქსტატი

კოეფიციენტი გვიჩვენებს, მოსახლების იმ კატეგორიის წილს, ვინც მედიანური ოჯახის საშუალო თვიური მოხმარების 60%-ს ან უფრო ნაკლებს მოიხმარს თვის მანძილზე. შესაბამისად, მედიანური მოხმარების 40%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილში კი იგულისხმება იმ ადამიანების წილი მთლიან პოპულაციაში ვისი მიერაც ყოველთვიურად გაწეული სამომხმარებლო დანახარჯების მოცულობა მედიანურ ოჯახის მიერ თვის მანძილზე გაწეული სამომხმარებლო დანახარჯების მხოლოდ 40%-ს ან უფრო ნაკლებს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლების შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ყოველწლიურად აქვეყნებს განახლებულ ინფორმაციებს (იხილეთ დიაგრამა 2 და 3).

დიაგრამა 2-სა და 3-ში მოცემული დროითი მწკრივებიდან გამომდინარე ცალსახაა რომ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, საქართველოში სიღარიბის 60%-იანი ფარდობითი მაჩვენებლები თითქმის უცვლელია და მცირე გაუმჯობესება განიცადა უკანასკნელი 2 წლის მანძილზე. როგორც დიაგრამა 2-დანაც ჩანს, ქალაქის მოსახლეობაში აშკარა გაუმჯობესება შეინიშნება: 2004 წელთან შედარებით, 2019 წლისათვის მედნიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 4.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შეადგინა 16.2%. იმავე პერიოდისათვის, აღნიშნული მაჩვენებლი სოფლის მოსახლეობისათვის გაუარესდა 2.3 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 25.5%. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ შედარებით მწვავე სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის წილი (40%-იანი მედიანური მოხმარების მიღმა მყოფები) შედარებით მკვეთრად მცირდება და უკანასკნელი 15 წლის მანძილზე კოეფიციენტი 9%-დან 7.4 პროცენტამდე ჩამოვიდა. ეს გაუმჯობესებაც, ასევე ქალაქში მყოფი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯზე იქნა მიღწეული. 60%-იანი მედიანური სტატისტიკური მაჩვენებლიდან ასევე შესაძლებელია დავასკვნათ ის რომ ქალაქსა და სოფელში მყოფი მოსახლეობის შეფარდებითი მდგომარეობებს შორის დაშორება იზრდება: ქალაქში შედარებით ნაკლები ადამიანია მოხმარების 60%-იან ზღვარს ქვემოთ, ვიდრე სოფელში. აღნიშნული გარემოებიდან შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ

მოსახლეობას შორის შემოსავლების უთანაბრობის კუთხით მდგომარეობა არ უმჯობესდება უკანასკნელი 15 წლის მანძილზე.

დიაგრამა 2; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი: მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 3; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი: მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)



წყარო: საქსტატი

აბსოლუტური სტატისტიკური მაჩვენებლიდან სიღარიბის შესაფასებლად ყველაზე უფრო გავრცელებული საზომია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შედგენილია მეთოდოლოგია, რომლითაც დგინდება სიღარიბის აბსოლუტური ზღვრი. 2018 წელს გამოშვებული, განახლებული მეთოდოლოგიის მიხედვით ზოგადი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია 2.5 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე, უახლოესი გაცვლითი კურსის მიხედვით (20.06.2020) თვეში დაახლოებით 230 ლარს შეესაბამება; ხოლო უკიდურესი სიღარიბის ზღვრად კი მიჩნეულია 1.25 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით თვეში დაახლოებით 115 ლარს შეესაბამება.

დიაგრამა 4-ი ასახავს ზოგადი სიღარიბის ტენდენციებს საქართველოში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, სოფლისა და ქალაქის ჭრილში. საქართველოს მასშტაბით ზოგადი სიღარიბის დონე კლებადი ტრაექტორიით ხასიათდება: თუკი 2010 წელს ქვეყნის მოსახლეობის 37.3% ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (ანუ დღიური შემოსავალი ჰქონდა 2.5 დოლარზე ნაკლები), ეს ციფრი 2019 წლისათვის შემცირდა 19.5 პროცენტამდე. აბსოლუტური მაჩვენებლების კუთხითაც, ისევე როგორც ეს შეფარდებითი მაჩვენებლების დროს იყო, გამოიკვეთა რომ სოფლის მოსახლეობაში შედარებით ნაკლებად ხდება სიღარიბის მასშტაბების შემცირება და ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია.

დიაგრამა 4; სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი,[20]



წყარო: საქსტატი

საქსტატი, სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლის ჭრილში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც ხდის ინფორმაციას ხელმისაწვდომს. შედარებით მაღალი აბსოლუტური სიღარიბის წილი 0-17 ასაკობრივი მოსახლეობის ნაწილში აიხსნება იმით რომ ამ ასაკის ადამიანებს ძირითადად ოჯახის სხვა წევრები (დედა, მამა) ჰყავთ მარჩენალები და თვითონ ნაკლები შემოსავლები აქვთ. საპენსიო ასაკის მოსახლეობის (65+) კუთხით კი წლების მანძილზე შემცირების ტენდენცია ძირითადად მიღწეულია საპენსიო გაცემების პერიოდული ზრდების შედეგად. ამ კუთხით აღსანიშნავია ის ფაქტი რომ 2019 წელს საქართველოში უკვე დაინერგა დაგროვებით საპენსიო სისტემა, რაც გულისხმობს იმას რომ ადამიანი თავისი სამუშაო ასაკის პერიოდში დაიწყებს საპენსიო დანაზოგების აკუმულირებას. ეს სისტემა საშუალებას მისცემს ქართველ პენსიონერებს აიღონ შედარებით სამართლიანი (შემოსავლებზე მიბმული) და შესაბამისი მოცულობის პენსია, რაც დაეხმარება მათ სიღარიბის დაძლევაში და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. სხვა მხრივ კი, ეს სისტემა, მნიშვნელოვან ტვირთს მოხსნის სახელმწიფო ბიუჯეტს,

[20] *2015 წელი წარმოადგენს სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების საბაზისო წელს.*
შენიშვნა: 2004-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

საიდანაც ხდება ამჟამად პენსიის გაცემა და სადაც 2019 წელს, სხვადასხვა სოციალურ ხარჯებზე დაახლოებით ერთი მესამედი ნაწილი იყო გათვალისწინებული. სხვა მხრივ კი, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ, დაგროვებით საპენსიო სისტემის შემოღებამ, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში შემოსავლების უთანასწორობას გაზრდას შეიძლება შეუწყოს ხელი (რადგანაც ყველას ინდივიდუალური, განსხვავებული ყოველთვიური პენსია ექნება და არა უნივერსალური ერთი და იმავე თანხა). თუმცა, მიუხედავად ამ ფაქტისა, ეს სისტემა, მომავალში, მკვეთრად გააუმჯობესებს ასაკიანი მოსახლეობის კეთილდღეობას და დაეხმარება მათ სიღარიბის დაძლევაში.

დიაგრამა 5; სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%); ასაკობრივი ჯგუფები



წყარო: საქსტატი

2018 წელს საქართველოში „ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის“ (ACT) და გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის ერთობლივი თანამშრომლობით მომზადდა რეპორტი (გოგილაშვილი, ბაუმი, ნადირაძე, & ძოწენიძე, 2018), სადაც განხილულია საქართველოში არსებული სიღარიბის მაჩვენებლები. ანგარიშის მიხედვით, უკანასკნელი პერიოდების მანძილზე საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები იზრდება. საქართველოს მოსახლეობის სიღარიბისა და კეთილდღეობის მდგომარეობაში

ცვლილებების შეფასება განხორციელდა სამომხმარებლო ხარჯების ანალიზის საფუძველზე. შედეგად კი გამოიკვეთა, რომ ეროვნულ დონეზე, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4.3%, მოსახლეობის 5.0%, ბავშვების 6.8% და პენსიონერების 3.7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რაოდენობა შესაბამისად 2.6, 2.9, 4.3, და 2.0 პროცენტული ერთეულით გაიზარდა. ამ კვლევის ასევე აჩვენა, რომ საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების რაოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა; ყოველი მეხუთე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ არის. სიღარიბის მთავარ გამომწვევ ფაქტორებს რაც შეეხება, მოცემული პერიოდებისათვის, შინამეურნეობების წევრები მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზებად ძირითადად ფასების ზრდას, სერიოზულ ავადმყოფობასა და შინამეურნეობის შემოსავლის შემცირებას ასახელებენ.

3.2. უთანასწორობასთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემები საქართველოსა და მსოფლიოში

მსოფლიო ბანკი რეგულარულად ახორციელებს შემოსავლების უთანასწორობის კვლევას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში. უთანასწორობის შესაფასებლად ორგანიზაცია იყენებს ჯინის კოეფიციენტს, თუმცა მის კალკულაციას ახდენს თავის მეთოდოლოგიის მიხედვით, ამიტომაც ხშირად მის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები მცირედით აცდენილია, კონკრეტული ქვეყნების მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებთან. 2019 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით[21], მსოფლიო ბანკის მიერ შეფასებული 2018 წლის ჯინის კოეფიციენტი საქართველოში 36.4%-ია, რაც 2-3

[21] იხილეთ წყარო: https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI

პროცენტული პუნქტით უფრო მცირეა ვიდრე საქსტატის მიერ დათვლილი მონაცემები. 2018 წლის მონაცემების მიხედვით, რეგიონისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით საქართველოში შედარებით მაღალი დონეა შემოსავლების უთანასწორობის კუთხით. 2018 წლისათვის, საქართველოზე შედარებით მაღალი უთანაბრობის მაჩვენებელი ჰქონდა რუსეთსა და თურქეთს, ხოლო ჩვენს მეზობელ სომხეთში, ასევე უკრაინაში, ბელორუსიაში და მოლდოვაში ჯინის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მცირეა.

დიაგრამა 6; ჯინის კოეფიციენტი: მსოფლიო ბანკის მიერ შეფასებული; რეგიონის ქვეყნები



წყარო: მსოფლიო ბანკი

მსოფლიო მასშტაბით უთანაბრობის ანალიზისათვის, დიაგრამა 7-სა და 8-ზე, თითოეული ქვეყნისათვის წარმოდგენილია ჯინის კოეფიციენტების საშუალო მაჩვენებელი 2000-დან 2018 წლის ჩათვლით. ქვეყნები პირობითად დაყოფილია ორ ჯგუფად:

- მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნები: ქვეყნები, რომელთა საშუალო ჯინის კოეფიციენტი 33%-ის ტოლი ან მეტია;
- დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნები: ქვეყნები, რომელთა საშუალო ჯინის კოეფიციენტი 33%-ზე დაბალია

დიაგრამა 7; ჯინის კოეფიციენტი - მაღალი კოეფიციენტის მქონეთა კლასი



დიაგრამა 8; ჯინის კოეფიციენტი - დაბალი კოეფიციენტის მქონეთა კლასი



წყარო: მსოფლიო ბანკი

მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოში არსებული შემოსავლებს შორის უთანაბრობის საშუალო დონე (შეფასებული ჯინის კოეფიციენტით) საკმაოდ მაღალია. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოსთან

შედარებით მეტი უთანაბრობაა ისეთ დიდ ქვეყნებში როგორიცაა აშშ, ისრაელი, მექსიკა და ჩინეთი. თუმცა შედარებით საქართველოს მსგავს, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორიცაა სომხეთი, ლატვია და ლიეტუვა, კვიპროსი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და მოლდოვა ჯინის კოეფიციენტი საკმაოდ მცირე და ზოგიერთ მათგანი თითქმის 10 პროცენტული პუნქტითაც ქვემოთაა საქართველოსთან შედარებით.

2018 წელს გამოცემულ მსოფლიო უთანასწორობის რეპორტის მიხედვითაც (Alvaredo, 2019)[22] , შემოსავლების მიხედვით უთანასწორობის ტენდენციები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სხვადასხვა მერყეობებით ხასიათდება. ყველაზე დაბალი ის ევროპის ქვეყნებშია, ყველაზე მაღალი კი შუა-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (ნავთობ მომპოვებელი ქვეყნები). 2016 წლისათვის, მთლიანი ეროვნული შემოსავლის წილში ქვეყნის მოსახლეობის ტოპ 10%-ი ყველაზე მდიდარი ადამიანების წილი ევროპის მასშტაბით 37%, ჩინეთში - 41%, რუსეთში - 46%, ამერიკასა და კანადაში 46%, შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში კი 61%-ს შეადგენს. 1980 წლიდან მოყოლებული, შემოსავლებს შორის უთანაბრობა მნიშვნელოვნად იზრდება ჩრდილეთ ამერიკაში, ჩინეთსა და ინდოეთში. აღნიშნული მაჩვენებელი ევროპის მასშტაბითაც მცირედით, მაგარმ მაინც ზრდადია (თუმცა აბსოლუტური მაჩვენებელი მაინც მცირეა ევროკავშირის მასშტაბით).

მსოფლიო უთანასწორობის რეპორტში ასევე გაანალიზებულია, თუ როგორ შეიცვალა ტოპ 1% ადამიანები წილი მთლიან შემოსავლებში და ეს უკანასკნელი შედარებულია ქვედა 50% ადამიანების წილთან. 1980 წლიდან 2016 წლამდე, მსოფლიო მასშტაბით ტოპ 1% პოზიციაზე მყოფი ადამიანების წილი გლობალურ შემოსავლებში 16.2%-დან 20.4%-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც აღნიშნულ პერიოდში, მოსახლეობის ქვედა 50%-ის წილი მთლიან შემოსავლებში7.9%-დან სულ რაღაც 9.7%-მდე გაიზარდა. ეს ვითარება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას რომ გლობალურად ბოლო ათწლეულების მანძილზე შემოსავლებს შორის უთანაბრობა კიდევ უფრო მწვავდება. აღნიშნულ მაჩვენებლებს ქვეყნების კუთხით თუ შევხედავთ, მნიშვნელოვან სხვაობებს აღმოვაჩენთ

[22] წყარო: https://wir2018.wid.world/files/download/wir2018-full-report-english.pdf

მათ შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ტოპ 1%-ის წილმა მთლიან შემოსავლებში 1925 წლებიდან მნიშვნელოვანი კლება დაიწყო (საწყის პერიოდში ეს დიდი დეპრესიის შედეგად გამოწვეული მოვლენებითაც იყო განპირობებული) და ქვედა 50%-ის წილზე ქვემოთ ჩამოვიდა, მაგრამ 1990 წლებიდან მდგომარეობა კვლავ გაუარესდა და ტოპ 1%-ის მქონეთა წილმა კვლავ გადააჭარბა ქვედა 50%-ის წილს. შესაბამისად აშშ-ში უთანაბრობამ კვლავ გაღრმავება დაიწყო და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. აშშ-საგნ განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, გამომდინარე იქედან რომ ქვედა 50%-ის მქონეთა წილი მნიშვნელოვნად აღემატება ტოპ 1%-ის წილს მთლიან შემოსავლებში. თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში აქაც ამერიკის მსგავსად შეინიშნება მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანთა უფრო გამდიდრება და დაბალი შემოსავლების მქონე 50%-ის მქონეთა წილის პერიოდული შემცირება. გრაფიკ 5-ზე ასახულია გერმანიის მაგალითი, საიდან გამომდინარეც აშკარაა რომ ევროკავშირის ამ წამყვან ქვეყანაშიც უთანაბრობაც მცირე მაგრამ ზრდადი ტემპებით მატულობს. მოცემულ რეპორტში, სამწუხაროდ საქართველოს შესახებ ინფორმაცია არა არის მოცემული, მაგრამ შეგვიძლია მეზობელი ქვეყნების მაგალითზე შევაფასოთ რეგიონში არსებული ვითარება.

რუსეთის შემთხვევაში აშკარად გამოხატულია თუ რა მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. 1988 წელს, სანამ კომუნისტური სისტემა დაიშლებოდა ტოპ 1%-ის წილი მთლიან შემოსავლებში 5%-ზე ნაკლებს შეადგენდა, ხოლო ქვედა 50%-ის წილი კი მთლიან შემოსავლებში 30%-ს აღემატებოდა. მას შემდეგ რაც სისტემა დაიშალა და ქვეყანა კაპიტალისტურ წყობილებაზე გადავიდა, ტოპ 1%-ის წილი 27%-მდე გაიზარდა, ხოლო ქვედა 50%-ის წილი კი 10%-მდე დაეცა. 2000-იანი წლებიდან 2008 წლამდე სიტუაცია კიდევ უფრო უარესდებოდა, თუმცა გლობალური კრიზისის შემდგომ (2008-2009) მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, ზედა ზღვარზე მყოფთა შემოსავლებმა კლება დაიწყო, ხოლო ქვედა ნახევარი მოსახლეობის შემოსავლების წილი მთლიან მაჩვენებელში კი გაიზარდა, შედეგად ბოლო პერიოდში რუსეთის ფედერაციაში უთანაბრობის მაჩვენებლებმა გაუმჯობესება დაიწყო. საქართველოს

შემთხვევაშიც, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკის მდგომარეობაც მსგავსი იყო რუსეთის ფედერაციისა. მეზობელი თურქეთის შემთხვევაშიც, შემოსავლების უთანასწორობის კუთხით არსებული ტენდენციები, გლობალურ დონეზე მიმდინარე მდგომარეობას მიყვება. თურქეთშიც, 2000-იანი წლებიდან გლობალური კრიზისის დადგომამდე უთანაბრობის კუთხით არსებული მდგომარეობა უმჯობესდებოდა, მაგრამ კრიზისის შემდგომ, როგორც გრაფიკი 7 ასახავს, ტოპ 1% მოსახლეობის შემოსავლების წილმა კვლავ ზრდა დაიწყო და ქვედა დონეზე მყოფი ნახევარი მოსახლეობის შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში კი შემცირების მიმართულების წავიდა.

დიაგრამა 9; ტოპ 1%. ქვედა 50% მოსახლეობის შემოსავლები



წყარო : *მსოფლიო უთანასწორობის კვლევითი ლაბორატორია*

დიაგრამა 10; შემოსავლების უთანასწორობა: აშშ. გერმანია



დიაგრამა 11; რუსეთი თურქეთი, შემოსავლების უთანასწორობა



წყარო: მსოფლიო უთანასწორობის კვლევითი ლაბორატორია

შემოსავლების უთანასწორობის პარალელურად, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სიმდიდრის საზოგადოების ჯგუფებს შორის გადანაწილების საკითხსაც. გამომდინარე იქედან რომ შემოსავლები ნაკადებს წარმოადგენს, ხოლო დაგროვილი სიმდიდრე კი ნაშთს, რომელიც გარკვეულწილად წყაროა შემოსავლების მისაღებად, მნიშვნელოვანია რომ მისი გადანაწილებაც ეფექტურად ხდებოდეს მოსახლეობის შიგნით, რომ ამ ფაქტორმაც კიდევ უფრო მკვეთრად არ გააღრმავოს სხვადასხვა შემოსავლების მქონე ინდივიდთა შორის არსებული უთანაბრობა.

მსოფლიოს სიმდიდრის ანგარიშის მიხედვითაც, ბოლო ათწლეულების მანძილზე უთანაბრობა გაიზარდა მსოფლიო დონეზე. მართალია ზოგიერთმა ქვეყანამ შეამცირა

უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობა, მაგრამ ეკონომიკური უთანასწორობის მასშტაბები მკვეთრად გაღრმავდა. ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის კი, აშშ წარმოადგენს, ამ პროცესების ერთ-ერთ ყველაზე უფრო აშკარა მაგალითს. ავტორების შეფასებით, 2019 წლისათვის, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი 1% ფლობს მსოფლიოს მთლიანი სიმდიდრის 44%-ს. ჯგუფების მიხედვით სიმდიდრის გადანაწილება კი შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა 8):

დიაგრამა 12; სიმდიდრის გადანაწილება საზოგადოების ჯგუფებს შორის-მსოფლიოს მასშტაბით; 2019 წელი



წყარო: Credit Suisse

2019 წელს Credit Suisse-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადდა მსოფლიო სიმდიდრის შესახებ ანგარიში, სადაც საქართველოს შესახებაც არის წარმოდგენილი ინფორმაცია (Hechler-Fayd'herbe, 2019). ამ ანგარიშთან მიმართებით, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მისი შედგენისას, ავტორები წააწყდნენ სტატისტიკური ინფორმაციის უკმარისობის პრობლემას და მათ სხვადასხვა პარამეტრების შეფასება გარკვეული სტატისტიკური მოდელების დახმარებით მოუწიათ. შესაბამისად გამოქვეყნებული

ინფორმაციები, ყველა ქვეყნისათვის, შესაძლებელია რომ არ იყოს სრულიად ზუსტი, თუმცა კვლევის ავტორების განცხადებით, თითოეული ციფრი, მაღალი ალბათობით ახლოსაა თითოეულ ქვეყანაში არსებულ რეალურ მაჩვენებლებთან (ანალოგიური შემთხვევა არის საქართველოსათვისაც).

3.3. უთანასწორობის შემცირებასთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში

საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საწყის წლებში, მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების წინაშე აღმოჩნდა. 90-იან წლებში საქართველოს ეკონომიკა ხასიათდებოდა მაღალი უმუშევრობის დონით, ბიუჯეტის დეფიციტით, მოსახლეობის უმრავლესობამ დაკარგა დანაზოგები, ასევე პრობლემები გაიზარდა სოციალური კუთხითაც, რომელიც მომდინარეობდა სიღარიბის ზრდით და შემოსავლების უთანასწორობის ზრდით. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველო გამოირჩეოდა პრივატიზაციის მაღალი დონითაც, რამაც ხელი შეუწყო სიღარიბის გაღრმავებას და მოსახლეობის ფენებში შემოსავლების უთანაბრობას. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2003 წლის ვარდების რევულუციამდე, რომელსაც მოჰყვა სტრუქტურული და ძირეული ცვლილებები როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მიმართულებით. რეფორმები გატარდა ეკონომიკის ყველა მიმართულებით. ფისკალურმა და მონეტარულმა პოლიტიკებმა არსებითად შეცვალეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. საგადასახადო რეფორმებმა და უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ გაზარდა ბიუჯეტი, რამაც დადებითი ეფექტი მოახდინა მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე. გაზრდილი ხელფასის კვალდაკვალ თავდაპირველად გაიზარდა უთანაბრობა, მაგრამ დროთა განმავლობაში შემცირდა და დასტაბილურდა, რომელიც კარგად ჩანს გრაფიკი 2-ზე (ჯინის კოეფიციენტი).

საქართველოს ხელისუფლებამ 2003 წლის შემდეგ გაატარა კომპლექსური ცვლილებები, სწავლის, ჯანდაცვის, თავდაცვის და სოფლის მეურნეობის მიმართულებით. აღნიშნულ სფეროებში გატარებულმა პოლიტიკებმა მინიმუმამდე შეამცირა კორუფციის დონე, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სახსრების სწორად განაწილებას და შესაბამისად შემოსავლების გამოთანაბრებას.

საგანმანათლებლო სფეროში რეფორმები განხორციელდა, როგორც სასკოლო, ასევე უმაღლეს და პროფესიული მიმართულებით. აღნიშნულმა პოლიტიკამ კომპლექსური ხასიათი მიიღო, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში სწავლის დონის ამაღლებას, ამან კი თავის მხრივ ბაზარზე მაღალკვალიფიციური მუშახელის მობილიზებას. სასკოლო რეფორმა გულისხმობდა სკოლების მოდერნიზებას და თავისუფალ მიდგომას სწავლით აღმზრდელობაში, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა ძველი საბჭოური მოდელისაგან. ასევე მოხდა სკოლების აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და თანამედროვე პროგრამებით, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეების და მასწავლებლების ინტეგრირებას მსოფლიოსთან. მსგავსი რეფორმები განხორციელდა უმაღლეს სასწავლებლებშიც, შემოღებული იქნა ერთიანი ეროვნული გამოცდები,[23] რომელმაც ხელი შეუწყო სწავლის დონის ამაღლება. 2005-2010 წლებში მოხდა სამუშაო ძალის პროფესიული გადამზადება, რომელიც დღემდე გრძელდება ეტაპობრივად ყველა სფეროში. საგანმანათლებლო სფეროში ფულადი სახსრების მობილიზებამ ხელი შეუწყო ადამიანისეული კაპიტალის ზრდას და მის მაღალკვალიფიციურობას. შედეგად ქვეყანაში მოხდა შემოსავლების ზრდა და მისი გამოთანაბრება.

ასევე მოხდა ჯანდაცვის სფეროს ფორმირება, რაც გულისხმობდა სამედიცინო პერსონალის აღჭურვას და მათ გადამზადებას თანამედროვე სტანდარტებთან. აგრეთვე სახელმწიფომ ფინანსები მიმართა საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსებაში, რამაც ხელი

[23] **ერთიანი ეროვნული გამოცდები** — გამოცდების სერია, რომელსაც საქართველოში აბიტურიენტი გადის რათა სწავლა გააგრძელოს უნივერსიტეტში. 2005 წელს, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მისაღები გამოცდების ძველი, საბჭოური სისტემა ახლით შეიცვალა, რომლის მიზანია გამჭირვალობის, სამართლიანობის და სწავლის დონის ამაღლება.

შეუწყო ჯანდაცვის სისტემის განვიტარებას და მის მაღალ დონეზე ფორმირებას. შედეგად კი საზოგადოებამ მიიღო ჯამრთელობის მაღალი დონე და ამან ერთი ათად გაზარდა საზოგადოების ბედნიერების ინდექსი.

თავდაცვა და სახელმწიფო უსაფრთხოების მიმართულებით, საქართველოში გატარებულ პოლიტიკებიდან იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკიდურეს ნიშნულამდე იყო გაზრდილი კრიმინოგელური ვითარება, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას. ამ სფეროში რეფორმა გულისხმობდა ნულოვან ტოლერატობას დამნაშავების მიმართ. აღნიშნულ რეფორმას გაჩნდა მტკივნეული მხარები და არ იყო საზოგადოების მარტივად გასაგები, ასევე არ გამოირჩეოდა პოპულიზმით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა აღმოჩნდა საკმაოდ ეფექტური და საქართველო ერთერთი დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა მთელს ევროპაში.

სოფლის მეურნეობას საქართველოს რეალობაში მნიშვენლოვანი ადგილი უკავია და ამ მიმართულებით სწორი პოლიტიკის გატარებას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, როგორც შემოსავლების ზრდაზე, ასევე მის გათანაბრებაზე და ზოგადი კეთილდღეობის ამაღლებაზე. როგორც უკვე ავღნიშნეთ ამ თავის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოხდა კოლმეურნეობების ნგრევა, სახნავ-სათესი მიწების პრივატიზება და სოფლის მეურნეობის მთლიანი სისტემის ნგრევა. შესაბამისი ასახვა ჰპოვა ამ ყველაფერმა აღნიშნული სფეროს მიმართულებით. 90-იან წლებში ამ სფეროს მიმართულებით არ ხდებოდა არაფერი მნიშვნელოვანი, პირიქით მოქდა რიგი კულტურების გადაშენება. საქართველოში სოფლის მეურნეობაში ძირეული ცვლილებები დაიწყო 2008 წლიდან (ვაუჩერები საწვავზე, ფერმერთა სუბსიდირება სხვადასხვა კულტურებზე), თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნულ მასტიმულირებელ პოლიტიკას არ ჰქონია გრძელვადიანი ეფექტი. 2010 წლიდან მთავრობამ შეცალა არსებული მიდგომა და გაატარა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებული იყო გრძელვადიან პერსპექტივაზე სოფლის მეურენობაში კერძოდ: სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მსოფლიო ორგანიზაციების დახმარებით დააფინანსა ისეთი პროექტები, რომელიც ორიენტირებული

იყო მიწის დამუშავებაზე, ერთ წლიანი და მრავალწლიანი კულტურების გაშენებაზ და ფერმერის ტექნიკით აღჭურვაზე. ყოველივე ამან ძირეულად შეცვალა მიდგომა ამ სფეროსადმი, როგორც მთავრობის მხრიდან ასევე მოსახლეობის. აღნიშნული პროექტები გრძელდება დღემდე, რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ბოლომდე ათვისებას.

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკები ჩართულნი არიან გლობალიზაციის პროცესში, რაც იმას ნიშნავს რომ ეკონომიკები მიისწრაფვიან განვითარებისკენ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნებს გარკვეული დოზით მოუწევთ გაიღონ გლობალიზაციაში ჩართულობის საფასური. გლობალიზაციაში ჩართულობა ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანამ, რომელსაც სურს იყოს ჩართული მასში და მიიღოს მისგან სარგებელი, უნდა წავიდეს გარკვეულ დათმობებზე და გაატაროს ის ღონისძიებები, რომელიც მისაღებია მსოფლიო ეკონომიკისთვის. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს გამოთანაბრებას და შეამცირებს უთანასწორობას, როგორც სოციალურ ასევე ეკონომიკურ ასპექტებში. არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეული უთანასწორობა სასარგებლოა საზოგადოებისათვის, ვინაიდან გამოდის თავისებურ მოტივატორად ეკონომიკური აქტიურობისათვის, ადამიანთა უნარისა და შესაძლებლობების განვითარება-გამოყენებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. მაგრამ სიმდიდრის თავმოყრა ცალკეული პირების, ასევე სახელმწიფოთა ხელში, ზღუდავს სხვების წინსვლისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს, ქმნის ე.წ. „სიღარიბის მანკიერ წრეს“, რომლის გარღვევა ძალზე რთულია. გლობალური სიღარიბის აღმოფხვრა და შემოსავლების უთანასწორობის შემცირება, ეს არის თანამედროვე რეალობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა.

გამოყენებული ლიტერატურა

ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ. „მაკროეკონომიკა“, ლექციების კურსი. თბილისი, 2011

ხადური ნ. „საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები“., ჟ. ეკონომისტი, №1, 2009

ხადური ნ. „ეკონომიკური ზრდა - რეალობა და პერსპექტივები“., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“. მასალების კრებული, თბილისი, 2010

ხადური ნ. „ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა., IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ კრებული. თბილისი, 2012

პაპავა ვ. "საქართველოს ეკონომიკა", გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015

პაპავა ვ.“არატრადიციული ეკონომიკსი“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011

ბერიძე თ. „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტ.10 გამომცემლობა „სიახლე“. გვ.115–122;

მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.VIII, #2, 2015

ანანიაშვილი ი. „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები“., ეკონომიკა და ბიზნესი. 2014, # 5, გვ. 13-54.

ანანიაშვილი ი., „ეკონომეტრიკა“. სახელმძღვანელო. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი, მერიდიანი, 2012. 412 გვ.

გველესიანი რ., „ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.X., #1, 2017

გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. "ეკონომიკური პოლიტიკა", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2009

ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე ი. „მიკროეკონომიკა“, სახელმძღვანელო, მე-3 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ავტორები: გამომცემლობა ,,უნივერსალი”, თბილისი, 2014.

ხარაიშვილი ე. „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“, მონოგრაფია

გამომცემლობა ,,უნივერსალი“, 195 გვ.

გელაშვილი ს. „საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა“. სახელმძღვანელო, გამომც. ,,უნივერსალი“, თბ., 2015.

გელაშვილი ს. „ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება“. სახელმძღვანელო. გამომც. ,,მერიდიანი“, თბ., 2012.

მარშავა ქ. „მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარებები - მშპ ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულება“. გამომცემლობა ,,უნივერსალი’’, გვ.488-492, 2012

სილაგაძე ა. "ეკონომიკური დოქტრინები", თბილისი, 2010

Alesina, A., Di Tella, R., & MacCulloch, R. (2004). Inequality and Happiness: Are Europeans and Americans Different? *Journal of Public Economics, 101*(2), 274-298.

Alesina A and La Ferrara E (2005). Preferences for redistribution in the land of opportunities. *Journal of Public Economics*, Elsevier, 89(5–6): 897–931.

Andrea, G., Court, C., & Court, J. (2001). *Inequality, Growth and Poverty in the Era of Liberalization and Globalization.* Helsinki: UN.

Atkinson, AB (1970) On the measurement of inequality. *Journal of Economic Theory*, 2 (3), pp. 244–263

Birdsall N (2000). Why inequality matters: The developing and transitional economies. Mimeo. Carnegie Endowment for International Peace, Washington, DC.

Brodmann, S., & Esping-Andersen, G. (2007). When fertility is bargained: Second births in Denmark and. *European Sociological Review*, 599–613.

Bruno M and Easterly W (1998). Inflation crises and long-run growth. Journal of Monetary Economics, 41(1): 3–26.

Cornia GA (2011). Economic Integration, Inequality and Growth: Latin America versus the European Economies in Transition. Review of Economics and Institutions, 2(2), Spring 2011.

Fajnzylber, P., Lederman, D., & Norman, L. (2002). Inequality and Violent Crime. *Journal of Law and Economics*, 1-40.

Galor, O., & Zeira, J. (1993). Income Distribution and Macroeconomics. *Review of Economic Studies, 60*(1), 35-52.

Horn, D. (2010). Income Inequality and Voter Turnout. *Gini Working Paper*.

IMF (2011). Recent Experiences in Managing Capital Controls: Cross Cutting Themes and Possible Policy Framework. International Monetary Fund, Washington, DC, 14 February.

Keifman S and Maurizio R (2012). Changes in Labour Market Conditions and Policies: Their Impact on Wage Inequality during the Last Decade. UNU-WIDER Working Paper No. 2012/14, Helsinki.

Leigh, A., Jencks, C., & Smeeding, T. M. (2009). Health and Economic Inequality. In W. Salverda, B. Nolan, & T. Smeeding, *The Oxford Handbook of Economic Inequality* (pp. 384-405). Oxford: Oxford University Press.

Lorenz, M.O. (1905). Methods of measuring the concentration of wealth. Quarterly Publications of the American Statistical Association, 9 (New Series, No. 70), 209–219, (https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/15225437.1905.10503443)

Lopez Calva LF and Lustig N (2010). Declining Inequality in Latin America: A Decade of Progress? Brookings Institution Press and UNDP.

Lynch, J., Smith, G. D., Harper, S., Hillemeier, M., Ross, N., & Kaplan, G. A. (2004). Is Income Inequality a Determinant of Population Health? Part 1. A Systematic Review. *Milbank Quarterly, 1*(82), 5-99.

Milanovic B (2005). Worlds Apart: Measuring International and Global Inequality. Princeton, Princeton University Press.

Senik, C. (2004). Ambition and Jealousy: Income Interactions in the "Old" Europe Versus the "New" Europe and the United States. *IZA Discussion Paper No. 2083.*

Theil, H. (1967). Economics and Information Theory. Chicago: Rand McNally and Company.

van de Stadt, H., Kapteyn, A., & & van de Geer, S. (1985). The Relativity of Utility: Evidence from Panel Data. *Review of Economics and Statistics, 67*(2), 179-187.